

619
1984/2

ეროვნული
მუზეუმი



I S S N 0 1 3 0 1 6 2 4

საქართველო


0 3 5 0 6 0
№ 6 1984 წ.



კებრა ბაგრატის ძეგლი თბილისში.

მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. არქიტექტორი ნოდარ მბალოგლიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი.

1 ივნისი საპეპუსა დაცვის საერთაშორ- ისო დღე



როგორც დედის გული,
დედამიწაც დაშვრეს:
— ყველაფერი თქვენთვის,
ყველაფერი ბავშვებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყანა, შეერთდით!

დროშა
№ 6 (570) ივნისი, 1984

შურნალი გამოდის 1928 წლიდან
ქოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიბერატურო-
სამხატვრო შურნალი

მთავარი რედაქტორი
სუბა ბერულავა

საპარტეზლოს კვ ცკ-ის გამოცემა

© „დროშა“, 1984 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა
გიორგოზიანი, თენგიზ გომოლაძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი,
სერგო ღურშიძე, ვახტანგ ეშვანია, ოთარ
თურქია, ღინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ
ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

ქ. მარტის ს. ბ. სსს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ღური შეხველია

დიდი სამამულო ომის ექვსი წელიწადი არ მიმწვდარა. არ მოგვშუშებია ტკივილები, ომმა რომ მოგვაყენა. რა გადავიტანეთ, რას გავუძელით საბჭოთა ადამიანებმა!... ამაზე მეტყველებენ თუნდაც ის ბარათები, ფრონტიდან რომ იგზავნებოდა და ახლაც სათუთად ინახება ჩვენს ოჯახებში.

ჩვენ უფლება არა გვაქვს, მღელვარებისა და ღრმა პატივისცემის გარეშე ვისაუბროთ ამ ბარათებზე. ვალდებული ვართ, მოკრძალებით შევხსოვთ ხელი თუნდაც მცირე, თითქოს უმნიშვნელო ნივთსაც კი, რომელიც ჩვენი უახლოესი ადამიანების საბრძოლო ეპიზოდებთანაა დაკავშირებული.

აი, ერთი მათგანი. ლიდერინისყრიანი საერთო რვეული წლებს გაუხუნებია, გაუცრეცია, ფურცლები დაჰყოფილია. „ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი დღეები. ავთანდილ ჯაფარიძე“ — ვკითხულობთ პირველ გვერდზე. ეს რვეული სახელოვანი ქართველი მფრინავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობას გვთავაზობს. რვეულში ნახავთ ჩანახატებს ავთანდილის მებრძოლ ამხანაგებზე, ქვეყნისა და ხალხის ერთგული ბევრი შვილის სახე გაცოცხლდება თქვენს თვალწინ.

„...ღმერთმანი გაგხარებოდათ ბერიძის დანახვა — ათლექტური აღნაგობა, დინჯი და ძლიერი მიხვრა-მოხვრა, მამაკაცური ნაკვთები, ღიმილიანი სახე. არაჩვეულებრივად გულთბილი იყო, მოსიყვარულე, გონიერი, გამჭრიახი. ხშირად ოცნებობდა — დავბრუნდები საქართველოში და ჩემს ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად ახალ ცხოვრებას დავიწყებო...“

ოღესის დაცვა. ენით აუწერელი ბრძოლები მიმდინარეობს. ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს მტრის ქვეითი ჯარის ნაწილები და კავალერია. ბერიძე, როგორც ყოველთვის, მამაცურად იბრძოდა, ბენზინიც და ტყვიან-წამალიც ძალზე ცოტა შემორჩა. უკანდაბრუნებულები მტრის თვითმფრინავებს გადაუყარნენ. უთანასწორო ბრძოლაში ბერიძემ მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო. ტყვიები გაუთავდა. დიხანს არც უფიქრია — თავისი თვითმფრინავი მტრისას დაჯახა და მასთან ერთად დაიღუპა...

ამ უმაგალითო მამაცობამ მტერი დააბნია და შეაშინა. პაერი სწრაფად დაცარიელდა. ჩვენი დანარჩენი თვითმფრინავები უფლებლად დაეშვნენ აეროდრომზე“ — წერს თავის დღიურში პოლკოვნიკი ავთანდილ ჯაფარიძე.

აგერ მეორე დღიურიც — სიმწრითა და სისხლით ნაწერი. მისი ავტორი ექიმი ელენოზრა მესხია. რამდენი რამ უნახავს ამ ადამიანს, რამდენი რამ განუცდიდა! მოდი, თვითონ ავტორს მივცეთ სიტყვა.

„...ქერჩის განთავისუფლების სადენანტო ოპერაციები ჩემთვის დაუვიწყარია. ბრძოლით განვვლეთ ათობით კილომეტრი. ფეხით გადავლახეთ გაყინული აზოვის ზღვა... როგორც კი შეგერდებით, საოპერაციო მაგიდასთან ვდგევართ. თუმცა ეს სადაური მაგიდაა — პირდაპირ მიწაზე დაგებული მებრძოლის ფარჯა ან სახელდახელოდ მოწყობილი ფიცრის საწოლი.

ცოტა ხნით ჩვენმა ბატალიონმა აკომონის მიდამოებში ჩაიმუხლა. გუშინ საოცარი დღე იყო. აქ ხომ სიხარულისათვის ცოტა გყოფნის კაცს... ჩვენს მეზობლად, ქართული დივიზიის ერთ-ერთი დაჭრილი მეთაურისათვის სისხლის გადასხმა იყო საჭირო. ორნი წავედით. გათენებამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა, ნახევარი კილომეტრი ფორთხვით უნდა გავვევლო. სინათლე, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი არ იყო. მივალწვით დანიშნულ ადგილს და დაიწყო დაბომბვა. ალიონის ღია ლურჯი ფერი ძლიერდებოდა. ამ დროს, რამდენიმე მეტრში, საოცარი სურათი გადამეშალა: ზღვის ნაპირზე აღმართული კლდის კედელზე დიდი ასობით ეწერა — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკ...“ ჩემგან ზურგიან ჯარისკაცი იდგა და კედელზე თეთრი საღებავით საგულდაგულოდ გამოჰყავდა რუსთაველის უკვდავი აფორიზმის ბოლო სიტყვები. რაც იმ წუთს ვიგრძენი, ძნელი გადმოსაცემია. ეს ჯარისკაცი ჩვენი სახელოვანი მხატვარი დიმიტრი თავაძე აღმოჩნდა“...

ასევე ამაღლებულია მაიორ მამია ჩხეიძის მოგონება. ჩვენ მხოლოდ ერთ მცირე მონაკვეთს მოვიტანთ ამ მოგონებიდან.

„...როცა მტერი საბჭოთა საზღვრებს იქეთ გავდევნეთ, ბელორუსიის პირველ ფრონტზე, სამოცდამეორე არმიაში შემავალ მშვენიერად მოზარდ დივიზიაში, მდგომარაგების უფროსის მოვალეობას ვასრულებდი.

დივიზია მეორე ეშელონში იყო და მარშით მიდიოდა ოდერისაკენ. გერმანელთა შენაერთებს გაურღვევიათ ჩვენი თავდაცვის ხაზი და მოულოდნელად წინ შემოგვეყარნენ... იძულებული გავხდით, ბრძოლა მიგვეღო.

სახელდახელოდ შერჩეულ ადგილას გავმართეთ მედიკურ-სანიტარული ბატალიონი. დავიწყეთ დაჭრილთა მიღება. დღე-ღამის განმავლობაში უძილონი, მშვიტი-მწყურვალნი იდგნენ საოპერაციო მაგიდებთან ექიმები ჯაფარიძე, მინდელი, აკუცი, გოლიშვილი... და თავდაუზოგავად იბრძოდნენ მამაცთა სიცოცხლის გადასარჩენად...

დაჭრილთა შორის სამი გერმანელი ჯარისკაციც გამოერია. ორი მათგანი მძიმედ იყო დაჭრილი, ერთი — შედარებით მსუბუქად. სწორედ იმ მსუბუქად დაჭრილს შერჩენოდა თავხედური ყოყორობა, იგინებოდა და იმუქრებოდა კიდევ. ჩვენ მოთმინებით, გარეგნული სიმშვილით ვიტანდით ყოველივეს, მაგრამ მისმა თანამემამულემ საკაციდან წამოიწია, ახლომდგომ დაჭრილს ყვარჯენი გამოსტაცა და მთელი ძალით მოუქნია. იქვე ახლოს ვიდექი, ყვარჯენი ხელიდან გამოვტაცე და... უცებ მის ცრემლით სავსე თვალებს წავაწყდი. ეს სიმწრისა და სინანულის, სულიერი ტკივილის ცრემლი იყო“...

ამონაწერი, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, რიგითი ჯარისკაცის ვლადიმერ ნიჟარაძის წერალი-

დანაა ამოღებული. ეს წერილი მას ძმისთვის გამოუგზავნია.

„...ახლა სანგარში ვზივარ ჩემთვის და თქვენზე ვუქრობ. ჩველი ამბები მოსაგონებლად აღვივლია.

ორიოდე დღის წინ სიკვდილს ჩავხედე თვალში. მტრის სანგარები გადავჭედე და ხელჩართულ ბრძოლაში ჩავებით... არ ვიცი, მტერი ყოველთვის მახინჯი ეჩვენება კაცს თუ მხოლოდ მე მჭირდა ასე?! ის კი, ის ერთი მაინც — გამხდარი, მხრებში მოხრილი, გრძელი კიდეებით, ჩაცვნილი ლოყებით. ადამიანის ნაშობს არ გავდა. მარტოა, ერთი წამით შევავლე თვალი მის სახეს, მაგრამ ასე დამამახსოვრდა. თვალი მაშინ შევავლე, სიშტგამართული ჩემკენ რომ გამოვარდა. რაღაც სასწაულად ტანის ისეთი მოძრაობა გვაკეთე, ყველაზე გამოცდილ ტორეადორსაც კი შეშურდებოდა (ტრაპანად არ ჩამოთვალა, აქ მაგის დრო არ არის. ან, ნეტავ, რა სატრაპანო) და თავის სიშტინად მოგვერდით გადმოვიღე. გადმოვიღე და...“

ახლა ვზივარ სანგარში და ვფიქრობ. ბიჭები რომ ვეჭბირებოდით, ვინ რამდენჯერ აიწვედა თუთის ტოტზე, ახლა გამომადლა. სულ რომ მიშლიდა დედა მდინარეზე ბანაობას და მე რომ მაინც რიონში ვიყავ გადავარდნილი, ახლა გამომადლა. საღამოს ბიჭები რომ შევიყრებოდით და დღით დაკერილ ბლუზა-შარვალს მოგვერდისაგან და სარმისაგან ისევ დასაკერებელს გავხდით, ახლა გამომადლა“...

ვინ მოთვლის, რამდენი დღიური დაიწერა იმ გაუცინარ დღეებში. შინდაბრუნებულთ ეს დღიურები თან ჩამოჰყვა, ბევრი კი თავის დამწერთან ერთად დაიღუპა, ზოგსაც პატრონი გამოუჩნდა და შინმოუსვლელი კაცის ნახიმწრალი ჭირისუფალს ჩააბარა.

მერედა, რა ძვირფასია საოჯახო არქივებში შენახული ეს სამკუთხა ბარათები, ეს დღიურები. ვინ იცის, რამდენჯერ შეხებია მათ ახლობლის ხელი. რამდენჯერ გადაუფურცლავთ, გადაუკითხავთ და ისევ სამუდამოდ მიჩნეულ ადგილას შეუნახავთ!

ახლა, გამარჯვების დღეებში, ერთხელ კიდევ აშრიალდება ეს შემოღვამის ფოთლებივით გაყვითლებული ფურცლები. გაიღვიძებს მიყუჩებული მწუსარება. მოგვაგონდება შინმოუსვლელი ძმა თუ შვილი, მეგობარი თუ მეზობელი... ერთხელ კიდევ მივულოცავთ მათ, ვისაც ამ ბედნიერი დღის მასპინძელი ჰქვია.

დროზე მივხედოთ ამ ძვირფას დღიურებს, ფრონტულ ბარათებს. თორემ გავა კიდევ რამდენიმე წელი, გაიხსნება საოჯახო არქივები და უამთასივადამოვლილი ბევრი სტრიქონი აღარც წაიკითხება. უფრო მეტიც: ზოგიერთი მათგანი აღარც გაიხსნება...“

ვინ იცის, ისტორიისათვის საჭირო რამდენი ეპიზოდი იმალება მათში. რამდენი გმირი „აღსდგება მკვდრეთით“ ისე, როგორც, თუ გნებავთ, ფორე მოსულიშვილი ან სიმონ წიკლაური.

ეს მასალები ბევრი მხატვრული ნაწარმოების საფუძველი და შთაგონების წყარო გახდება.

ნუ დავაგვიანებთ ამ საჭირო საქმის გაკეთებას, თუ გვსურს, შთამომავლობამ მაღლობა გვითხრას.

**მცხეთის თეატრონი
და... სიმღერა**

ქალაქი მცხეთა, საქართველოს უძველესი დედაქალაქი, მტკვრისა და არაგვის ხეობებს შორის მარგალიტით გაბნეულა და გარშემორტყმულ ბუმბერაზ მთათ სიდიადეში შესცილებია.

არაგვს გაღმა, ჯვრის გადმოსახედიდან, სულ სხვაგვარი ყოფილა მცხეთა. სიწმინდის შარავანდედით მოსილი მოჩანს აქედან სვეტიცხოვლისა და სამთავროს გუმბათები, ბებრის ციხის დაბზარული კედლები.

საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა, მდიდრდებოდა, ეროვნული და თავისთავადი ხდებოდა ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნება. მსოფლიო არქიტექტურის საგანძური გაამდიდრეს სვეტიცხოვლისა და ჯვრის დიდებულმა ტაძრებმა. ხელთუქმნელი ძეგლების სიმრავლემ ქალაქ-მუზეუმად აქცია საქართველოს ძველი დედაქალაქი.


ვერარა შეეცილება მცხეთას სიდიადეში. დრო-ყამს შებრძობებული სიძველის ფონზე ძნელია, რაიმე ისეთი შექმნა, რომ მიუსადაგო, შეუხამო ქალაქ-მუზეუმის სილამაზეს... და მაინც შენების, განახლების დღეებით სუნთქავს ქალაქი. გასაკეთებელი კეთდება, შესაქმნელი იქმნება. ახალი, თანამედროვე სისახლბორცეულად ენივთება ძველს.

მცხეთის ტყე-პარკის სიღრმეში თავს იწონებს ნიჩბურას ხევიდან ამოღებული ლოდებით მოპირკეთებული თეატრონი.

თეატრონი უნიკალური ნაგებობაა. იგი ორიგინალურად შერწყმია მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურულ ანსამბლს. ბებრის ციხის ფერდობებზე შეფენილი ამფითეატრი ერთ მთავარ და სამ მცირე ზომის სცენას გადაჰყურებს ზემოდან.

რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ ზურაბ ინაშვილმა გვითხრა, რომ თეატრონის შექმნის იდეა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივანს შოთა ეცადაშვილს ეკუთვნის. ეს იდეა ვააცნეს არქიტექტორ გივი ჭაფარიძეს და უმოკლეს დროში მშრომელთა ყოვლისშემძლე ენთუზიანზმა ნაოცნებარს ხორცი შეასხა.

1983 წლის ოქტომბერში თეატრონმა პირველად უმასპინძლა რიგით მხეხეთე მცხეთო-



ქალაქ-მუზეუმი

ბას. მწყობრში ჩადგომისთანავე იგი ქალაქის კულტურული ცხოვრების სამსახურში ჩადგა. თეატრონზე მოეწყო სამიასო სახალხო დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობდა რაიონის ყველა თვითმომქმედი ანსამბლი.

განსაკუთრებული ყურადღებითაა მოცული მცხეთის რაიონში ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი გუნდების საქმიანობა, ამჟამად მცხეთაში მოღვაწეობენ თემურ ქევიზივილი, გივი ბახტაძე, ეთერ შარია და სხვა ცნობილი ოსტატები ხალხური სიმღერისა.

მცხეთის პირველ საშუალო სკოლაში არსებობს სასულე ორკესტრი (თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორკესტრისათვის საჭირო ინსტრუმენტების ნაკლებობას განიცდიან), სოფელ გლდანის კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია გოგონათა ვოკალური ჯგუფი, მცხეთის ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკაში ქალთა გუ-

ნდი, სოფელ დიდმის ელექტრიფიკაციისა და მექანიზაციის კვლევით ინსტიტუტში ვაჟთა გუნდი, ბავშვთა რაიონული ანსამბლი და სხვა. თვალის ერთი გადავლებითაც შეინიშნება, რომ მცხეთის რაიონი მუსიკალური ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრია.

მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე წარმოება-დაწესებულებებში შესაძლებელია შეიქმნას ქართული ხალხური სიმღერის გუნდები. კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხები ზოგიერთ ორგანიზაციას აუთვისებელი რჩება.

— ვინაიდან ჩვენი თეატრონი უნიკალური ნაგებობაა საქართველოსათვის, ჩემი ოცნებაა, თეატრონზე მოეწყოს რესპუბლიკური მასშტაბის ქართული ხალხური სიმღერისა და საგალობლების ზეიმი. და ეს ზეიმი ტრადიციად დამკვიდრდეს! — ამბობს ზურაბ ინაშვილი.

ყველა ჩვენთაგანის ვალია, ვისაც ხელეწიფება ყურადღებდეს, ეხმარებოდეს, ხელს უწყობდეს საქართველოში ქა-

რთული ხალხური სიმღერის აღორძინებას, რადგან სახალხო ზეიმებს ისე არაფერი ამშვენებს, როგორც საქართველოს ხმათა ლომისებური დახვეწილობა.

მოინახულებენ ოცნებადქცეულ ქალაქ-მუზეუმს უცხოელი თუ საბჭოთა ტურისტები. ჯვრისა და სამთავროს, სვეტიცხოვლისა და ბებრის ციხის მშვენიერი ძეგლების ხილვით გაოცდებიან და ტყე-პარკის სიგრილეს შეფარებულები, მრავალყამიერის გუგუნში თეატრონის უნიკალური ანსამბლის სილამაზითაც დატკებებიან.

ანსამბლი „მცხეთა“

საქართველოს სამხედრო გზაზე, წიწამურთან, დაიდგა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის ძეგლი, რომელიც რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებში გაიხსნა.

ჩვენი ყურადღება ძეგლის მახლობლად შეკრებილმა გოგო-ბიჭებმა მიიპყრო.

ერთი, ორი, სამი და მოსწავლეებმა ისეთი მრავალყამიერი დააგუგუნეს, რომ მთებმა ექოდ დარეკა მოგუდული ბანი. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა. მშვენივრად მღეროდნენ.

მეორე საშუალო სკოლის ანსამბლ „მცხეთის“ წევრები მორიგ მეცადინეობას ილიას ძეგლთან ატარებდნენ.

ანსამბლს ხელმძღვანელობს ამავე სკოლის მუსიკის მასწავლებელი იზოლდა უთენიძე-რაზმაძე.

მხოლოდ მონდომებამ და საქმისადმი ფანატიკურმა სიყვარულმა გადააწყვეტინა იზო მასწავლებელს ანსამბლი ჩამოეყალიბებინა, დღეში რამდენიმე ზღმემეტი საათი დაეთმო მისთვის ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე და ანსამბლის თოთხმეტივე წევრისთვის სიცოცხლესავით შეეყვარებინა ქართული ხალხური სიმღერის ეუსი და ლაზათი.

ანსამბლის წევრები ერთიმეორეს აღარ აცლიან:

— ჩვენი ანსამბლი 1981 წელს ჩამოყალიბდა. იზო მასწავლებლის სამივე შვილი მშვენივრად მღერის, ჩვენი ანსამბლის წამყვანი სოლისტები არიან.

— იზო მასწავლებელი არასოდეს გვიყვირის, არ გვეჩხუბება.

— ვერ ავიხსნით რანაირია, იცი, ძალიან კარგია.

— ჩვენი მეგობარია, დიდი მეგობარი.

— იცი, როდესაც მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადის ლაურეატები ვავხდით...



ბავშვების სიყვარულით აღსავსე სიტყვებში ქალბატონ იზოს სულის სიძლიერე ამოვიკითხე. იღიშება იზო მასწავლებელი, იღიშება სამი წარჩინებული შვილის ბედნიერი დედა, იღიშება ანსამბლის წევრების დიდი მეგობარი და საუკეთესო აღმზრდელი.

...ქალბატონო იზო, სულ მალე დაგიფრინდებიან პირველ მერცხლებად ანსამბლის ხმადაბოხებული მეცხრე-მეათე კლასელი გოგო-ბიჭები და მჯერა, ისინიც, რომელთაც სულ ახლახანს შემოდგეს ფეხი თქვენს ანსამბლში, ისევე ფანტიკურად შეიყვარებენ ქართულ ხალხურ სიმღერებს,

ისევე ომახიანად დასჭექენ „მხედრულსა“ და „ლილეოს“, „მუმლი მუხასაო“ და „მრავალჟამიერს“, როგორც ეს თქვენ თვითონ გინდათ, როგორც ეს საქართველოს სჭირდება.

ნაპალევის ტაძარიც ითხოვს შველას

მუხნარის ქვეშ, მზისთვის მიუწვდომელ ნამის წვეთებში ჩამუხლული, სიმშვიდეს ვეძებ. საოცარი სურნელით სუნთქავს დედამიწა. გაოგნებული შევყურებ ბუნების სასწაულს. ადამიანის გონებას გაუჭირდებ-

ბოდა ქვისა და მუხის ასეთი შერწყმა.

ჩუმი მოთქმა-გოდების ექო მთათა შუა იგუდება, იღრჩობა. დავიღალეთო, ღაღადებენ საუკუნეთა მიღმა კირით შედუღებული ხავსიანი ქვები და სიცოცხლისაგან დაშრეტილ უჯრედებს აშიშვლებენ.

„კიდევ ერთი გაზაფხული მაცალეთ, გავძლოთ როგორმე!“ — საკუთარ უძღურებას შეღალადებს ტაძარი, წელში მოხრილი, მუხის ტანს დაყრდნობილი, ჩამოსასვენებლად გამზადებული.

კიდევ ერთი და, ნეტავ, რამდენი შესრულდება — ასი, ათასი? იქნებ ათას მეერთე და უკანასკნელი.

ცხვარიჭამიის მთიან სილამაზეში ჩაფლულა ამადლების დიდი საყდარი, საუკუნეებგამოვლილი, ჩამოღლილი, ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე მდგარი.

წინაპარმა ამ წმინდა კედლებს უკვდავი სული შთაბერა და განა გულსატკენი არაა, ჩვენამდე მოღწეული თვალსა და ხელს შუა დაინგრეს დასამუდამოდ ჩაიშალოს მიწაში.

დღემდის შეუმჩნევლობის ბურუსი ფარავდა საყდარს. წელიწადში ერთხელ ავიდოდა აქ სოფლელი კაცი, ტაძრის გარშემო ადგილს გაასუფთავებდა, ჯაგნარს გაკაფავდა და მომავალ წლამდე სიჩუმე ისადგურებდა მის არემარეზე.

დღეს კი ცხვარიჭამიის პიონერულ ქალაქ „ცისკარში“ ოცდაორი მოქმედი ბანაკია, სადაც პიონერები სამ ნაკადად ისევე-

ნებენ ზაფხულის გაზაფხობაში.

მოდიან ცხვარიჭამიის ტაძრის სანახავად პიონერებიც, გაიქოცებენ ქვისა და ხის ჰარმონიული შეწყვილებით, და ჩნდება სურვილი ახლოს ხილვისა — ხელის შეხებისა.

საყდარი კი დაშლის პირამდეა მისული. მას ახლა სჭირდება შველა. ზაფხულში მაინც, როცა ხალხმრავლობაა, აუცილებელია, მიეპატრონონ ამ მშვენიერ ძეგლს.


ჩვენ ვიცით, რომ მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ნაკრძალი, რომელსაც ევალება ქალაქისა და რაიონის ყველა ისტორიული ძეგლის მოვლა-პატრონობა, საექსკურსიო მომსახურება და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ჩატარება, დიდ საქმეს აკეთებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ბებრის ციხის, ქსნის ციხის, წილქნისა და ჯვრის ისტორიული ძეგლების რესტავრაცია.

ეჭვი არ გვეპარება, რომ სამმართველოს მუშაკთა მზრუნველი ხელი არც ამ ძეგლს მოაკლდება.

ღალი მიგრიული,

„დროზის“ სამცხალური კორმისონდენი.



მცხეთის იუბარონი

კარგად გავხარობი



ამ საუბარს შემთხვევით შევესწარი.

შუადღემ მოატანა.

მოულოდნელად მომსკლარმა გაზაფხულის შხაპუნა წვიმამ ის-ის იყო გადაიღო. ღრუბლებიდან მზემ გამოყო თავი.

ქალაქის ცენტრში, სტალინის ქუჩის შესახვევთან, მერხზე ჩამომჯდარმა თეთრწვერა მოხუცმა შუბლზე დაკოწრილი ხელი მიიჩრდილა. კარგა ხანი უყურა და გვერდითმყოფ ახალგაზრდა კაცს ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარი, აქ რაღას აშენებენ?

— ჭადრაკის სასახლეს.

— რახაო?

გარეკახელ ახალგაზრდებს ჭადრაკის სასახლეს უშენებენ.

იყურა პაპამ. მოიხადა თუშური ქული. ოთხად მოკეცა. დაიღო მუხლზე და როგორც იქნა ამოღერდა.

— მეკოიშვილი ხომ იცი, არსენა? იცი. თელავილი ლევანა? ეგვიც იცი. სოსანა?

— აბა სოსანა?

— კველიშვილი. ცხრაშვიტი წლისამ საქვეყნოდ ცნობილი თურქი ფალავანი ჰუსეინა ბეჭებზე რო დასცა, ისა.

— გამიგონია.

— ხალიჩაზე ბეჭდაუდებელი მოჭიდავე მისა ქურხულიც გაგონილი გექნება.

— ჰო.

— შაი დედასა! — მოხუცმა ცას ახელა, — გარეჯლებს სხვაც ბევრი გვეყავდა სახელოვანი ფალავანი. არა რო?

ახალგაზრდა კაცმა დასტურით დაიქნა თავი.

— გვეყავდა. აბა არა გვეყავდა! შიდასარმის დიდებულ ოსტატ არსენ ჭინჭარაძეს ქვეყანა იცნობდა.

— ოდიკაძეს? — პაპას თვალები გაუბრწყინდა, — შალვა გზირიშვილს? თენგიზ ელერდაშვილს? იოსებ ქაიხოსროშვილს?..

არც სხვები მიუყურისძირებიათ. მოიოსხეს გული. ერთმანეთის მიყოლებით პირწმინდად გაიხსენეს საგარეჯოელი დარჩეული ფალავნები: სპარტაკ ქარსაულიძე, თენგიზ ასლამაზიშვილი, ტარიელ როსტომიშვილი, გურამ გოგოლაური, ბიჭიკო მარიდაშვილი და გივი ონაშვილი, ანზორ ზურაბაული და როინ ქაიხოსროშვილი, გიორგი გზირიშვილი და ომარ გულისაშვილი, თამაზ და ბიძინო კველიშვილები...

— ერთი ამბავი გამახსენდა...

პაპამ ოთხად მოკეცილი თუშური ქული მუხლიდან მუხლზე მოინაცვლა.



— კარგა ხნის ამბავია. არსენა მაშინ ჩვენს კოლმეურნეობაში მუშაობდა. მეკოიშვილზე მოგახსენებ. —

პაპამ ქერი მოიქეცა. — ერთხელ, მგონი, შემოდგომის პირი იყო, არსენა მეკოიშვილს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტყიდან შეშის მოტანა დაავალა. გაუჭირდებოდა? ბრდღვინი გააღინა საქმეს. წამოაქცია ხეები, ასხაბა ტოტები, დაუღო ჩვენებურ ოთხთვალას, ააკოკოლავა და ლიღინ-ლიღინით გამოუტია სოფლისკენ.

ტყის პირას, ხევი რომ იწყება, იმ აღმართზე. არსენას ხარმა უმტყუნა. იმ საცოდავსაც რა ექნა, ბებერი იყო, ძალა აღარ ერჩოდა და ბეკოს ჭორივით იმიტომ გაჩერდა აღმართზე.

— შაუ, შე სამგლევი! — დაუტატანა არსენამ გაჭიქებულ ხარს. შენც არ მომიკვდე!

რა ექნა? თავს ზემოთ სხვა ჩარა აღარ იყო: აუშვა არსენამ ხარი, ოთხთვალაში ხარის მაგივრად თვითონ შეება და მიდი...

ჩემ კბილა ხალხს დღესაც ანსოვს კოლმეურნეობის კანტორის ეზოში როგორ შემოაბოტა ოთხთვალაში შებმულმა და განვითქულმა არსენამ.

ლიღინ-ლიღინით მოდიოდა. უკან ბებერი ხარი მოხდევდა, ცოხნითა და გაქუცული კულის ქნევით.

პაპამ ქული მოირგო თავზე. ეტყობოდა, წასასვლელად ეშაღებოდა.

საგარეჯოელ მოჭიდავეებს პატივი არ აკლდათ. რამდენჯერმე შევესწარი: ქალაქში ჩასულ ჩვენებურ ფალავანს ხალხი ურიაშულით ეგებებოდა. მაიდანში ყარაჩოხნელები ბოხობა ქულების მოხდით აძლევდნენ სალამს.

მოხუცი წამოღდა.

— თავისას სათავისო უნდა ერქვას. არა რო? ამ ჭადრაკის სასახლის აშენებას ისა სჯობდა, ეფიქრათ და მოჭიდავეთა მხარეში ჭილაობის სასახლე აეშენებინათ.

— ეგვიც იფიქრეს.


— მერე?

— მერე ისა, რო საგარეჯოში დიდასაქიდაო კომპლექსიც შენდებდა.

ემა. უცნაურად აუციმციმდა თვლები. მიაბრუნა თავი და დაუინებით ჩააშტერდა მშენებლებს.

— ჭადრაკის სასახლის მშენებლობას, ეტყობა, მალე დაამთავრებენ, — პაპამ ქული შეისწორა, წაღდა ბიჯი და განაგრძო, — დამილოცინა, ღმერთმა ინებოს, საგარეჯოში მოჭიდავეებივით ბევრი თვალსაჩინო მოჭადრაკე დაზრდილიყოს! არა რო?





გ ა მ ო თ ს ო ვ ე ბ ა

14 ივნისს საქართველოს მშრომელები გამოეხატნენ თვალსაჩინო ქართველ საბჭოთა პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს რევაზ მარგაიანს.

რევაზ მარგაიანის — თანამედროვე მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის — შემოქმედებას დაახლოებით ნახევარი საუკუნეა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთელი ქვეყნის მრავალრიცხოვანი მკითხველთა დიდი პატივისცემა და სიყვარული აქვს მოხვეჭილი. სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის სახელი ამშვენებდა ქართულ პოეზიას, რომლის სამსახურს მან თავისი აღმაფრენა, ნიჭი და შთაგონება შეელია.

ძაძებშია საქართველოს მწერალთა კავშირის სახლი, აქ, ამ დარბაზში, არაერთხელ გამოსულა რევაზ მარგაიანი, არაერთხელ წაუკითხავს თავისი ლექსები, მოუხიბლავს მსმენელები მელოზობის, ძმობის, პატრიოტიზმის, სიყვარულის ამაღლებული გრძნობით. მაღალ კვარცხლბეკზეა განსვენებული სკუბო. დარბაზში უდერს სამგლოვიარო მელოდია. დაუსრულებელ ნაკადად მოდიან თბილისის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელები, საზოგადოებრობის წარმომადგენლები, მისი მშობლიური სვანეთიდან ჩამოსული მადლიერი მკითხველები.

რევაზ მარგაიანის კუბოსთან საპატიო ყარაულში დგანან მისი მეგობრები, კოლეგები, მეცნიერები, ხელოვნების ოსტატები.

პოეტთან გამოსახოვებლად მოვიდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი, უ. კ. შარტავა.

გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პოეტის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ ღუმბაძემ, გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებმა ჯ. ჩარკვიანმა, შ. ნიშნიანიძემ, აფხაზეთის სახალხო პოეტმა ბ. შინკუბამ.

შემდეგ სამგლოვიარო პროცესია გაემართა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისაკენ. აქ გაგრძელდა სამგლოვიარო მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ ცნობილი რუსი პოეტი ვ. სოკოლოვი, საქართველოს ალექსანტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ჯ. მარგველიძე, მეტისის რაიონის მშრომელთა წარმომადგენელი ვ. საღლიანი.

ზღვა ხალხმა გააცილა პოეტი უკანასკნელ გზაზე.

ეტიუდი ბუხუტი გურგენიძის მიუძღვნა, რომელიც იმ წელს დიდოსტატი გახდა. ეტიუდმა საჭადრაკო წრეებში მაღალი შეფასება და საერთო მოწონება დაიმსახურა.

ქართველ ეტიუდისტთა თვითმყოფადი სკოლის ტრადიციებზე აღზრდილი დავით გურგენიძე ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს და წარმატებას წარმატებაზე აღწევს.

მომადღებელი ნიჭი, შრომისმოყვარეობა, საკუთარი თავისადმი ყოველდღიური მომთხოვნელობა — აი, რამ გახდა ჩაილურელი ინჟინერი დავით გურგენიძე საქვეყნოდ სახელგანთქმული ეტიუდისტი.

ცნობილი ამერიკელი ეტიუდისტი ქრისტოფერ ბეკერი, რომელთანაც ერთობლივად შედგენილ ეტიუდში დავით გურგენიძემ საერთაშორისო შერკინებაში პირველი პრიზი გაინაწილა, წერდა:

„დავით გურგენიძემ სწრაფად და გონებაშეხილურად ააგო ეს ეტიუდი. ეტიუდი არ არის, მას ბრწყინვალე მომავალი აქვს“.

მეთორმეტე საკავშირო ჩემპიონატში დავითმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, მეცამეტე ჩემპიონატზე კი მისმა ეტიუდმა ოქროს მედალი დაიმსახურა.

1980 წელს ავსტრიაში, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესზე, ჩვენს თანამემამულეს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. დავით გურგენიძე მეორე ქართველი ეტიუდისტია, რომელიც ესოდენ მაღალ წოდებას ფლობს.

ეტიუდისტთა მეთოთხმეტე საკავშირო ჩემპიონატზე, სადაც ვერცხლის მედალი დაიმსახურა, დავით გურგენიძეს მხოლოდ ერთი ბალი დააკლდა დიდოსტატის წოდების მოსაპოვებლად.

საერთაშორისო ოსტატის დავით გურგენიძეს დღემდე ორასამდე ეტიუდი აქვს შედგენილი. ამ ეტიუდებიდან ას ორმოცემა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებზე სხვადასხვა ჯილდო დაიმსახურა, ოცდაათამდე ეტიუდმა კი პირველი ადგილი მოიპოვა.

დავით გურგენიძის ეტიუდები მსოფლიოს ოცზე მეტი ქვეყნის უზრუნველყოფაში გამოქვეყნდა...

ბინდდება. ჭადრაკის სახალხე ხალხით აივსო.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი თენგიზ კობიაშვილი მაგდასთან ჯდება. ისრება და იდაყვებით დაყრდნობილ ხელეზე ნიკაპით ებჭინება.

შევცქერი საჭადრაკო დაფასთან დახრილ ახალგაზრდებს და უნებურად მახსენდება ბერი პაპას გულით ნათქვამი სიტყვები:

„ღმერთმა ინებოს, საგარეგოში მოჭიდვეთბივით ბევრი საჩინო მოჭადრაკე დაზრდილიყოს!“

აია გელუტაშვილი,

„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ლხინი ჰქონდათ საგარეგოელებს. ჭადრაკის სახალხის გახსნაზე უამრავი სტუმარი ეწვიათ.

სახალხის ლამაზად მოჩუქურთმებული აივნისკენ წასულ კიბეს ღიმილით აუყვებენ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე იური ავერბახი, საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციისა და ნაღარევილი, საერთაშორისო მსაჯი თენგიზ გიორგაძე...

ჩვენი ხამაყო ნონაც აქ იყო. სხვა ცნობილი მოჭადრაკეებიც მოსულიყვნენ, პიონერებიც, კოლმეურნიებიც, სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული სტუმრებიც...

სიხარულს სიხარული მოჰყვა.

ჭადრაკის სახლის საზეიმოდ გახსნის დღეს პარტიის საგარეგოს რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი შედეგა მეზვარიშვილი საქართველოს სპორტკომიტეტმა სპორტისადმი დიდი ყურადღებისათვის დიდი ოქროს მედალით დააჯილდოვა.

საგარეგოს საჭადრაკო სახალხეს იმის მერე ხალხმრავლობა აღარ მოჰკლებია.

მეტსაც გეტყვით.

საგარეგოელი ირაკლი ქვლივიძე ჭადრაკის დიდი ტრფიალია. იგი, საზოგადოებრივ საქმეებზე, პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეთა საჭადრაკო წრეს ხელმძღვანელობს.

მიუჯდება ხოლმე საკუთარი მანქანის საჭეს ირაკლი. ჩართავს ძრავას. დანიშნულ დროს სათითაოდ დაუვლის გაღმა-გამოღმა მოშორებით მცხოვრებ მოსწავლეებს. შეაჭურჩებს და რამდენიმე გზობაზე ყველას ჭადრაკის სახალხეში ამოაყვინებს თავს.

წრის მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ენთუზიასტი მასწავლებელი ისევ დაუვლის ხოლმე გაღმა-გამოღმა უბნებს, ისევ გააკეთებს რამდენიმე გზობას და ყველა მოსწავლეს სათითაოდ ჩამოარიგებს თავიანთ სახლებში.

ჭადრაკის სახალხის დირექტორი დავით გურგენიძე ვრცელ და ნათელ ოთახში გავიცანი. გავიცანი და ახლა თვითონ გამაცნო:

— ეს მეორე კლასელი ეკა ტაბატაძეა. ეს ანდრო შიოშვილი გახლავთ. ეს კი — მესამესკოლეელი მაია მეზვარიშვილი.

კუთხეში, საჭადრაკო დაფასთან, თავდახრილი მადონა ურდულაშვილი და ელენე ფარეშიშვილიც გავიცანი.

ისინი უკვე თანრიგზე თამაშობენ. მოწადინებას არ აკლებენ, ბეჭითობენ და როგორც კი დროს მოიხელოთბენ — ყოველთვის, თურმე, ასე გულისყურით ჩაპირკიტებენ სვლებს.

სახალხის ახალგაზრდა დირექტორი ეტიუდისტია.

დავითი ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა პირველი ეტიუდი შექმნა. ეს

რ ე ვ ა ზ მ ა რ გ ი ა ნ ი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი სვანეთის მალალი მთე-
ბიდან მოვიდა ქართულ ლიტე-
რატურაში, იქიდან გამოჰყვა
დაუცხრომელი ლტოლვა მშო-
ბლიური პოეზიის მწვერვალე-
ბისაკენ.

რევაზ მარგიანის „მირანგუ-
ლა“ მაუწყებელი იყო იმისა,
რომ ქართული ლექსის ოსტა-
ტებს მალე მხარში ამოუდგე-
ბოდა მალაღნიჭიერი, მკვეთ-
რად გამოკვეთილი საკუთარი
ხმის შემოქმედი, თავისი
მძლავრი პოეტური თაობის
შესანიშნავი წარმომადგენელი.

ომამდე გამოცემულ პირველ
წიგნში არაერთი ბრწყინვალე
ლექსია მოთავსებული. მათ
გაუძღვს დროის გამოცდას და
დღემდე ამშვენებენ არა მარ-
ტო პოეტის რჩეულ ნაწარმო-
ებთა წიგნებს, არამედ ქარ-
თული პოეზიის საბჭოთა პე-
რიოდის ანთოლოგიებსაც.

დიდი სამამულო ომის დღე-
ებში რევაზ მარგიანი იბრძო-
და, როგორც პოეტი და რო-
გორც ჯარისკაცი. იმდროინ-
დელი შთაბეჭდილებანი საფუ-
ძვლად დაედო პოეტის 1946
წელს გამოცემულ წიგნს „მუმ-
ლი მუხასა“, საფულისნმოა,
რომ მისი ერთი პატარა წიგ-
ნი „კომისარი გიორგაძე“ შე-
იქმნა და დაიბეჭდა ყირიმის
ფრონტზე, აკმონაის გამოქვა-
ბულში, 224-ე ქართული დი-
ვიზიის საველე სტამბაში.

ჩვენ ერთად ვიხილთ ფუხილის
დროსაც,
ზადავიტანეთ ფუხილი ძარბა.
ვინ მოგაფოროს საფორგლოს
დროსაც
კაცთსაქულაჟელი სიკვდილის
ზადა? —

ამბობდა იმ ქარიშხლიან დღე-
ებში პოეტი და მკითხველსაც
სჯეროდა, რომ ეს არ იყო უბ-
რალო პათეტიკური შეძახილი.

დიდი ადამიანური სიყვარუ-
ლითა და უნაზესი გრძობით
ათრთოლებული არაერთი ლა-
რიკული შედევრი მიუძღვნა
პოეტმა თავისი ცხოვრების
შერთვულეს თანამგზავრსა და
მეგობარს — ნინო ულენტს.
მათ შორის, მაინც განსაკუთ-
რებით მომხიბვლელია და ამა-
ლევებელი ლექსი „მე უბით
ვატარებ პატარა ბარას“.

ახალგაზრდა მწერალთა პი-
რველი საკავშირო თაბიბრის
შემდეგ, რომელიც დიდი სა-
მამულო ომის დამთავრების-
თანავე ჩატარდა, მთელ საბ-
ჭოეთში გახდა ცნობილი რე-
ვაზ მარგიანის სახელი. შემ-
დეგ წლებში მომეგ ხალხთა გა-
მოჩენილმა პოეტებმა თავი-
ანთ ენებზე აახმიანეს მისი
თვითმყოფადი პოეზია.

ახლებურად იფეთქა ქარ-
თული ლექსის ნაცადი ოსტა-
ტის დიდმა შემოქმედებთმა
ძალამ. ბოლო ათწლეულში. ნა-
ყოფიერი, მეტად ნაყოფიერი
იყო რევაზ მარგიანის, რო-
გორც შემოქმედებითი, ისე
საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

...ერთ-ერთ თავის ლექსში
პოეტი ნატრობდა იმ მამლის
ყვილის გაგონებას, რომელიც
ამცნობდა მას ოცდამეერთე
საუკუნის დადგომას:

„აიღავ ოციოდე ფაღიფაღი
ზაღვე. მაჩუჟე, რა მოხდება!
ტაბილი და ლაგაჟი სიბერე
ჩამთვის ნუ დაგზარდება!
ოღონდაც იმ მაჟლის უივილი
ზამაბონე,
უივილი — საოცრება,
მიჩა კი არ ვჩივი, არ
ვნაღვლოვ
საშუღავოდ დაზამთრებას.“

გულსატკენია, რომ ის „სა-
ოცრება“ — ოცდამეერთე სა-
უკუნის მამლის ყვილი ვერ
იხილა პოეტმა.



რაც შეეხება, სამუდამო და-
ზამთრებას, იგი ჩვენი ხალხის
ამ სახელოვან პოეტს არ უწე-
რია.

მისი ხვედრი მარადი სიცო-
ცხლუა და უკვდავება!

რევაზ მარგიანი ახალგაზრ-
დობის გულითადი მეგობარი
იყო, როგორც პოეტი, მოღვა-
წე და ადამიანი. მას ეკუთვნის
სიტყვები:

კარგია ჰომბის გული,
სიღამრად გადატყუილი,
თუ უსმინს ახალგაზრდობა...

რევაზ მარგიანს იმთავითვე,
სამწერლო ასპარეზზე გამოსე-
ლის პირველი დღეებიდანვე,
ყურადღებით უსმენდა ახალი
თაობა, რომლისთვისაც მშობ-
ლიური და ახლობელი იყო მი-
სი პატრიოტული, საბჭოთა სა-
მშობლოსადმი უსაზღვრო სი-
ყვარულისა და ერთგულების
გრძობით გამსჭვალული ლექ-
სები.

პოეტი ჯარისკაცი უმღერდა
ოლეგ კოშევოის და მის ლე-
გენდარულ გმირობას, მიჩაზა
გელოვანს და მის თავდადებას
სამშობლოსათვის. მოწიწებით
იგონებდა ქერჩის მძიმე ბრძო-
ლებში მამაცურად დაცემულ
ქართულ ბიჭებს, უკვდავყოფ-
და მათ სახელებს.

არა მარტო თავისი შემოქ-
მედებით, არამედ თავისი მჩქე-
ფარე საზოგადოებრივი მოღ-
ვაწეობითაც იგი მუდამ ახ-


ლოს იყო საქართველოს კომ-
კავშირთან, როგორც საქარ-
თველოს კომკავშირის ცენტ-
რალური კომიტეტის ყურნა-
ლების „დილასა“ და „პიონე-
რის“ მთავარ რედაქტორს, თა-
ვისი წვლილი შეჰქონდა ნორ-
ჩი თაობის სულიერი ჩამოყა-
ლიბების საქმეში.

რევაზ მარგიანი — ბრწყინ-
ვალე ლირიკოსი, ამავე დროს
შესანიშნავი საბავშვო პოეტი
იყო, მისი ბევრი ნაწარმოები
შეტანილია სასკოლო სახელ-
მძღვანელოებში.

ცნობილია მისი გულთბილი
დამოკიდებულება ახალგაზრდა
ავტორთა მიმართ. თვე ისე არ
გაივილიდა, მოსწავლეებს არ
შეხვედროდა, ჩვეული გულის-
ხმიერებით და ადამიანური სი-
ბრძნით არ ესაუბრა მათთან,
არ წაეკითხა მათთვის თავისა
მგრძობიარე, გულში ჩამ-
წვდომი ლექსები.

სწორედ ამიტომ ჩვენს ჭა-
ბუეებსა და ქალიშვილებს
გულწრფელად უყვარდათ რე-
ვაზ მარგიანი, სწორედ ამიტომ
დიდია მათი მწუხარება თავი-
ანთი კეთილი მეგობრისა და
მოამავის გარდაცვალების გა-
მო.

გვწამს და გვჯერა, რომ რეს-
პუბლიკის ახალგაზრდობა სა-
თუთად შეინახავს გამოჩენილი
პოეტის — რევაზ მარგიანის
წმინდა ხსოვნას.



რევაზ მარგიანი და ალექსანდრე ხაჩია.



მე

ნოველა

საიქო. თვალუწვდენელი მწვანე მინდორი, მინდვრის შუაგულში საურამე გზა ორ ტოტად იყოფა. იქვე მოჩანს მებოლილი ფიცრის ორი წვერ-წამახული ფირფიტა. მარჯვნივ შებრუნებულს გოგებაშვილის ასოებით აწერია „სამოთხე“, მარცხნივ მიმართულს „ჯოჯოხეთი“. გზის გასაყართან არწივის ცხვირებიანი, ძველებური სასწორის ირგვლივ ხალხი ბუზივით ირევა. ბზის ტოტზე შავი ხავერდია გადაჭიმული. ხავერდზე აბრეშუმის ძაფით ამოუქარგავთ რუსთველის სიტყვები: „აწლა ვცან საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია“.

მინდვრის განაპირას, ზეთისხილის ჩრდილში, ხავსმოკიდებულ მორებზე, ხუთიოდე მაჰაკაცი ზის და მასლაათობს. ჩაცმულობით ისინიც საგარეოდ არიან გამოწყობილნი, ოღონდ სხვებისგან იმით განსხვავდებიან, რომ სასწორს შემოჭარულთან ორომტრიალში არ მონაწილეობენ, სხედან მშვიდად და აბოლებენ.

საიქო ცისფრად განათებულ დეკორაციას წააგავს, დასალიერთან ცაზე შეჩერებული, მეწამული მკვდრის მზე ჰკიდია. მისი სხივები მინდვრამდე, რასაკვირველია, ვერ აღწევს. სხვა მხრივ ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენში. ეგ არის,

ბალახის სუნი არ იგრძნობა და არც ჩიტების ჭიკჭიკი ისმის.

— სახამ ვიჯდეთ ასე, იმისი არ იყოს, აღარ ვიკითხოთ, ვინაა ჩვენი პატრონი? — თითქოს საკუთარ ხელებს მიმართავსო, ჩახლეჩილი ხმით ამოილაპარაკა მაღალმაღალმა, სამოციოდე წლის კაცმა, რომელიც „მ“-ს დუდლუნით ცხვირში ამბობს და ლურჯი პიჯაკის ჯიბეში სისხლისფრად უნთია ერთადერთი მიხაკი.

— რა გეჩქარება, გერვასი. აქ მაინც არ ჩაბერავს ძაფსალების საყვირი, არ მომიკვდე მეტად, — ამოხედა ქვედა მორზე მჯდარმა თეთრყელსახვევიანმა, თვალმდებარეობა, წითურმა კაცმა, რომელსაც ახალთახალი, ცხვირვიწრო „მოკასინები“ გვერდზე უწყევია და ფეხის თითების თამაშით ერთობა.

— ნახე ერთი, კაკული, რომელი საათია? — მიუბრუნდა გერვასი გვერდით მჯდომ ცალხელა, მეღლებიან მელოტს.

— საღლა მაქვს საათი, — ჩაიბუზღუნა კაკულიმ.

— კიი ახლა, კაკული, წესია ასეთი, რაღაცა უნდა ამოგაცალოს ჭირისუფალმა, — პატრივეთული აქცენტით თქვა ყველაზე ზევით მოლასავით მოკეცილმა მიცვალებულმა, ყოფილმა სოცდაზღვევის აგენტმა ნარიმან ხელაძემ და ყურებზე ჩამოყრილი, შეღებილი

რეპეზ მიხველაქი

თმა ბერეტში მოხერხებულად შეიკუმშა.

— მერე რაღა საათს მაცლი, შე კაი კაცო, ამხელა გზაზე კაცი მივდივარ. მედოს მამაჩემის ნაქონი საათი ჯიბეში. რომ მკითხავს ის კაცი ახლა; რა უყავი ჩემი საათით, სიძემ ამომაცალათქვა, ვუთხრა? — ხვნეშით თქვა კაკულიმ და პაერს სული შეუბერა. — ისე, საღამოობით, ქე ეცივება აქაც, რომ იცოდე.

— ეცივება, აბა რა იქნება. მე ა, ასე ვარ წამოსული, ბნელ ხალხთან რომ გექნება საქმე. წვიმა რომ მოვიდეს, ამ დაჭრილი ფეხსაცმლით ვიარო უცხო ხალხში? — წრიბინა ხმით თქვა თმაგაჩეჩილმა, ყოფილმა პარიკმახერმა და გერვასის მხარზე დაადო ხელი.

— წვიმის ნუ გეშინია, ეგტიხი, წვიმას რა უნდა აქანა, — გერვასიმ ისე დარწმუნებით უთხრა ნაპარიკმახერალს, თითქოს საიქიოში ერთხელ უკვე ნამყოფი იყო.

— სიჩქარით, იმისი არ იყოს, კი არსად მეჩქარება, ჩემო კირილე, — მიხაკიანმა იმ წითურს მიმართა, ვიწრო ტუფლებს რომ შეუწუხებია და ფეხის თითებს შვებას აძლევს, — მარა, კაი ხანია, აქ ვზივართ და არავინ მოგვიკითხა, ხომ ხედავთ? სახამ უნდა ვიყოთ ასე, გაურკვეველ მდგომარეობაში. იმედის თითი დამელია უკვე, ვეღარ ვწოვ, ახლა დროზე უნდა ვიცოდე, რას ვეწო.

— სწორს ლაპარაკობს გერვასი, — ნარიმან ხელაძემ ფეხები გამართა, — დროზე უნდა გვითხრან, საით გვიშობიენ პირს. ჯოჯოხეთშიც ქე ცხოვრობს ხალხი, რავა...

— საჯოჯოხეთო არაფერი გამიკეთებია მე, — დაიწრიბინა ნაპარიკმახერალმა და თეთრი პარუსინის ფრენჩის საყელო აიწია.

— ნუ გეშინია, არაფერს დაგიკარგავენ აქანა. ე, უყურე იმ სასწორს. ნეტავი ღმერთივით ჩვენ ვიცოდეთ ჩვენ-ჩვენი საქმე. უბნის ინსპექტორი თადუმაძე ხომ არ გგონია, ყოველ მეორე დღეს რომ გაკითხავდა, ვითომ ნარდის სათამაშოდ და სამკოკიანი ერთ თვეში რომ დაგიყვანა თხლებე.

მიცვალებულებმა (უხერხული არ არის ეს სიტყვა ამ ჯანფერთ საფეხსაფეხლებზე?) გერვასის ნათქვამზე ერთხმად გაიცინეს.

— ისე, რაღაცა გლახად ირევა ხალხი მაგ სასწორთანაც, — სხვისი ხმით ამოილაპარაკა კაკულიმ.

— საქმის ერთცახე დაწინაურებისთვის იმ „ოჩერედში“ მაინც არ ჩავდგები, მეორედ რომ მოგვკვდენ აქანა. ერთი რამ ვიცი; როცა იქნება, უეჭველად


მოგვხედავენ. ამ გორებზე არა ვინ დაგვტოვებს: ჩემი გზა დამთავრებულია, ჩასაღწიარ მქონე ქარება, — არც ისე არხეინად თქვა კირილემ.

— მაინც შენსას ამბობ, კირილე? — გაცხარდა ნარიმანი. — კაცი ან იქით უნდა იყოს, ან აქით, ამას ვჩივი, მეტს არაფერს. უყურადღებობაზე გლახა, ხომ იცი, არაფერია ამ ქვეყანაზე. რამ მომკლა მე, იცი შეენ?

— რამ, რამ თქვი, თუ კაცი ხარ? — ეგტიხიმ იაფი ოდეკოლონით აქოთებულ თმაზე ორივე ხელი ჩამოისვა.

— რამ და, შესვენებაზე შინ წავედი სასადილოდ. დღეის სწორ ოთხშაბათს. ჩვენი ბუფეტის „სასისკმა“ კუჭი ამიშალა, თვარა როდის იყო შინ ვსადილობდი. დავურეკე ჩემს ცოლს, თუ ქალი ხარ, ჭადი დააკარი, განოვლივარ და წავიხემსებ პატარას-თქვა. ორი საათი იყო. „უიგული“ იქვე მეყენა კანტორასთან. ერთი საათი დრო მაქვს. მარდალეიშვილზე რომ ჩამოვუხვიე, ლვოვის ქუჩის კუთხეში გზა დაკეტილია. ორნი იყვნენ. ერთს ქე ვიცნობდი სახეზე, მაღალ ხიდთან რომ „სვეტაფორია“ სამტრედიის გზაზე, იქ იდგა სულ. გამიშვი, მე ვუთხარი, შინ მივდივარ „პერეროზე“—მეთქი. არ შეიძლებაო. კი მარა, რაზე დაკეტებო, რაშია საქმე, მე ვუთხარი. არ გესმის ხმაო? შორს ორკესტრი უკრავდა. რა ხდება, ამისენი-მეთქი. დამიბღვირა და ხმა არ გამცა. ორკესტრი სტალონის ქუჩაზე უკრავს და ამ ლვოვის ქუჩას რაზე კეტავთენთქვა. შენ ენა ხომ არ გეჭაება, ვერ გეტყვი შენს გზაზეო? ამან, ამ ჩემმა ნაცნობმა, რა შუაშია, ბიძიკო, ენის აქავება, რატომ მკადრებ, შენხელა შვილი უნდა მყავდეს, ცოლი რომ დროზე მეთხოვა-მეთქი.

აგერ მივდივარ ორას მეტროში, იქით არ გავდივარ, შინ მივდივარ, წამომყვიე თუ გინდა, მე ვუთხარი, პორთფელი ხომ არ გიგდია მანქანაში, წამოგიღებ, ბარელამ მიგაცილებ სახლამდეო, აგდებულად მითხრა. ამგენთან ლაპარაკი არ შეიძლება-მეთქი, დაეკოქე მანქანა და გამოვტრიალდი, ბეჟან ხუროდის ქუჩიდან შემოვუვლი და გავალ ჩემს სახლთან-თქვა, ასე გადავწყვიტე. ხუროდის ქუჩაც დაკეტილია. გამიშვი, საყვარელო, აგერ ვცხოვრობ ორ ფეხის ნაბიჯზე, შესვენებაზე ვარ გამოსული, შევხევეწე სერჟანტს. არ შეიძლებაო. მთავარ ქუჩაზე ხომ არ გავდივარ, სახლში მივდივარ, ა, ნახე პასპორტი, თუ არ გჯერა-მეთქი. არ შეიძლებაო, მეუბნება. თან მე კი არ მიყურებს, განზე იხედება. მო-



მისმინე, შვილო, მე ვუთხარი, შენ სწორი ხარ ყველაფერში, მარა მეცი პატივი, ჭადი მიცივდება, სამზე სამსახურში უნდა ვიყო, მე ვუთხარი. ჭადზე გადაბრუნდა და ჩაბჭირდა სიცილით. ხვალაგი! ნამდვილი აღმოიანის იმას არაფერი ეცხო, თორემ რა სასაცილოა ასეთი, თუ ძმა ხარ, კაცს რომ ჭადი უცივდება. მოვშორდი იმასაც. ვიფიქრე, სოკრატის ჩიხს მაინც არ დაკეტავდნენ, იქინა დავაყენებ მანქანას და ფეხით მივალ სახლამდე-მეთქი. ამასობაში ქე გახდა სამის ნახევარი. სოკრატის ჩიხიც დაკეტილი არაა? ახლა ამას ეხვეწე. გარდიგარდმო უყენია კურსანტს მოტოციკლეტი. გამიშვი, ეგერ მივლავები კუთხეში, არ მივლივარ ზევით-თქვა. ორ საათში დამთავრდება და წადი, ვინ გიშლისო. აქანა რა ზემია ამ ჩიხში, მე ვუთხარი. არაა შენი საქმეო. გამიშვი, შესვენება მითავდება, ღმერთი არ გწამს? მე ვუთხარი. არ მწამსო. მოიწი ახლოს, თუ არ გეწყინება-თქვა და რომ მოახლოვდა, ვუჩურჩულე: კუჭი მაქვს აშლილი და გამიშვი მამა-შვილობას, გლახათ ვარ ნამეტანი-მეთქი. შენ არ მომიკვდე. ქე შესრულდა ამასობაში სამი. მოვბრუნდი უკან, სამსახურში. მშვიერი, გაბრაზებული, დამცირებული. კიბეზე ასვლაც ვერ მოვასწარი. ფანჯრიდან შევძახე მოანგარიშე გოგოს: ერთი სკამი გამომირბენინე, თუ ღმერთი გწამს, რაღაც ვერა ვარ კარგად-მეთქი. მივგედე სკამზე და მერე აღარაფერი მახსოვს.

— სულ არაფერი? — ჩაპკითხა ევტიხიმ.

— პატარ-პატარა რაცხა. ლოყაზე ხელებს მიტყაპუნებდნენ, ცივი წყლით მზელავდნენ, ვილაცამ ნიშადურის სპირტი მომიტანა ცხვირთან, მაგრამ რაღაი ერთხელ ვქენი პირი აქეთ, ვერა და ვერ მიმახედეს მათკენ.

— მთლად ტყვილად ხარ მკვდარი, — კაკულიმ მორს ხავსის ბლუჯა ააცალა, დაყნოსა და მოისროლა, — ხავსის სუნი კი არა აქვს ამ ოხერს.

— რავა? — ევტიხი ზედმეტად დაინტერესებული ჩანს.

— ბავშვური სიკვდილია მაგი, სხვა არაფერი. შე კაი კაცი, ვზა არი ჩაკეტილი და ამაზე იხეთქე გული? რა იყო მერე. იმ ინსპექტორებს რომ ეჩხუბებოდი, რა გინდოდა, ისინი თავის საქმეს აკეთებდნენ. რა ექნათ მეტი. შენთვის დედა არავის შეუტყინებია და პანდური არ ამოუტყამს.

— ნეტავი შეეგინებიათ, შეიძლება დღეს ცოცხალი ვყოფილიყავი.

— რავა? — ნაპარიკმახერალის ხმა იყო.

— რავა და მეც შევაგინებდი, ან რაღაცას ვიზამდი და

მომეხსნებოდა ჭვალა გულიდან. ხომ იცით, წუთისაა აღამიანი.

— ახლა კი აღარაფერი ეშველება შენს საქმეს, მარა ნერვებით რავა უნდა მოკვდე ამხელა კაცი. უარი გითხრეს ხომ? მოვატრიალებდი მანქანას, გავიდოდი სუფთა ჰაერზე, გავივლ-გამოვივლიდი და წავისადილებდი სხვაგან სადმე. რავა სხვაგან არაა ჭადი?

— მე ჭადზე არ მაქვს საქმე. — ნარიმან ხელაძე უქმყოფილია, რომ ვერ გაუგეს.

— სული გაქვთ ყელში ახლანდელდეს. ამნაირი უბრალო რამე მომკლავდა მე? ნერვების გლვჯა ომში გენახა შენ. მკდარიყავი მაიდანეკში ჩემსავით სამ დღეს სიკვდილის კამერაში და ნახავდი მერე გასაქცევად თუ ივარგებდა შენი მუხლები. მე კი გავიქეცი, გავიქეცი და ოცდასამი კილომეტრი უსმელ-უჭმელმა ჭაობში ვტოპე. ნახე ერთი რავარი სატოპავია.

— აბა... თქვენ... ბოდიშს ვიხდი მარა... — ევტიხიმ მუდარით სავსე თვალებით შეხედა.

— რა მე, სამი წელიწადი ვებრძოდი კიბოს, პირველად რომ მომიჭირა ყელში, იმ წუთში ვთქვი გუნებაში, ეს ნამდვილად კიბოა-მეთქი. რად მინდოდა ექიმი, ჩემი თავის ექიმი მე ვარ. მაჯანჯლარეს აქეთიქით და გამომიცხადეს ბოლოს: არ აღმოჩნდა კიბოვო, დათესვამ არ უჩვენაო. მიცინიან პირში ჩემი ცოლ-რძალი და ვითომ მეც დავიჯერე, ავაშენათ ღმერთმა, რაკი კიბო არაა, წავიდეთ აბა სახლში-თქვა. ვითომ გახარებული ვარ მეც. ვინც მოვიდა იმ დღეს ჩემს სანახავად, ყველას იმ ღიმილის იქეთ ნაღველი უჩანს თვალეში. „შე უბედურო, შე უბედურო“, იწერება თვალეში ასე ა, რავარც მე თქვენი გხედავთ. „მომილოცავს, მომილოცავს, კაკული, გახარებული ვართ, კიბო რომ არ გაქვსო“, მეუბნებიან ყასიდად. ტყვილი ამბავია, ჩვენებურ კაცს შენ მოატყუებ? ავიკარი პირზე კლოუნის ღრანჭი და ვილიმები მეც. ერთ კაცს მარტო, ღმერთმა დიდხანს დააცალოს, ჩამოვა აქანა და კითხეთ თუ გინდათ, მარტო ერთ კაცს ვუთხარი, ჩემს ფრონტელ ამხანაგს, სამსონ შერვაშიძეს, მარტო რომ დავრჩით, სიმართლე — მე ქე ვიცი, რაც მჭირს, ჩემო სამსონ, არ გამაწვალავდეს ნამეტანს და ისე მომკლავდეს; ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება-მეთქი. ხმა არ ამოუღია სამსონს. იცოდა, ლაპარაკი ზედმეტი იყო. მაგრად იყავით, ხელი ჩამომართვა და წავიდა. სამი წელი ვიცოცხლე-მეთქი, ქე გითხარით. ვებ-

რძოდი სიკვდილს, აბა, რაფერ ვებრძოდი? იმ საღამოსვე გუთხარი ჩემს თავს, ასე რავა შეიძლება, სალ-სალამათი — კუჭი კაი, თირკმელი კაი, გული მუშაობს მშვენივრად, მილიონი საქმე მაქვს გასაკეთებელი და ყელში რაღაცა ჭირიანმა კიბომ გამიხახუნა, ამას დაუდვა თავი-მეთქი? ვერაფერსაც ვერ მიზამს. უნდა ვიცოცხლო, უნდა გავძლო, ასეა საჭირო-მეთქი. დავაბეგინე უკან სიკვდილს. საავადყოფოებში და ჰოსპიტლებში იმდენი მიჩხიკინეს და მასხივეს, გამიძლიერეს კიბო, თვარა სამი წელი ქე მყავდა მოგულულ-მიძინებული, დავდიოდი, პურს ვჭამდი, კაი ხასიათზე ვიყავი, არ ვფიქრობდი სიკვდილზე. ერთ თვეში გამასაღებდა, სასოწარკვეთილებაში რომ ჩავვარდნილიყავი.

— მერე? — გერვასიმ მიხაკი ამოიღო და ხელისგულებით დაატრიალა.

— მერე, რაც მოსასწრები მქონდა, რომ მოვასწარი, ღამ-ღამობით სევდა შემომეპარა. ამოვიჩემებდი რამე დიდ საქმეს, შეგებმოდი, გავაკეთებდი და იმ დამეს ვფიქრობდი. ისე, ნამეტანი უნამუსო ავადმყოფი კი ხარ, სანამ უნდა გაცალოს, გცა პატივი და ახლა შენც ქე მიყვივი პატარა-თქვა. ამ ფიქრმა დამლუბა. ნელ-ნელა ცხვირების მიზანს ვკარგავდი. მორევით მხოლოდ ამიტომ მომერია. ბოლოსდაბოლოს საზღვარი აქვს ყველაფერს.

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, — კვერი დაუკრა ნაპარიკმახერალმა, მკლავებზე ხელი აისვ-ჩამოისვა და ცრემლიწამდგარი, ფართო, მეტყველი თვალეები ირგვლივ მიმოატარა, — მე კი ვერ გეტყვით, იმის არ იყოს, კი არ ვიცი, რამ მომკლა ეს ოხერი და მულრეგი.

კირილე წამოდგა, ცხვირსახოცი დაფერთხა, ევტიხისთან ახლოს დააფინა და დაჯდა.

— შეუძლებელია. — შორს მკვდრის მზეს გახედა გერვასიმ.

— მეც შეუძლებელი მგონია, მაგრამ ასეა ეს, — ევტიხი ცოტა წათამადა და მხრებში გაიშალა, — არ უნდა ვიცოდე, კაცო, რამ მომკლა? არაფერი ისეთი ავადმყოფობა მე არ მქონია. თავს ვუვლიდი, რაც შემეძლო. სმით არ ვსვამდი. ღამის თევას და ნერვების შლას ვაწერიდებოდი. ზოგიერთმა დალაქმა გაუთავებელი ლაპარაკი რომ იცის, კლიენტს ყურებს რომ გამოუჭედავს, — არ ვიყავი ისეთი. ჩემს საქმეს ვაკეთებდი ჩუმიად და წყნარად. კრებებზე არ დავდიოდი, სხვის საქმეში არ ვერეოდი. ვუვლიდი, ნამდვილად ვუვლიდი თავს. მინდოდა, რა დაგიმა-

ლოთ და, კაი ხანს მეცოცხლა. ვამბობდი, — აბა ერთი წესიერი ცხოვრებით ჩამდგნ ხანს გაძლებს კაცი-ჭეჭვ. სულ ქრები ქვ ლად მეცვა. გაცივება რა იყო, არ ვიცოდი, გრილი რომ დაიწყებოდა, პირი მქონდა აკრული. ყველას შეხვდებოდა და მე ამივლიდა სახადი გვერდს. თავს ვუფრთხილდებოდი და იმიტომ. ეგება გაგიკვირდეთ და კაცი რომ ქალებში გაივლის, ჩხუბს რომ ატეხავს, ლობე-ყორეს რომ ედება, აბა-პაპა, არაფერი მსგავსი. ხლაფორთში თავის გაყოფას გავუბრბოდი. ასე მოვალწიე ორმოც წლამდე. ორმოცი რომ შემისრულდა, დავუძახოთ ახლობლებს, ხათესავებსო, — ცოლმა, დაბადების დღის გადახნდა რომ იციან, უარი ვუთხარი.

ვის რად უნდა ჩემი დაბადების დღე, რომელი უან უაკ რუსო მე ვარ-მეთქი. გავწვალდე ბით ტყვილად და ხალხს მოვინდურებთ. მეტს ვერაფერს გამოვრჩებით ამ ამბავს-მეთქი. რავარც შენ გავგებარდებო. ცოლი ჩემნაირი წყნარი მყავდა. ორ სიტყვას არ მეტყუოდა ერთიმორეზე. დავიძინე იმ დამეს დაა, ძილში არ გევიპარე? რატომ, რისთვის, რა იყო მიზეზი? ეს ერთი კვირაა, თავს ვიძტვრე, რაღაც ავადმყოფობა გამომეპარა, ალბათ, მარა ყოველ თვეში რომ დავდიოდი პოლიკლინიკაში და ვესინჯებოდი ჩემს ექიმს? ნეტავი, შენსავით ჯანმრთელი მე ვიყო, ეცინებოდა წნევის გასასინჯად რომ მივიდოდი. თვითონ ლოთია საწყალი, მეორე პოლიკლინიკაში, სოსოთა ტაყიძეს იცნობთ ყველანი, მამამისიც ექიმი იყო. ძველი ფერშალი ტაკიქე ომამდე მოკვდაო, ამბობენ, მე საიდან მემახსოვრება. ჰოდა, ეს სოსოთა უბედური, გული რომ ხელით ეკავა ყოველდღე, ქე დარჩა ცოცხალი და მე რავაც ხედავთ... ღამით გაპარვა მაინც რა სიკვდილი იყო. დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. არაფერი არ ყოფილა, არაფერი, უარე თავს ჩამდენიც გინდა, ამეწყვიტა უნდა სხვებვით და მეცხოვრა, რავარც სხვები ცხოვრობდნენ.

— გამარჯობა შენი, — კირილემ ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა. კაცმა არ იცის, რა ანგარიშით, მოეწონა ევტიხის ნაამბობი, თუ ირონიულად შეხედა საწყალი პარიკმახერის „წესიერ“ სიკვდილს?

სხვებს არაფერი უთქვამთ. მიცვალებულები დასავლეთისკენ დაძრულ მეწამულ ღრუბლებს შესცქეროდნენ და ევტიხიმ რომ დაამთავრა, თავები თითქმის ერთბაშად ჩაპკიდეს. მხოლოდ ამაზე შეეტყუთ, რომ ყურადღებით უსმენდნენ ნაპარიკმახერალს.

თქმით არაფერი უთქვამთ

ბიორტი ბიორკაუსტი

უკანასკნელი ღღეხი

მარგო თომაძე

დილით ადრე გაეღვიმა გიორგი მეფეს. სასახლესთან ყიყინი შემოესმა. მოედნის მხარეს, რიკულებიან აივანზე, გავიდა და თავისი თვალით იხილა სასახლის წინ თავშეყრილი 150 ლეკი. ისინი მოითხოვდნენ ქალაქისა და მეფის სასახლის დაცვისათვის დაპირებულ ჯამაგირს და იმუქრებოდნენ.

მეფე მოაჯირთან დადგა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად ბრძანა:

— შესდექით! — და მაშინვე მოუწოდა ქართველ ქეშიკთ, მოედნიდან გაეძევებინათ ამბოხებული ლეკები. სასახლის ყოველი კუთხიდან გამოცვივდნენ მეფის მცველები, ფიცხლად შეუტიეს ლეკებს. მეფემ გააფრთხილა ქეშიკნი, ლეკთაგან არავინ მოეკლათ. საქმის გამძობიებას აპირებდა.

მეფე სასახლეში შებრძანდა. ყულუხჩი მზად დახვდა წყლით სავსე თუნგებით. მეფემ, ჩვეულებისამებრ, ჯერ ათი კვერცხის გულით დაიბანა ხელები, მერე სურნელოვანი საპონი წაისვა და საგულდაგულოდ შეიმშალა. დილის ცისკრის ლოცვის შემდეგ რუსეთიდან მორთმეული ილითა და ღარიჩინით შეზავებული ჩინური ჩაი მიირთვა და თავის საძინებელ ოთახში შებრძანდა. ოთახი გრძელი იყო და ვრცელი, მაღალჭერიანი. აღმოსავლეთ კედელზე, თავჩაში ესვენენ მდიდრულად შემკობილი ხატები. მათ წინ სამი ოქროს სასანთლე იდგა. სამხრეთ კედელზე ეკიდა პორტრეტები პეტრე დიდის, იმპერატრიცა ეკატერინე მეორის, პავლე ხელმწიფის, თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეფის. ბუხრის თავზე იდგა „ზარის“ საათი, კოვალენსკისგან რუსეთიდან საჩუქრად მორთმეული. გიორგი მეფეს უყვარდა და დიდ პატივს სცემდა კოვალენსკის — რუსეთის რეზიდენტსა და მინისტრს თბილისში. კოვალენსკი კეთილად იყო განწყობილი ქართველებისადმი, მათი ზნე-ჩვეულებებისა და ადამიანურებისადმი.

ჩრდილოეთ კედელთან იდგა მეფის საწოლი ტახტი, გრძელი და ფართო, წითელი ხავერდით მდიდრულად მორთულ კედელზეც ხავერდი იყო გაკრული. ტახტთან ხავერდგადარებული მაგიდა იდგა. მაგიდაზე ეწყო საწერ-კალამი და ქალაღდეგი. შუაში იდო ყუთი, რომელშიც სამეფო ბეჭედი, ლუ-

ქი, საიდუმლო მიწერ-მოწერის ბარათები და სახარჯო ფული იყო. ამ ყუთის გასაღები მუდამ მეფეს ედო ჯიბეში.

აღღვებული მეფე მაგიდას მიუჯდა. ამ მაგიდასთან იგი ყოველდღე, სადილობადღე, სამეფო საქმეებს არჩევდა. ურჩქმათა და გარეშე მტერთაგან დიდად შეწუხებულს, ქვეყნის ბედი აფიქრებდა და მთელ იმედებს ერთმორწმუნე რუსეთზე ამყარებდა.

მეტადრე გარეშე მტერთაგან არ იყო მოსვენება: ირანის ყაენი თავდასხმისათვის ემზადებოდა. ქართლ-კახეთში ომარ ხანი ავარიელი დათარეშობდა. იგი შეიჭრა ზემო ქართლში, ააოხრა სურამი, აბაშიძეების სოფელი ჭალა. ტყვედ წაიყვანა აბაშიძის ორი და. მათგან ერთი თვით ჰყავდა ცოლად, მეორე კი ყარაბაღის ხანს მიართვა ძღვანად.

...და გიორგი მეფე იძულებული გახდა, 3000 ლეკი დაეჭირავებინა სასახლისა და ქალაქის დასაცავად. ისინი ავღაბრისა და მეტეხის ხიდან დააყენა მცველებად. ლეკებს ეძლეოდა ულუფად პური, არაყი, თითო ხელი ტანსაცმელი და თითო კაცს თვეში ოცდაათი მანეთი. თბილისში რუსეთის ჯარის შემოსვლას ექვსი დღეა აკლდა, რომ დაჭირავებული ლეკთა ბელადი, მურადი, ერთგული კაცი მეფისა, სასახლეში ეახლა მას და მოახსენა:

— ბატონო მეფევ, თქვენი ძმები — იულონი და ალექსანდრე გლაბატოზენ, ცდილობენ, მომისყიდონ მეცა და ლეკთა ჯარიც. დიდ მზადებაში არიან. სასახლეზე თავდასხმისათვის ემზადებიან. ეს ამბავი ზოგიერთ თქვენს კარზე მსახურსაც კარგად მოეხსენება, მაგრამ სდუმან.

მეფემ არაფერი შეიმჩნია, მადლობა მოახსენა მურადს ერთგულებისათვის და უხვად დაასაჩუქრა. მერე უხმო ხაზინდარს, ქაინოსრო სუბათოვს, და ლეკთა ჯარისათვის ჯამაგირის გაცემა უბრძანა, ხაზინდარმა შეჰკადრა მეფეს:

— უხვობამან თქვენმან გამოლივა საკუჭნაო თქვენი.

მეფემ გაიღიმა და ბრძანა:

— უხვსა მეფესა არ მოაკლდება საუნჯე, ვითარცა შიოს მარანსა.

... და გაჭირვებით მიეცა ლეკთ თავიანთი გასამრჯელო, ისინი დაითხოვა მეფემ.

ლალატში გარეული იყო დარეჯან დედოფლის ამილახვარი, ოსეფა ყორღანაშვილი. მეფემ იგი არ დასაჯა. მხოლოდ ბრძანა: „მაგის ფიცსა არ მივიღებ. ეგ არის მყრალი პატრუქი, ბეუტავს და აღრჩოლებს. ახლდეს დედასა ჩემსა. არ გავერევი მისსა სისხლშია. სისხლსა სისხლითა არ დაიბანენო“... თავისი ძმა იულონი გააძევა თბილისიდან. კათალიკოს ანტონ მეორის პირით შეუთვალა: „ნუ მიმიყვანს იქამდინ, რომ სპარსთა და მეფეთა უფლებითა დავთხარო თვალები“...

თითქოს დამშვიდდა მეფე. რუსეთის ჯარი უკვე ღუშეთში იყო.

სწორედ მაშინ მოვიდა სასახლეში ირანის ელჩი ყაენის „მეგობრული“ წერილით: იგი სთხოვდა მეფეს, რომ არ დაერღვია კავშირი საქართველოს მეფეს ირანის ყაენთან, არ მიენდო თავისი ქვეყნის სვებედი რუსეთისათვის. აღუთქვამდა მფარველობას, სარწმუნოების ხელშეშებლობასა და ათას „სიკეთეს“.

მეფემ პატივით მიიღო ელჩი და მაშინვე გულახდილად დალაშქრებულ მისწერა ყვენს: „ირანი შეგვექმნა მდევნელად და მტერად ჩვენდა. ირანმა აღწყვიტა ერი და გააოხრა სამეფო ჩვენი. ირანმა აღძრა ლეკი ასაკლებად ჩვენდა. ერთი და იგივე სარწმუნოება რუსთა ხელმწიფეთა თანა, მაიმედებს ქვეყნისა დამშვიდებასა. დარღვევა მათთან კავშირის არ შემძლიან და ვერცა შევირცხვენ პირსა და ვერცა გავტეხავ სიტყვასა მიცემულსა. ყოველივე სასულიერონი და საერონი გვამნი თხოვლობენ რუსეთისა ხელმწიფისა მფარველობას“.

მეფე მოუთმენლად ელოდა რუსეთის ჯარს. 1799 წელს, 26 ნოემბერს, დილით, დარიალის გზით, თბილისში შემოვიდა რუსთა ჯარი გენერალ ლაზარევის მეთაურობით. ჯარს წინ უძღოდნენ მეფის ძენი — დავითი და იოანე. ჯარი მოდიოდა მწყობრად, უკრავდა სასულე ორკესტრი, ციხიდან ისმოდა ქვემეხების სროლა, ეკლესიებიდან ზარების რეკვა. ათასხუთასი კაცი შეეგება ჯარს და თან გამოჰყვა. ჯარი საბურთალოში, მტკვრის სანაპიროზე დააბინავეს. მეფის ერთგულები და მახლობლები, რუსეთის მფარველობის მომხრენი, გახ-

რებულნი იყვნენ, რუსეთი დაცავს ჩვენს ქვეყანას და სარწმუნოებას მაჰმადიანებისაგანო. მტრები და მეამბოხენი კი ბოროტად უყურებდნენ ამას და საეჭვოდ ღუმდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, დილით, 12 საათზე, მეფემ ინახულა რუსთა მხედრობა. ჯარი სწრაფად გასწორდა და გამოეკეცა მეფეს. მიუახლოვდა მეფე და მაღალი ხმით მიესალმა: — გამარჯვება ქრისტეს მოყვარესა მხედრობასა.

— სიმართლე მეფესა, — შესძახა ჯარმა. გენერალმა ლაზარევი მიართვა პატაკი რუსულად და ქართულად დაწერილი.

ამავე დღეს, საღამოზე, კვლავ წაბრძანდა მეფე ბანაკის სანახავად. მოეწონა თავისუფლად, კარგად ჩაცმული მხედრობი.

— მხენი უნდა იყვნენ, სარდალო, — უთხრა იოანე ორბელიანს. — ახლა ვხედავ და მწამს, რომ ადვილად შეგვიშინებს და მოერევა ჩემთა მტერთა. განსვენებით ვიქნებით ამიერიდან.

ათი დღის შემდეგ სასახლის წმინდა გიორგის ეკლესიაში მეფემ წირვის მოსმენა რუსულად ისურვა. წირვის შემდეგ მგალობელ მხედრობის თავისთან უხმო, ჯიბიდან ვერცხლის აბაზიანები ამოიღო და სათითაოდ უბოძა. გენერალი ლაზარევი და მღვდელი თავისთან მიიწვია სადილოდ.

... მუღმივმა მღვლავარებამ დაასუსტა მეფე. სნეულებათანდათან მოერია. იგი მწოლიარე ვანაგებდა სამეფო საქმეებს. მიუხედავად ამისა, დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული, მხნედ და დაუღალავად ზრუნავდა ქვეყნის დასამშვიდებლად. ამარაგებდა რუსთა ჯარს პურით, შეშით, სურსათ-სანოვავით. ყველას არწმუნებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობით ქვეყნის საკეთილდღეოდ იღვწოდა. ამბობდა: — ჩვენს მიწა-წყალზე, ვეღარ ითარეშებენ თავაწყვეტილი ლეკები და ყიზილბაშები. ცხვრებივით ველარ გაყიდონ აწიოკებულ სოფლებიდან მოტაცებულ ყმაწვილებს, ქალებსა და კაცებს. მეჩეთებად ვეღარ გადააქცევენ სალოცავ ტაძრებსა და მონასტრებს.

1800 წელს, 23 სექტემბერს, გენერალ გულიაკოვის მეთაურობით თბილისში კვლავ შემოვიდა რუსეთის ჯარი. დიდი ზემოთ მიიღეს და დააბინავენ

ავლაბარში, ნაწილი — ლილო-სა და მარტყოფში. შეშინდნენ მეფის მეამბოხე ძმები და მათი მომხრენი. მეფე მათ შემორიგებას და ქვეყნის დამშვიდებას ცდილობდა, ისინი კი მტრებს უკავშირდებოდნენ. ბოლოს ყაენი, ომარ ხანი, ყარაბაღის ხანი და მთელი სამაჰმადიანო გაერთიანებული ძალით მოადგა საქართველოს საზღვრებს. მათთან ერთად იყო ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა ყველა შეთქმულთან. ომარ ხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი წამოვიდნენ საგარეჯოს მხრიდან. დანიშნულ ადგილზე უნდა შეხვედროდნენ შეთქმულებს, ამოეწყვიტათ რუსთა და ქართველთა ჯარი, დაეპყროთ თბილისი და ჩაეგდოთ ხელში ძალაუფლება, მაგრამ გენერალი გულიაკოვი რუსეთის ჯარით, მეფის ძენი იოანე და ბაგრატ კახეთის მხედრობით საგარეჯოსთან ახლოს, ნიახურასთან, წამოეწყვიტნენ და შეებნენ მტერს. სძლიეს. ომარ ხანი და ყიზილბაშთა რამდენიმე ბელადი ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრნენ. მტერმა დიდი ზარალი ნახა და უქუთქცა.

ნოემბრის შზიანი, მშვიდი და თბილი დღეა იყო. გენერალი გულიაკოვი გიორგი მეფის ნაჩუქარ ცხენზე იჯდა. მარჯვნივ და მარცხნივ გვერდით მოყვებოდნენ მეფის ძენი იოანე და ბაგრატ. ასე მწყობრად, ზეიმით შემოვიდნენ ავლაბრიდან ქალაქში.

წარუდგა გენერალი მეფეს და ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარის პირველი გამარჯვება მიულოცა. დამარცხებულ მტერთა ბაირაღები მოჰქონდათ დატყვევებულ ლეკებს. ქალაქის მცხოვრებნი ზურნით, დაფითა და საყვირით მიჰყვებოდნენ ძღვევამოსილ ჯარს. სასახლის მოედანი გაივსო ხალხით. გამარჯვებით გახარებულმა მარიამ დედოფალმა გულიაკოვის მიანლოვებისას წაიძრო თითიდან იაგუნდის-თველიანი ოქროს ბეჭედი და

საჩუქრად მიართვა გენერალს...

* * *

...საწოლზე მიჯაჭვული ავადმყოფი მეფე წუხდა. დედოფალი მარიამი თავისი მსლებლებითა და მცირეწლოვანი შვილებით ყოველდღე ფეხშიშველა დადიოდა ანჩისხატის ეკლესიაში და ხატის წინაშე დაჩოქილი, ცხარე ცრემლით ავედრებდა ღმერთს მეფის სიცოცხლეს. ანტონ კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა. განბანეს ხატი, წყალი მინის სუფთა ჭურჭლით წაიღეს სასახლეში და აპყურეს მეფეს სახეზე, მკერდზე.

თითქოს მოიხედა, უკეთ შეიქმნა. მაგრამ დილით, როცა დედოფალი შებრძანდა მის სანახავად, მეფე თვალმბარეული, უჩვეულო სახით იხილა, შეწუხდა და ცრემლმორეულმა მოახსენა:

— ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა ამათ? ვის აბარებთ, თუ გეწვიათ უბედურება რაიმე? დავითი უნდა იყოს ამათი პატრონი?

— ჩემო დედოფალო, გაიგონე, რა გიამბო: მე აღვუჩენ მათ პატრონსა დიდსა და ძლიერსა,

— მიუგო მეფემ. მერე გენერლის ხილვა ისურვა. სწორედ მაშინ დაიწერა წერილი, რომელშიც გიორგი მეფე იმპერატორ პავლეს აცნობებდა, დადგაო ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღე. ამავე ბარათში ეწერა: „ჩამიბარებია ანდერძად ცოლ-შვილი ჩემი და საქართველო“.

მოაწერა ხელი და დაუსვა თავისი ბეჭედი.

სწრაფად გავრცელდა ეს ამბავი თბილისში. ალაპარაკდნენ მეფის მტრები...

25 დეკემბერს. შობა დღეს, მეფის საწოლის პირისპირ, დიდ დარბაზში, დაიწყეს წირვა.

ამავე დღეს, წირვის შემდეგ, მოახსენეს მეფეს რუსეთიდან ახლად მოყვანილი ინდოეთის ქათმების შესახებ. უცხო რამ სანახავიაო, უთხრეს. მეფე მოხარული იყო, რუსეთიდან თუ კი რამ სიკეთე მოდიოდა. უყ-

ვარდა იქიდან გამოგზავნილი ჩინური ჩაი, თავი-შაქარი და თვით სასიცოცხლო წამალსაც იქიდან ელოდა. მძიმე სენისაგან შეწუხებული ძლივსა სუნთქავდა. მაინც ინება, ეჩვენებინათ უცხო რამ სანახავი. სწრაფად აცნობეს მეფის სურვილი კაცს, რომელმაც ჩამოიყვანა ინდური ქათმები რუსეთიდან და დავალებული ჰქონდა მათი მოვლა. მოჰგვარეს მეფეს ორი მამალი და ოთხი დედალი.

მდიდრულად მორთული სასახლის აჭრელებული ხალიჩების დანახვაზე გაცოცხლდა ფრინველებმა წვრილი, შავი თვლები დაჭყიტეს. მხიარულად განეწყვენენ, აიფხორნენ, ნელ-ნელა გაშალეს ფრთები, ბოლო მარაოსავით ააფრიალეს. მეფე განცვიფრებით შესცქეროდა მათ. გიორგი ბარათაშვილმა მოახსენა, ღირსება და გემოვნება ინდოეთის ქათმის ხორცისა.


— როგორ სჭამენ ამათსა ხორცსა? — იკითხა მეფემ.

— დილ, მეფევე! რუსეთში ძალიან მოსწონთ ნაზი და ბარაქიანი ინდოეთის ქათმის ხორცი.

— ღმერთმა დამიფაროს მაგათის ჭამისაგან, — ბრძანა მეფემ და პირჯვარი გადაიწერა. მომვლელმა ოთახიდან გაიყვანა ინდოეთის ქათმები. საქართველოში სწრაფად გავრცელდა ეს ჯიში: დასავლეთ საქართველოში დღემდე ინდოურს ეძახიან მათ.

ორი დღის შემდეგ მეფეს დაეკარგა მდა, აღარ ინება წვნიანი კერძი, არც პატრისაგან მომზადებული სურნელოვანი ჩაი. არც წამალი მიიღო. წყალმანკი გაძლიერდა. შეხუთა გული და დააწყებინა ქოშინი. დროდადრო ალიბუხრის წყალს მოითხოვდა და სულს ამით ითქვამდა, მოიხმო თავისი მოძღვარი ექვთიმე და სთხოვა, ლოცვანი ეკითხა, ლოცულობდა და ტიროდა.

საქართველოს უკანასკნელი მეფე ასე ავედრებდა ღმერთს თავის ქვეყანას.



ლაზრემბტი ზიჰინაძე და ნინო ბაჰარაშვილი — შიომღვიმელის პრემიის ახალი ლაურეატები

როგორც ჩვენი ყურნალის მკითხველებმა იციან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დანესდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, რომელიც ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსის შიომღვიმელის სახელს ატარებს.

შარშან ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის განვითარების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის შიომღვიმელის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ როდინ ქორქია, გიორგი ნახუცრიშვილი და ქეთევან ქუჩუკაშვილი — შესანიშნავი საბავშვო მწერლები, ნორჩი თაობის ერთგული მეგობრები.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნომ ნოდარ დუმბაძის თავმჯდომარეობით განიხილა საბავშვო ლიტერატურის სექციის წინადადება და შიომღვიმელის პრემია 1984 წლისათვის მიანიჭა მწერლებს — ლავრენტი აღმასხანის ძე ჭიჭინაძეს და ნინო ლევანის ასულ ბეზარაშვილს.

შიომღვიმელის პრემიის ახალ ლაურეატებს კარგად იცნობენ ნორჩი მკითხველები, მათი მშობლები, პედაგოგები, მათ იცნობს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

შიომღვიმელის პრემია ლამაზი, ღირსეული ჟილდოა ყველა მწერლისათვის, ვინც მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ნორჩ თაობას ემსახურება.

სულითა და გულით ვულოცავთ ძვირფას მეგობრებს შიომღვიმელის პრემიის მინიჭებას და ვუსურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს, მრავალ ახალ შემოქმედებით სიხარულს.





რუსულან ფატვიაშვილი

თბილისის მხატვართა სახლში გამოფენილმა მისმა ოთხასმა ნამუშევარმა სენსაციის მოახდინა სპეციალისტთა და ხელოვნების მოყვარულთა ფართო წრეებში.

მნახველთა რეკორდული რაოდენობა, ოცდათხუთმეტი ათასი ადამიანი, ორი კვირის განმავლობაში ეცნობოდა თქვენს მუშაობას — რუსიკო ფეტვიაშვილის ნახატებს.

დამთვალიერებლის წინაშე იშლება შეუდარებელი წარმოსახვით შექმნილი ფანტასტიკური სამყარო — ნახევრადღმერთები და ნახევრადადამიანები, არსებული მხეცები თუ არსებები. ღრმა ფილოსოფია და გულუბრყვილო ზღაპარი, სრულყოფილი მიყვანილი კომპოზიცია, ფერადი გამის თამაში, ხაზების ძუნწი სიზუსტე, აი, ის ძირითადი კომპონენტები, რითაც მხატვარი თვით უმნიშვნელო დეტალებსაც კი აცოცხლებს.

ნორჩი შემოქმედი ზედმიწევნით და გამომსახველად ავებს თავისი ნაწარმოების არქიტექტონიკას. შეუცნობი და უჩვეულოა მისი ნამუშევრების სტილი.

ეს რუსიკოს მესამე პერსონალური გამოფენაა. პირველი კი 1974 წელს თბილისის ბავშვთა სურათების გალერეაში მოეწყო, როდესაც მას ექვსი წელი შეუსრულდა.

მოგვიანებით მისმა ნახატებ-

მა მოიარეს მოსკოვი და პარიზი.

გამოჩენილმა იტალიელმა მხატვარმა რენატო გუტუზომ რუსიკოს ნახატების გაცნობისას გამოთქვა თავისი შთაბეჭდილება: „მისი ნამუშევრების ხილვისას კიდევაც შემოთვლიდა. მე ღრმად შემძრა მისმა გასაოცარმა ფანტაზიამ, ბუნებრივის შერწყმამ ზებუნებრივის ელემენტებთან“.

რუსიკო ფეტვიაშვილი თბილისის 125-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა. მკვირცხლი და ხალისიანი გოგონაა. უყვარს მუსიკა. მამა — ვახტანგ ფეტვიაშვილი — მოქანდაკეა, დედა — მანანა აბრამიშვილი — ფილოლოგი და დრამატურგი. ორი ძმა და ორი და ჰყავს. მათ შორის რუსიკო უფროსია.

ხატვა ორი წლის ასაკიდან დაიწყო. ხატავდა შავი ფანქრით, შემდეგ ფლომასტრით, ყალმით და ტუშით.

შინ ყურადღებას არ აქცევდნენ გოგონას გატაცებას, — ხატვა ყველა ბავშვს უყვარსო, მაგრამ გატაცება თანდათან სიყვარულში გადაიზარდა. ქალაქში ჩნდებოდა რთული და საოცრად ჰარმონიული კომპოზიციები. ხატვას ფურცლის ნებისმიერი წერტილიდან იწყებდა წინასწარი მონახვის გარეშე. გამოჰყავდა მთავარი ფიგურები, შემდეგ კი უხამებდა მას დანარჩენს. ღებულო-

ბდა ძალიან ეფექტურ და თავისებურ სახეს. ნამუშევრებში იგრძნობა ხასიათი, ინდივიდუალური სტილი.

— ის არასოდეს არ იხატავდა, — ამბობს მამა, — არ შემეძლო იმის გაგება, საიდან იღებდა ამ სიუჟეტებს; ვის ან რას ბავშვმა, გადავთვალე რელიტერატურა, მაგრამ ანალოგიები ვერსად ვიპოვე. რუსიკოს ძალიან უყვარს ზღაპრები, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ მისი პერსონაჟები რაიმეთი ჰგავდნენ ამ ზღაპრების პერსონაჟებს.

— აინტერესებდა თუ არა ხატვის ტექნიკა?

— არა.

— იქნებ თქვენ ეხმარებოდით?

— ვეხმარებოდი იმით, რომ ხელს არ ვუშლიდი და არც ვერეოდი მის შემოქმედებაში. სრულ თავისუფლებას ვანიჭებდი. გარედან ჩარევა დამლუპველია თვითმყოფადობისათვის, მისთვის, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს. ვფიქრობდი: დე, გაიზარდოს, მომაგრდეს და მერე ვნახოთ...

რუსიკო წინასწარ არასოდეს იგონებს თავის სამუშაოს. ის ქმნის ხატვის პროცესში, თითქოსდა სტიქიურად. მას შეუძლია, კალმით და ფუნჯით ივადეს საათობით. უსმენს მუსიკას, უმეტესად კლასიკურს, და ხატავს. ძალიან მომთხროვანია საკუთარი თავისადმი. თუ ნახატი არ მოეწონა, იწყებს თავიდან. არ არის დატყუებული, რომ მისი ნახატები კარგია.

პირველად გამოფენაზე გავიცანი. მისი ნახატების გასაცნობად მოსულებს სახეებზე აკვირდებოდა. ალბათ, შთაბეჭდილების ამოკითხვა თუ სურდა. შეკითხვებზე დინჯად და ლაკონურად პასუხობდა. — საყვარელი მწერლები: — ილია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გალაკტიონი. — კომპოზიტორი? — ბეთოვენი. — მხატვრები? — მოდელიანი, რენუარი, გოგენი — იმპრესიონისტები. — საყვარელი ფერი? — ვარდისფერი და ლურჯი. ყვავილები? — იები. — საყვარელი კუთხე — თბილისი, ნუტუბის ქუჩა, იქ, სადაც დავიბადე და გავიზარდე. — რა არის სიკეთე? — როცა გვერდში მეგობრები გყავს. — სურვილი? — ადამიანებს უყვარდეთ ერთმანეთი.

და ბოლო კითხვა. შენ არასოდეს უწოდებ ნახატებს სახელს. რატომ?

— იცით, რა, მე ჯერ არ ვიცი, რა გამოვა, — ჩუმდება და ისევ განავრძობს, — ბავშვებს უყვართ ზღაპრების მოყოლა, მე ვაფერადებ მათ ფანქრით ქალაქზე. რაზეა ისინი, თვით მნახველი უნდა მიხვდეს.

ნიკა კვიციანი



ჩვენი მეგობარი

ოცდაათი წელია, რაც შემოქმედებით სარბიელად ბონდო დადვადემ პრესა აირჩია და დღემდე სისხლსავსე ცხოვრების წინა ხაზზე ტრიალებს. სწორედ ამან განაპირობა მისი პოპულარობა ჩვენს ყურნალ-გაზეთებში. ხშირად ანიჭებენ სპეციალური კორესპონდენტის რწმუნებას და გზავნიან იქ, სადაც საჭიროა დიდი გამოცდილება და ოსტატობა. მან პირველმა ჩამოიტანა ბამიდან მაღალმხატვრულად შესრულებული ფოტოალბომი ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

„დროშის“ მკითხველი კარგად იცნობს ბონდო დადვადეს. მან არაერთხელ გაიმარჯვა ფოტოკონკურსებზე და გახდა ყურნალის 1979 წლის ლაურეატი. მკითხველი იცნობს მის ხელწერას, მისგან მუდამ ახალსა და საინტერესოს მოელის. ბონდო დადვადე თანაბრად ძლიერია ფოტოგრაფიის ყველა ფანრში, ეს იქნება პორტრეტი, პეიზაჟი თუ რეპორტაჟი.

ახლახან ბონდო დადვადეს დაბადების ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად სახელმწიფო სურათების გალერეაში მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

გამოფენის გახსნისას სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ყურნალისტთა კავშირის მდივანმა გიორგი ხუციშვილმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი სანდრო მამასახლისი, ყურნალ „სოვეტსკოე ფოტოს“ რედაქტორის მოადგილე გრიგოლ ჩუღაკოვი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე, პროფესორი როინ მეტრეველი და ყურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი ხუტა ბერულავა გულთბილად მიესალმნენ შესანიშნავ ფოტოყურნალისტს.

თარხან არჩვაძე,



საპარტიალო სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.



ნინო ჯანგულაშვილი

ახალგაზრდა მხატვრები
„დროშის“ ფურცლებზე










ქართული
კინოატობა



გონდო დაღვანე





ჩვენს ძველს ნორჩი მოქალაქენი



მურმან ჯგუზურია

ცხენების გასინჯვა ზუგდიდის იპოდრომზე

ეს არაბული ცხენი არი, ის — აფხაზური, უბარდოულმა ჩაიარა თამაშ-თამაშით. ზოგი მათგანი განთქმულია მთელს ქვეყანაში და მოგებული ომებია ამის დასტური.

ზოგი მათგანი კეკლუცია და თავს გვაწონებს, ზოგმა მშვილდით მოიდრია ყელი ლამაზი, სხვადასხვა ფერი მოსავთ მხედრებს ტანისამოსი და წამლუწუმ მათრახების ისმის ტკაცუნით.

თავზე წაუკრავს აგერ მხედარს ბაშლიყი კოხტად, წრეში შემოდის წაბლისფერი მეგრული ცხენი, და უკვირს თეთქო ამ რემაში საიდან მოხვდა, ზორბა მერინებს ხანდისხანად გახედავს წყენით.

ერთი სული აქვს, დაიწყება, ვიდრე თარჩია და ყალუზე დგება, ჭიხვინებს და ერთ ამბავშია.

მსაყვედურობენ

მსაყვედურობენ:

ლექსში ხშირად ვახსენებ ოჯახს, თუმცა ოჯახში სახელმწიფოს ღირსებაც მოსჩანს.

მსაყვედურობენ:

ლექსში ხშირად ვახსენებ სვიმოს — მაღაზიისას ვარჩევ თურმე მარანის ღვინოს.

მსაყვედურობენ:

ლექსში ხშირად ვახსენებ სინწას — ველარ ველევი ერთი ბეწო ქაფათის მიწას.

მსაყვედურობენ:


მაგრამ დაე, მისაყვედურონ, საყვედურს კაცი რომ მოეკლას, ჭერ არ მსმენია,

თვისი ჰქონდეს და სხვისი ქული თავზე ეხუროს, მამულზე მეტად სხვა უყვარდეს, შემირცხენია!

დეკემბრის ბაღში სეირნობს კაცი

საირიღონ კვარაცხელიას ხსოვნას

მე ვხედავ: ბაღში სეირნობს კაცი, ის იხედება, მარჯვნივ და მარცხნივ, ხან დაიხრება, დასწვდება ფოთოლს, მას ეს ყვითელი ფოთოლი მოსწონს. ხან ნანგრევებთან ჩერდება დიდხანს, აქ მიუტარის სასახლე იდგა, და ბზის ხეივანით წინ მიდის ისევ, უფერულია დეკემბრის სივრცე, მცირე ბუჩქნარი, ბაღახი — ხმელი, უკვე ჩავიდა მიწაში გველი, ხვლიკი კი, აგერ, ფოთოლზე თბება, და უღონო მზე ხეივანს ღებავს. ბაღში მოხუცი სეირნობს კაცი, თან იხედება მარჯვნივ და მარცხნივ. ბრუნდება უკან, წინ მიდის ისევ, მიიქნევს ხელებს და ხელებს მისდევს. ხან გაქვავდება, ახედავს ზეცას, ასე იქმნება დეკემბრის ლექსი. დეკემბრის ბაღში სეირნობს კაცი, გულია დაფა და ფიჭრი — ცარცი, მწუხრდება ნელა, ქრის ცივი ქარი, ქარია ეტლი, ფოთოლი — მგზავრი. ბაღში მოხუცი სეირნობს კაცი...



მინაწარი ნიგნო

„შენ იუშრები სარკმლიდან ახლა“

მე ზერე-ქვერე ხეტიალს გადავირვიე უკვამ, უკვე შინა ვარ მეტწილად, რაც დიდ-პატარას უკვირს.

უკვე მოვწყინდი სუყველას, ყველას ვუყვარვარ თუმცა, მგზავნიან ბორჯომს, ლუგელას, უკრაინას და რუხეთს.

სარკმლით ჩანს: მიდის ღრუბელი, უბერავს ზურგას ქარი... კაცი არ ვიყო, თუ ყველას არ მოგანატროთ თავი...

შენ მეთე წიგნი გქვია (ის პირველი სხვა იყო). ვერ ახარებ გულის ჭიას, გული უკვე გაიყო.

ნასყდრალის ციციქა ია წყალდილობა წაიღო, აღარ გცივა, აღარ გშია, უნდა კარგად გამოიგო:

შენ მეთე წიგნი გქვია (ის პირველი სხვა იყო).

მე ვავინწყდები

ეზოში ვართობ ბოჩოლას, ვაჭმევ გემრიელ ბალახებს. ტოლივით ვეთამაშები, ვამხიარულებ, ვალაღებ. არც ავონდება დედოკო, არც მარტო ყოფნა აშინებს. როგორც კი დედას შეხედავს, მე ვავიწყდები მაშინვე.

თოჯინა და მართა

ბებოს ბაძავს მართა, მატყლის ფთილას ართავს. თოჯინას კი მასთან ჩხუბი გაუმართავს: — ზაფხულია, ახლა ისეც ოფლი მდისო! — ჩემო კარგო, წინდებს ზამთრისათვის გიქსოვ!

მეთევზეები

ლიფსიტებით ავაგსეთ ძია გელას აუზი. ვკვებავთ მე და ნოდარი, ნოყიერი საუზმით.

ეზოში კრავი დამიდის

ეზოში კრავი დამიდის, ნეტავი ყველას განახათ. მწვანე, ბიბინა ბალახი, სულ ერთ კვირაში გადახრა. ახლა კი ადგილს მივუჩენ სათიბში, ეზოს გადაღმა...

კარაძი

პურის ნაჭერს ვაცხებ კარაძს. აბა, ისე გემო არ აქვს...

დავაპურა

წიწილებმა შიმშილით ვაი-ვიში ატეხეს. შევაქუჩე კაკლის ქვეშ, ვუფშვნი მჭადის ნატეხებს.



შურნალი შურნალოი გავრავებისათვის

ავთანდილ მეგრელიშვილი

ყვავილეები

გაიშალნენ ყვავილები, რა კარგები, რა ნაზები, ჭრულკაბება დობილები, ერთმანეთზე ლამაზები. გრილ ნიავეზე ქანაობენ, თავს უხრიან პეპლებს რიდით. თითქოს თხოვენ: საალერსოდ ნაზ ფურცლებზე დაგვაფრინდით!

სოფლისკენ მივიჩქარავით

ქალაქში სუნთქვა გაჭირდა, სოფლისკენ მივეჩქარებით. გაგვაგრილებენ წყარონი, საამო ნიავე-ქარები.

გველოდებიან ტყეები, მთები, ველები, ქალები. გველოდებიან ტოლსწორთა გაღიმებული თვალები.

ჩანთა დავინწყავია

ჩვენი მამია. დღეს დილით ვერ გავაცილა ბებიამ. სკოლაში ისე წასულა, ჩანთა შინ დაგიწყებია.

სიჭი, როველსა ჩიჭის ბული ჰქონდა



სუტა გარულავა

სიჭი, როველსა

ჩემო გოგა!
იყო და არა იყო რა, კაციშვილზე უკეთესი რა იქნებოდა. კოლხეთის მიწაზე ცხოვრობდა ერთი ამაყი და მეოცნებე, მკვირცხლი და შრომისმოყვარე ბიჭი, მეტსახელად ვახუშტი.
მისი სათავგადასავლო ამბები თუმცა დროდადრო ადრეც მახსენდებოდა, მხოლოდ ახლახან დავაბინავე ერთ ჭერქვეშ — ამ წიგნში.
მეტი რომ არა ვთქვა, სევდიანი ბავშვობა ჰქონდა იმ კურთხეულის შვილს. ბენვის ხიღბეც მრავალჯერ გაუვლია

და სიმნრის ცრემლებიც საკმაოდ უღვრია. სიცივე მაინც ვერ გაეკარა მის მგრძობიარე, ალალ და კეთილ გულს. ამიტომაც შემთხვევით როდი ამბობდნენ მასზე: ამ ყმანვილს ჩიტის გული აქვსო.
ღიახ, გოგა, წუთისოფლის ვინრო გზაზე მარტოდმარტო მიმავალი ბიჭი განსაცდელსაც ბევრჯერ გადაჰყრია, მაგრამ სათნო კაცთა წყალობით მუდამ ბედნიერად გადარჩენილა. ისიც უნდა ითქვას: არაფრით ჰგავდა უმადურსა და გულმავინყ ადამიანებს, რომელთაც

გუშინდელი სიკეთეც აღარ ახსოვთ. არავინ დავინწყებია იმათგან, ვისაც მის ხუჭუჭა, ჯიუტ ქორორზე ერთხელ მაინც აღერსიანად გადაუსვამს ხელი.
ბიჭს, რომელსაც ჩიტის გული ჰქონდა, წიგნები უყვარდა, ძილი კი არა: დღე-ღამეში ოთხი-ხუთი საათი ჰყოფნიდა, დანარჩენ დროს კითხვას ანდომებდა და ოცნების ბაღში დაფრინავდა. ბიჭის თავგადასავალს რომ გაცნობი, შენ თვითონ წაუკითხე ნინოსა და მიხოს. ვინ იცის, მერე იქნებ სხვა გოგობიჭებიც დაინტერესდნენ.

ეჩიხე, ვახუშტის ვახუშტ...

ჩვენი სახლი სკოლიდან ორმოციოდ მეტრით იყო დაშორებული. ტრიფოლიატის ღობე ერთ ადგილას ისე იყო გამოჭრილი, ჩემზე უფრო დიდი ბავშვი, ვგონებ, ვერც გაეტეოდა. გავძვრებოდი და სკოლის პირველი ზარის წყრიალზე პირდაპირ საკლასო ოთახისკენ გავრბოდი. ზოგჯერ მაინც მაგვიანდებოდა გაკვეთილზე. თავბედს ვიწყევლიდი ამის გამო. განსაკუთრებით მაშინ, როცა ვაჯავრებული მასწავლებელი თამარის მინსენებდა:

— თითქმის სკოლის ეზოში ცხოვრობ, ბიჭო, შენი დაგვიანება ვინ გაიგონა! აი ამ გოგოს შეხედე, ორი კილომეტრის სიშორიდან დადის. აბა თუ გახსოვს დაგვიანებული?

თავდაპირველად ამრეზით შევეყურებდი ამ წრიბა გოგოს. მალე კი დავმეგობრდით. გამხდარსა და მოშავგვრემანო თამარის ძალიან ლამაზი, მეტყველი, თაფლისფერი თვალები ჰქონდა. შავი, გრძელი ნაწნავები უნდებოდა.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ თამარია, მე და კიდევ ორი ბიჭი, რომელთა სახელები ახლა აღარ მახსოვს, ხან კენჭობანას ვთამაშობდით, ხანაც ზღაპრების კიდობანს გავხსნიდით და... ერიპა!

ძალიან მიყვარდა ზღაპარი, უამრავიც ვიცოდე, ოღონდ მოყოლა არ მეხერხებოდა: გზადაგზა ათას რამეს ვიგონებდი, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო ზღაპრის თავდაპირველ შინაარსთან. ის კი, თამარია, ისე ჩააწყრივლებდა, სამუდამოდ დაგამახსოვრდებოდა ზღაპრის ყოველი პერსონაჟი, დადებითიც და უარყოფითიც.

იყო და არა იყო რა...

მადლობა თქვენდა, მშვენიერო მშობლიურო ზღაპრებო! რამდენი სიკეთე, სინაზე და სიყვარულია ჩაქსოვილი თქვენს

ჩუქურთმიან ფოლიანტებში! რამდენი მიფიქრია, მინატრია და მიოცნებია თქვენი შთაგონებით, მალამოსავით ედებოდით მუდამ ჩემს ნაიარევე და ტკივილიან გულს. თავის უბედო ბედს მინდობილი ბაღლი თქვენ გადაგყავდათ იმ ჯადოსნურ სამყაროში, სადაც ბოროტება ვერ გაიხარებს, ხოლო სიკეთის გამარჯვება გარდაუვალია.

ევე, ჩემი ნება რომ იყოს, დედებს, მამებს, ბებებებს, ბაბუებს, ვასწავლიდი უთვალავ ზღაპრს, რათა თავიანთ პატარებს აკვის ასაკიდან დანათლონ ხალხური სიბრძნის გაუმქრალი ნათელი.

ძნელსა და შეუძლებელს არაფერს ვამბობ...

მაპატიე, გოგა, სათქმელს გადაცდი.

სკოლის დიდი აივანი, რომელიც სიგრძით ოცდაათი, ხოლო სიგანით სამი-ოთხი მეტრი იქნებოდა, გაკვეთილების შემდეგ ჩვენი სათამაშო მოედანი ხდებოდა. იატაკის ფიცრები ალაგ-ალაგ ისე იყო ამოცვენილი, რომ აიწონა-დაიწონას თამაში შეიძლებოდა.

ერთხელ თამარის ბაბუები ავაცალე ნაწნავიდან და გავიქეცი. ისეთი გოგო არ იყო, ამისათვის ცრემლები დაედგარა. გაალმასებით გამომეკიდა. ის-ის იყო უნდა დამწეოდა, რომ მარჯვენა ფეხი ერთ-ერთ ამოვარდნილ ფიცარს დავადგი, ფიცარმა ჩემს მხარეს ჩაიწია და სირბილით მომავალი გოგო იმავე ფიცრის ბოლოს მკერდით მოაწყდა. გაისმა ტაკ-ანი და მე გულწასული დავეცი.

მალე გონზე მოვედი და წამოდგომა ვცადე კიდევ, მაგრამ ამაოდ. თამარია ამოიკომა ატეხა. თურმე ჩემიანებსაც შეატყობინა, რა უბედურებაც დამატყდა თავს.

მეტადრე ის ამწარებდა, თანაკლასელი ბიჭები, იმ დროს ჩვეთან ერთად რომ თამაშობდნენ, საჩქაროდ წასულიყვნენ შინ.

— ლაჩრები, ლაჩრები! — გაჰკიოდა თამარია, — გაიპარნენ, ჩვენ არ დაგვბრალდესო. თქვენ ვინ რას დაგაბრალებთ, გლახაკებო, უნდილებო, უგულლებო! ბიჭმა ფეხი მოიტეხა, ესენი კი ბატკნებივით გაიფანტნენ, იმის ნაცვლად, რომ მიშველებოდნენ...

ღმერთო ჩემო, როგორ ტიროდა თითისხელა გოგო!

— ყველაფერი ჩემი ბრალია. მე დავლუპე ვახუშტი. რა მეშველება, რა მეშველება! — დიდვიით ქვითინებდა.

ისედაც თვალცრემლიანს, თამარის ტირილზე გული მეკუმშებოდა, ამიტომ მისი დამშვიდების თავი არა მქონდა.

თანდათანობით ტკივილმა იმატა, ფეხი საშინლად გამისივდა. ციმციმ წამიყვანეს შინ და ქალაქის გამოჩენილი ექიმები დამასიეს. მამაჩემი შორიახლო იდგა და დასტაქრებს ევედრებოდა, არაფერი დააკლოთ, ხეიბარი არ დამიტოვოთო.

— ბატონო მისა, ნუ შიშობთ, ორიოდ კვირაში ფეხზე დავაყენებთ! — ამშვიდებდა ძია ივანე.

ცოტა აზრზე რომ მოვეგე, თამარიაამც მინახულა. იგი ფართოდ გაღებულ, შეშინებული თვალებით მიყურებდა. ისედაც გაჩხიკული გოგო სულ დაპატარავებული მომჩვენა. ძალიან გამეხარდა, რომ შევებრალები, რომ გავახსენდი. ეს ბავშვური სიხარული უმალ სახეზე გამომეხატა. თამაშირში ჩასმული ფეხი ვუჩვენე და გამელიმა.

გამიღიმაო და თვითონაც ბედნიერების შუქი გადაეფინა სახეზე.



— ზაშ, არ მიჯავრდები, არა?
 — შენ რა დაგიშავებია, გოგო.
 — აჰი ფეხი მე მოგამსხვრე, ჰა! რაც შენ მოგივიდა, მე დედ-მამასაც ვუამბე და მასწავლებელსაც, ისე გამიჯავრდნენ, ვერ წარმოიდგენ...

— უსამართლოდ გაგწყრომიან. განა შენ გინდოდა, ფეხი მომტეხოდა? შემთხვევით ყველაფერი ხდება! — ვთქვი და ერთი ისე დავიკვნესე, გული თან ამოვატანე. ისევ შემომიტია ტკივილმა.

— ცოტა მოითმინე, ვახუშტი, შენ ხომ მაგარი ბიჭი ხარ. იმ ლაჩრებს არა ჰგავხარ, გუშინწინ შენი თავი რომ შემეტაოვეს ხელში და თვითონ კი შინ გაიქცენენ! — არა ცხრებოდა სტუმარი.

სიამოვნებას მგვრიდა ეს დაუსრულებელი ტიტინი, ეს თანაგრძობა, ეს ქლურტული, ეს გულწრფელი მონანიება არასებური ცოდვისა.

— ჩემი მშობლებიც აქ არიან, ბიჭო. შენ რომ გიყვარს, ისეთი საჩუქრები მოგიტანეს, წიგნები, რვეულები და ფერადი ფანქრები...

— ფერადი ფანქრები რად მინდოდა. მე რომ ხატვა არ მეხერხება, გოგო?

გავიდა თითქმის ორი თვე.

დადგა ის დღეც, როცა თაბაშირი უნდა შეეხსნათ ჩემთვის. ყველა გახარებული იყო, მხოლოდ მე არ მეტყობოდა ხალისის ნიშანწყალი. გული ცუდს მიგრძობდა.

მამამ არავის დაანება თაბაშირის გაჭრა. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, ფენა-ფენა ჭრიდა თაბაშირის ქვადქვეულ კედელს. არ გამართლდა ბატონი ივანეს

სიტყვა. თაბაშირის შემოხსნისთანავე აუტანელი ტკივილი ვიგრძენი.

ექიმები ერთმანეთს თვალებით ეკითხებოდნენ: რა მოხდაო, როგორ შევცდითო. მამას ხმა არ ამოუღია...

შელამებისას ბებია მოიყვანა ძია სოლომონი, რომელსაც ზუგდიდლები კოლხეთის თურმანიძეს ეძახოდნენ. არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი, ექიმის დიპლომი ჰქონდა თუ არა იმ დარბაისელ, სათნო და კეთილ კაცს. მასსოვს: ჯერ ხელები გადაიბანა, მერე რამდენიმე ცალი ყავარი და კვერცხის გული მოითხოვა, ყავარი ლამაზად გათალა. კვერცხის გული რაღაც ბალახებში შეურია და ნატკენი ფეხი შემოიკრა.

არავის არაფერს ჰპირდებოდა, არავის ამწვიდებდა. მხოლოდ, თითქოს თავისთვის ლოცვას ამბობსო, რაღაცას ებუტბუტებოდა ჩემს ჭრილობას.

ვგრძნობდი, ნელი-ნელ ქრებოდა ტკივილი. თვალეში მაკვირდებოდა და ისე იგებდა ჩემი მდგომარეობის შეცვლას.

ბოლოს ხმადაბლა მკითხა:

— ფეხბურთს თამაშობ, შვილო?

— კი, ვთამაშობდი...

— რატომ „ვთამაშობდი“? მოკლე ხანში ითამაშებ კიდევც...

— მართლა, ძია სოლომონ?

— მართლა. ოღონდ გამომიტყედი, ნამდვილად გოგომ მოგტეხა ფეხი?

— გოგოს ტყუილად აბრალებენ. მე თვითონ მოვიტეხე...

— ყოჩაღ, ძმაო. მართალი კაცი ყოფილხარ. ახლა მეც გეტყვი სიმართლეს: ძია ივანე რომ არა, ჩემი მალამო ასე ჩქარ

რა ვერ გაჭრიდა. მე მხოლოდ დავასრულე, რაც მან დაიწყო. თუკი ოდესმე, მორჩულე და ძნელ გზაზე, შემთხვევით, სოლომონს კაკულია მოგაგონდა, ძია ივანეს ამბავს ნუ დაივიწყებ. რაც შეეხება შენს ნაჭრილობევს, აილამაზე ისე ახვალ და ოცდამეერთე საუკუნეშიც ისე შეაბიჯებ, ფეხი არ მოგიდუნდება და ლალატაც ვერ გაგიბედავს.

— აილამა სად არის, რომ არ ვიცი? — შევწუხდი მე.

— უშგული კი გაგიგონია?

არა-მეთქი, ვანიშნე კიდევ უფრო შეწუხებულმა და სახეზე აღმურმა გადამიარა.

— ჯერჯერობით არ იცი და მომავალში გეცოდინება. აილამა და უშგული ერთმანეთს შეჰყურებენ ქვემო სვანეთში, ლენტეხთან ახლოს. ვინ უწყის, იქნებ იმ მწვერვალებზეც მოვიხდეს ასვლა.

— მერედა მამა გამიშვებს ამ სიშორეზე?

— უსათუოდ გაგიშვებს, უსათუოდ. ოღონდ კარგად ისწავლე და გაკვეთილების შემდეგ აღრინდელივით ნუ ოცელქებ, ძმობილო!

ძია სოლომონმა გაიცინა, წამოდგა და ძილინებისა მისურვა.

ორი-სამი კვირის შემდეგ უყავარჯნოდ წავედი სკოლაში.

მესამეკლასელები ჟივილ-ხივილით წამოიშალნენ, როცა მორიდებით შევალე კარი. მასწავლებელი ჯერ არ შესულიყო.

ბოლო მერხზე, იმ ადგილას, სადაც მე ვიჯექი, მინდვრის ყვავილების მშვენიერ თაიგულს მოვკარი თვალი.

სიზმარი

მასწავლებელმა მათემატიკის გაკვეთილზე შემნიშნა, რომ რაღაც ხელნაწერს ვკითხულობდი. გამომართვა, წაიკითხა და დამიბრუნა. საბედნიეროდ, საშინაო დავალება ჩაწიწიკებული მქონდა. ამიტომ არ გამაჯავრებია. პირიქით, ალერსიანად მკითხა:

— ეს ლექსი შენ დაწერე?

— მე, პატივცემულო მასწავლებლო!

— სათაური რომ არ აწერია, ვის მიუძღვნე იგი?

— პატარა მშენებლებს, პატივცემულო მასწავლებლო!

მან ერთხელ კიდევ ყურადღებით გადაათვალიერა ჩემი ნაწერი.

— ყოჩაღ! — ეს ისე ხმადაბლა წარმოთქვა, რომ ყველა თანაკლასელმა გაიგონა. დედასავით გადამისვა თავზე ხელი და ქორხრი ამიწეწა. ასე იცოდა ხოლმე, როცა მოსწავლის პასუხი მოეწონებოდა.

შესვენებისას თანატოლებმაც მომილოცეს, თუმცა რას მილოცავდნენ, კარგად არც იცოდნენ.

ფრთხვამსხმული მივედი შინ. არც შიმშილი მახსოვდა, არც წყურვილი. მოუთმენლად ველოდი მამის გამოჩენას, მამა კი იმ საღამოს უღვთოდ იგვიანებდა. აივანზე ვიჯექი და გავყურებდი ჭიშკარს. ჩემი შემფრთხვებული დები თავს დამტრიალებდნენ, მეკითხებოდნენ, რა გაწუხებს, რატომ წრიალებო, მე კი მსურდა, მხოლოდ მამის-

თვის მომეთხრო ყველაფერი. დედა რომ ცოცხალი მყოლოდა...

დიან, დედა აღარ მყავდა, ამიტომ შევნატროდი გოგო-ბიჭებს, რომელთაც ჭიშკართან ხელებგაშლილი დედები ხვდებოდნენ და მკერდში იკრავდნენ. ბედნიერებო! ბედნიერებო!

დედა! რომ მყავდე, პირველად შენ მოგახარებდი დღევანდელ ამბავს, ჩემს პირველ სინარჯულს, შენ კი თვითონ ეტყოდი მამასაც, ძმასაც და დებსაც. ბებიასაც ამცნობდი, ბიძაჩემსაც, ბიცოლასა და მათ შეილებსაც. გული ვერ მოგიტეხნა, მეზობლებსაც შეატყობინებდი შენი ბიჭის ამბავს! — ვჩურჩულებდი ჩემთვის.

ამ ჩურჩულსა და ლოდინში ჩამძინებოდა კიდევც.

...რა ხანია, ჩემს სოფელში არა ვყოფილვარ. აქ საიდან გავჩნდი? ვინ მომიყვანა? ღმერთო ჩემო, რარიგ აყვავებულა ირგვლივ ყოველივე! მზე, დილის მზე, ატმის აღმოდებული ტოტებიდან იმზირება და ალამაზებს ქვეყანას.

აგერ ჩემი სახლი და მწვანე ეზო, რომელსაც პატარა დევე უვლის გარშემო!

უეცრად ეს დევე უზარმაზარ შადრევანად იქცა, შადრევანში მომხიბვლელი ცისარტყელა ათინათდა. ცისარტყელას შეიდფერ ეკრანზე დედაჩემი წარმოისახა და ხალვლიანი ხმით ალაპარაკდა:

— რატომ მეც არ მოგაგონდი, შვილო,

რატომ არ დაწერე ჩემზე, მე ხომ დედა ვარ შენი!

ერთბაშად ამეტყველდნენ თეთრი და წითელი ყვავილებით მოფენილი ვაშლის, მსხლისა და ატმის ხეები:

— დედა არ დაივიწყო, ბიჭო!

— დედა არ დაივიწყო...

მათი ხმები ამავე დროს ფოთოლოთა შრიალსა ჰგავდა. მე ხელებგაწვდილი მივდევი ცისარტყელის ეკრანზე აღბეჭდილ ხატებს და სუნთქვაშეკრული მივძახოდი: — დედა, მე დავწერე შენზე... მე დავწერე შენზე... მე დავწერე...


დედამ უღონოდ გამილიმა, არაფერი მითხრა, ხელები ფრთხილად გაშალა და ცის სივრცეში გაჭრა.

ო, რა ტკბილი სიზმარი იყო!

ჭიშკრის ჭრიალმა გამომადვიდა, მაგრამ არც წამოდგომა მიცდია, არც თვალი გამიხელია, მსურდა, მამას ავეყვანე ხელში. მანაც ფრთხილად ამიტატა და გაშლილ ლოგინში ჩამაწვინა. ცოტა ხანს გავირინდე, მერე კი, ჯერ კიდევ თვალდახუჭული, ყელზე ჩამოვეკიდე და საიდუმლოდ გავანდე:

— სიზმარში დედა ვნახე. მე აუცილებლად უნდა დავწერო დედაზე; ყველას გავაგებინო, რა კეთილი იყო იგი, როგორ მიყვარდა და მიყვარს ახლაც!

— დაწერე, შვილო, დაწერე, მახარია! ვგრძნობდი: ტიროდა იმ წუთებში მა-



მაჩემი, ტიროდა თავისი უღელე შვილების შემხედვარი ვაჟკაცი. არც ხმას იღებდა, არც ცრემლები სცივოდა, მაინც ტიროდა. მე კი აღვზნებული, თვალმგაბრწყინებული თითქოს ვამშვიდებდი მას:

— ამამდე მანამდე არ დავიძინებ, ვიდრე დედას არ გავაცოცხლებ ჩემს ფიქრებში...

დილით ყველას დავასწარი ადგომა. იატაკზე დაყრილი საერთო რვეულის დაკმუჭნილი ფურცლები ავკრიფე და ბუნარში შევეყარე. ერთი სული მქონდა, პირველად მაისთვის წამეკითხა ის, რაც წუხელ უთვალავჯერ გადავწერე. ალბათ ლექსი არც კი იყო, მაგრამ მაშას მაინც მოეწონა. ძალიან გავხარა, რომ ამგვარი სურვილი დამებადა. ყურადღებით მომისმინა. ხელმეორედ წამაკითხა. მომეფერა.

იმ დღეს სკოლამდე თვითონ მიმაცილა. ვიდრე ხარი არ დაირეკა და მე გაკვეთილზე არ შევედი, ფეხი არ მოუცვლია, ხელი დამიჭინა და ისე გამიღიმა, სულში სითბო ჩამელვარა.

განა ვერ მივხვდი, მამამ კეთილი სურვილისათვის დამაჯილოვია.

ასეა, გოგა! დედის სიყვარული ის წმიდათაწმიდა გრძნობაა, ურომლისოდაც ძეხორციელი არ არსებობს. ან კი ექნებოდა ახრი მის არსებობას?

არ მეეჭვება, ყვავილი რომ ყვავილია, ისიც დედური სიყვარულის ძახილს ამოჰყავს ხოლმე მიწის მკერდიდან.

შენმა დიდმა პაპამ მასწავლა ერთი ძველი, საოცარი ლექსი, რომელიც ასე მთავრდება:

„დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, მიტომაც წუთისოფელი სულ მუღამ გვაცოდვილებსა“.

ხსოვნა სიცოცხლეს უდრისო, ხშირად იმეორებდა იგი.

ეს ამბავიც იმისთვის გავისხენე, ფიქრებში მაინც გავაცოცხლო ამ სამხედრო მეტისმეტად აღრე წასული კეთილი არსება, რომელიც ახლა სიზმარივით მახსოვს, იმ ტკბილი სიზმარივით!

ხუხუ ღვივოდა მხივე მხსნა

ზაფხულის მზე, თბილი და ალერსიანი, საამო ღიმილს გვაფრქვევდა.

შინ მარტო დავრჩი.

ბებია სოფელში წავიდა, რათა დედაჩემის საფლავზე ყვავილები მიეტანა.

უფროსი ძმა ჩემთვის საღ მოიცლიდა: უთენია გაიქცა თანატოლებთან. ისინი დადიანისეულ ბოტანიკურ ბაღში იკრიბებოდნენ და გაცხარებით ბჭობდნენ ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე. სიტყვამ მოიტანა და საიდუმლოდ გეტყვი: მეც ძალიან მიყვარდა ჩვენი თეატრი. ბილეთის ფული არასდროს მქონია, მაგრამ თითქმის ყოველ წარმოდგენას ვუყურებდი კულისებიდან, სადაც ჩუმად შევეყვდი ნაცნობ მსახიობს. შენ კულისები უწოდებ, ჩემთვის კი იქ დგომა და წარმოდგენის ყურება ნამდვილი ზეიმი იყო!

ღები მეზობლებში გაიკრიბნენ. მამაჩემი, თუმცა კვირა-დღე იყო, სამსახურში წავიდა.

წასვლისას მამამ მითხრა:

— შვილო, დღეს შენ იქნები სახლის პატრონი, სტუმრის პასუხის გამცემი. შორს ნუ წახვალ, ამ ეზოში ითამაშე და თვალ-ყური ადევნე აქაურობას...

მეც დავბორიალობდი მწვანე ეზოში.

ძაღლისა, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, ხოლო კატებს დასანახად ვერ ვიტანდი. ვიცოდი, ეს არ იყო კარგი, მაგრამ რა მექნა, თავს ვერ ვეროდი.

მარტოობა რაღაცით ობლობასა ჰგავს. ხმის გამცემს რომ ვერ ვხედავდი, თვალები ცრემლებით მენამებოდა. ყველასაგან მიტოვებულს, საკუთარი თავი მებრალებოდა.

თავის დასამშვიდებლად კიბის საფეხურზე ვიდექი და მეზობლების გასაგონად ლექსებს ნამამლოდა, გამოთქმით ვკითხულობდი. მადლობა ღმერთს, უამრავი ლექსი ვიცოდი ზეპირად. შემეძლო, დილიდან საღამომდე სულმოუთქმელად მეკითხა. მეზობლებს ჩემთვის არ სცხელოდათ, თუმცა თითო-ორიოლა მსმენელი მაინც მყავდა.

საკმაოდ მომშვიდა, კარადას კი არ გავკარებებოდა. გაგიგონია, ძმაო, საკუთარ სახლში კარადის გამოღება გერიდებოდეს. რა ვქნა, ასეთი ჩვეულება მქონდა.

ვაშლი, ან მსხალი რომ მქონოდა, პირსაც გავისველებდი და შიმშილსაც ცოტათი

მაინც დავიცხრობდი-მეთქი, გავიფიქრე.

იმ სახლს, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ხეხილის ბაღი ეკრა. იქ ვაშლისა და მსხლის ვეება ხეებთან ერთად ზღმარტლის ხეებიც იდგნენ. ზღმარტლი ძალიან მიყვარდა. მიკვირდა მხოლოდ: ხეს, რომელიც ასეთ მშვენიერსა და ტკბილ ნაყოფს იხსამს, რად უწოდეს ასე ძნელად წარმოსათქმელი სახელი.

ამჯერად არც ზღმარტლი გამხსენებია და არც ვაშლი. ტოტებგაშლილი ხიდან მწიფე, გამრეელი მსხლები მიხმობდნენ. ერთიც გავიხედე მეზობლის აივნისკენ და ისარივით მოვწყდი ადგილიდან.

ეს ხეხილი ოდესღაც ეკუთვნოდა მიხაკო ჯიქიძეს, რომელსაც მღვდლის ანაფორა გავხადა და სიცოცხლის ბოლო წლებს თავისი ყოფილი მამულის ცქერაში ატარებდა.

ღმერთი, რჯული, იგი თავისი წარმოსადგეობით არაფრით განსხვავდებოდა იმ ღიბიანი სასულიერო პირებისაგან, მაშინდელ წიგნებსა და გავრთებში რომ ეხატა.

ღიქიძის საკმაოდ მაღალი და დიდი სახლის პირველ სართულზე დაწყებითი სკოლა გავხსნათ, მეორეზე კი რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, მათ შორის, ძველი პატრონი.

ამბობდნენ, მიხაკო ჯიქიძე კეთილი ბუნების არისო, ცოტათი მაინც მეშინოდა იმ კაცის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მზერა მისი ხეხილისაკენ გამეჭკვოდა.

მეშინოდა-მეთქი, თუმცა უფროსებმა თავის დროზე გამოგვიცხადეს: ეს ტყეც, ხეხილიც, წყაროც ყველასია, ამიტომ თამამად ესტუმრეთ მას, ხილიც იხილეთ და წყაროს კამკამა წყალსაც დაეწაფეთო. ოღონდ სასტიკად გავგაფრთხილეს: ტოტებს ნუ დაამტვრევთ და წყაროს ნუ აამღვრევთო.

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, მწიფე მსხლით დახუნლულ ხეს მივაშურე. ჯერ გვიმრის ფოთლები ბლომად დავგლიჯე, ხის ქვეშ მწვანე მოღზე დავყარე. მალე იდაყვებზე დაყრდნობილი და ნერწყვმო-რეული შევეყურებდი ხის ტოტებზე დაკიდულ მსხლებს. „ვაშლი და შაქარა“ ხომ განსოვს, სწორედ ისე იყო:

მადლა ფოთლებში ეღვარებს ვაშლი, სისხლივით წითელი.

მას აქეთ-იქით აქანებს სიო საამო და ნელი...

სიოც საამო ქროდა და მეც შაქარასა-

ვით პირდაღებული შევეყურებდი ხის ტოტებზე მობრიალე ნაყოფს, სულ ამაოდ: მსხლები არც აპირებდნენ ჩამოცვენას.

კაცის ჭაჭანება არსად ჩანდა. მცირე ხნის ყოყმანი და... ხის ტოტზე ჩამოძვარი აუჩქარებლად ვკრეფდი მსხალს და უბეში ვიყრიდი.

დაბლიდან რაღაც ფაჩუნის მომესმა, გავირინდე და ხილის კრეფა შევეწყვიტე. ფაჩუნს დათვის ბურღლუნის მსგავსი მოჰყვა და... ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ: გვიმრის ფოთლებზე მიხაკო გაიშლართა. ორიოდ წუთიც და ისეთი ხვრინვა ამოუშვა, შემეშინდა, ამ ხმამ ხის ტოტიდან არ ჩამომაგდოს-მეთქი.

სული შემეკრა. ხის ყველაზე მსხვილ ტოტს ჩავებლაუშე, გადავწყვიტე, მანამდე არ ჩამოვსულიყავი, ვიდრე ბაღის ყოფილი პატრონი არ გამოიღვიძებდა და იქაურობას არ გაეცლებოდა.

სათქმელად იოლია, გასაკეთებლად ძალიან ძნელი. ვინ იცის, იქნებ შებინდება-მდე არ გავიძებოდა. ერთი მსხლის ჩაქბეჩა მაინც დაეცლია იმ დალოცვილს!

როგორც იქნა, შიში დავძლიე და ხიდან ნელი-ნელ ჩამოვსრიადლი. აღელვებულმა კინაღამ მძინარეს არ დავაბიჯე ფეხი, საბედნიეროდ, ამ ხიფათს გადავრჩი და სირბილით გავეშურე შინისკენ.

თავი სამშვიდობოს მეგონა, როცა მეზობლის ხმა მომესმა:

— ვახუშტი, ბიჭო, დავინახე!

ამ შეძახილზე შევჩერდი. ჩემს საქციელზე უნებლიეთ გამეცინა.

— რა ეშმაკი გაცინებს, ბიჭო?

ტბილი კბილზე დავაჭირე და ხმა არ გამეცო.

— მსხლის მოპარვა დაგავალა მამაშენმა თუ...

— მე მსხალი არ მომიპარავს... ეს... ეს... ბაღი ყველასიაო, მასწავლებელმაც ასე გვითხრა! — გავცხარდი მე.

— მაშ, რატომ გარბოდი ასე თავკუდ-მოგლვეჯილი?

— აბა, რა ვიცი, ალბათ, თქვენი შემეშინდა...

ახლა მიხაკოს აუტყდა ხარხარი. ამ ხარხარზე შევატყვე, რომ კარგა ნასვამი იყო.

ბოლოს ძლივს შეარხია ტანი, წოლელა მიეყუდა ხეს და ეშმაკური ღიმილით მკითხა:

— როგორ არის ქალბატონი მაცა, ანუ მაკრინე?
მე უსიამოვნოდ შევიშმუშნე.
— რო არ ჩანს, როდის დაბრუნდება ბებიაშენი?
— თქვენ... თქვენ... ვინა გკითხავთ ჩემი ბებიას ამბავს? — გადავირიე.
— ხომ იცი, ძმობილო, ქვერივი კაცი ვარ და მომვლელი არავინ მყავს, ქალიშვილის გარდა. მას კი ვათხოვების დრო დაუდგა. ასე რომ...
ეს ისე შემპარავად მითხრა, რომ თვალთ

დამიბნელდა. თუ სერიოზულად ლაპარაკობს, ეს იმას ნიშნავს, ბებიას წართმევას მიპირებს; თუ არა და ვინ არის მაგის სამასხრო.
— მომათხოვე ბებია და ამ ბაღში რაც ხილია, სულ შენი იქნება. მსხალსაც მიირთმევ, როცა მოისურვებ. მოპარვა არ დაგჭირდება...
— ვისა ჰყავს მსხალში გასაცვლელი ბებია! — შევყვირე მე და ყველაზე დიდი მსხალი მუცელში დავუმიხნე. კიდევ კარ-

გი, ასცდა, თორემ კიი დღე არ დაადგებოდა.
ქამარი მოვიხსენი და მწიფე, გამრიგლე მსხლები იქვე დავყარე. შინსკენ ისე გავიქეცი, თითქოს ვინმე მომდევნებოდა.
ჩემი მეზობელი კი, არათუ არ მომდევნა, შორიდან მეხვეწებოდა:
— დაბრუნდი, მიხას ბიჭო, აკრიფე მსხლები, ხუმრობა არ იცი, შე კაი კაცი?!
ზაფხულის მზე, თბილი და ალერსიანი, საამო ღიმის გვაფრქვევდა ციდან.

წიგნი ჩუხჩუხი

ერთ დღეს ნიკო მასწავლებელმა თავისთან მიმიხმო. წიგნი გამომიწოდა და მკითხა:

— ეს წიგნი წავიკითხავს?
— „როგორ იწრთობოდა ფოლადი“... რა თქმა უნდა!
— ვინ არის ამ წიგნის ავტორი?
— ოსტროვსკი, ნიკო მასწავლებლო!
— მისი ბიოგრაფია თუ იცი?
— ვინც პავკა კორჩაგინის ცხოვრებას გაეცნო, მან, ბუნებრივია, ნიკოლოზ ოსტროვსკის ბიოგრაფიაც იცის, პატივცემულო მასწავლებლო!
ძალიან გაეხარა, წიგნსაც რომ ვიცნობდი და მის ავტორსაც. სკამი დამიდგა, დამსვა და ჩემი ოჯახის ავკარგი გამომკითხა.
— ხომ არაფერი გიჭირს, შვილო?
— არაფერი, პატივცემულო მასწავლებლო.

ცოტა როდის მყოლია კარგი მასწავლებელი. ამ მხრივ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბედი მწყალობდა. განათლებული, გულისხმიერი, ღვთისნიერი აღამიანები იყვნენ. ზოგი ბოლომდე შემრჩა საყვარელ მოძღვრად და გულთბილ მეგობრად. ზოგი ძალიან ცოტა ხანს მასწავლიდა, მაგრამ დასავიწყებლად ვერც ერთი გამიმეტებია. სხვა რა პატივისცემა ძალმიძს, გახსენების და გულთან ამოსული ორიოდ თბილი სიტყვის გარდა.

ნიკო მასწავლებელი, ძველად ერის განმანათლებელს რომ უწოდებდნენ, ისეთი პიროვნება იყო. სცენისმოყვარეც ყოფილა, ადგილობრივი და დედაქალაქის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელიც, წიგნები უწერია, ბოლო წლებში სკოლის დირექტორად მუშაობდა. პედაგოგიურ მოღვაწეობას უთუოდ თავის მთავარ მოწოდებად თვლიდა.

ჩემთვის გამორჩეულად ძვირფასი მასწავლებლის სახელს შარავანდედად ადგანაცნობდა ავჯი წერეთელთან, რომელსაც პირდაპირ აღმერთებდა. ალტაცებით იგონებდა მის სტუმრობას ძველი კოლხეთის მიწაზე. ხშირად იმეორებდა დიდი მგოსნის სიტყვებს: კოლხეთის ისტორიული დამსახურების თაობაზე. ვგონებ, მაშინ გასცნობოდა კაცის, როცა იგი თავისი სახელობის ბიბლიოთეკის გახსნას დაესწრო ქალაქ ზუგდიდში.

სხვათაშორის, მეც მასხოვს ამ ბიბლიოთეკის პატარა, ლამაზი შენობა, რომელიც მშვენიერ ადგილას, — უკეთეს ადგილს ვერ ინატრებდი, — ხეივნის თავში იდგა. შორიდან მოჩანდა რომელიღაც რევო-

ლუციონერი ქალის ბიუსტი. დროთა განმავლობაში იგი სადღაც გაქრა.
ნიკო მასწავლებელი — ტანმორჩილი, მოძრავი, მუდამ კონტად ჩაცმული, ხალისიანი კაცი, დიდი სიმპათიითა და პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოებაში. როგორც იტყვიან ხოლმე, ბაგიდან თაფლი ამოსდიოდა.

სწორედ მისმა თანაგრძნობამ ამიჩუყა გული.
ნიკო მასწავლებელმა ჩუმად ამოიხრა და საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა:

— მომავალ შაბათს ოსტროვსკისადმი მიძღვნილ საღამოს ვატარებთ. მასწავლებლები და უფროსკლასელები მონაწილეობენ. მშობლებიც მოვლენ, სხვა სტუმრებიც. მინდა შენც გამოხვიდე. მოკლე სიტყვაც მოამზადე და რომელიმე ქართველი პოეტის ლექსიც ისწავლე...
სამასწავლებლოში ვიღაცამ მორიდებით დააკაუნა.

— მობრძანდით! — შეეხმიანა მასწავლებელი.
კარი გაიღო და ჩემი თანაკლასელი სანდრო შემოვიდა. მასპინძელმა ხელით ანიშნა, სკამზე ჩამომჯდარიყო.

— ჰა, რას იტყვი, ბიჭო?
— შევეცდები, მასწავლებლო, თუკი ვიპოვე ნიკოლოზ ოსტროვსკისადმი მიძღვნილი ლექსი...

— სხვისი რად ვინდა. ადექი და თვითონ დაწერე, — ჩვენს საუბარში უშიშრად ჩაერია სანდრო, — ხომ მართალს ვამბობ, მასწ...
— მოგეცა წყალობა, ოღონდ მოასწრებდეს...

— მოასწრებს, მასწ... უთუოდ მოასწრებს! — წამოხტა სანდრო, — ხომ ასეა, ვახუშტი?
საცოდავად ამოვილულულე:

— ვნახოთ, რა გამომივს!
— აბა შენ იცი, ძალიან უნდა მოინდომო... ხომ ვითხარი, სტუმრებიც მოვლენ მეთქი... ახლა თავისუფალი ხარ...
სანდროს გარეთ დაველოდე. მერე ერთად წავედით ქალაქის ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკიდან წამოდებული წიგნები თავიდან ბოლომდე გადავბუღებულე. „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ხელმეორედ წავიკითხე. სიტყვაც მოვამზადე და ლექსიც დაწვირე.

სანდრომ ლექსი წააკითხა და მითხრა:
— მომავალ პოეტი ასეთი წერა არ ეკადრება. ხელი თუ არ გამოისწორე, შენს ნაწერებს არავინ წაიკითხავს.

მითხრა და გაიცინა:
— ასეა, ძმაო ვახუშტი!

მე გავცხარდი:
— თუკი ასე არ მოგწონს ჩემი ნაწერი, დღემდე რადა ხარ გაჩუმებული, ჰა? დღეს რა ბზიკა გიკბინა? იქნებ ახალი ხანა დაიწყო შენს ცხოვრებაში?

— ჩემს ცხოვრებაში რა დაიწყო, ეს შეგერ არ ვიცი. შენს ცხოვრებაში კი დაიწყო, ეჭვი არ მეპარება.
— ეს რატომ, ვითომ? — ვკითხე ნაღვლიანად.

— იმიტომ, რომ ხვალ-ხვალ საზოგადოების წინაშე უნდა წარსდგე, ბატონიშვილო! ხელისხელადახვეულები გავეშურეთ ბოტანიკური ბაღისკენ, რომლის შუაგულ ადგილას პატარა ტბა ლივლივებს. მე იქ მიყვარდა განმარტობით ყოფნა და ოცნება, ოცნება ხვალინდელ დღეზე, კეთილ აღამიანებზე, სიყვარულზე...

სწორედ იმ დღეს, იმ საათში, როცა ჩვენს სკოლაში ლიტერატურული საღამო იწყებოდა, ფეხბურთი უნდა გვეთამაშა.

სკოლის პირველობაზე ვთამაშობდით ჩვენ — „ფაზისელები“ და მეშვიდეკლასელთა „ენგური“. ვადამწყვეტი თამაში იყო: თუ გავიმარჯვებდით, ჩვენი გუნდი სკოლის ჩემპიონი ხდებოდა. შეხვედრის გადატანაც შეუძლებელი ვახდა, რადგანაც სკოლის ეზო უმარავ გულშემატკივარს აეცსო.

— ამხანაგო კაპიტანო, არ დაგავიწყდეს, რომ სიტყვით უნდა გამოხვიდე. როგორც კი შენი რიგი მოახლოვდება, მე შეგატყობინებ! — გამაფრთხილა სანდრომ, რომელიც ჩემზე ნაკლებად როდი იყო დაინტერესებული „ფაზისის“ გამარჯვებით.

„ენგურს“ ფრეც აწყობდა, ამიტომ ფრთხილობდა. ჩვენ კი დასაკარგავი არაფერი გვქონდა, თავიდანვე იერიშზე გადავედით. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ჩვენი მეკარე დაშავდა. იძულებული ვიყავი, მისი ადგილი მე დამეჭირა. ცალი ფეხსაცმელი გავიხადე, რათა უფრო მარჯვედ დამეცვა ჩვენი კარი.

„ენგურს“ სიფრთხილემ ვერ უშველა. ჩვენმა ყველაზე ტანმორჩილმა თავდამსხმელმა შემოტრიალებით დაარტყა და გოლი ისე გაიტანა, მოწინააღმდეგის მეკარეს გადახტომაც კი არ უცდია. გაფთრებით გვეკვეთნენ „ენგურელები“. ხან კარის ძელს მიმაჯახეს, ხან ფეხი გამომდეს, მაგრამ ბურთი მაინც ვერ გაიტანეს.

ტაიმის ბოლო წუთზე თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დაინიშნა ჩვენს კარში. მე გულის ფანტქალით ველოდებოდი, როდის დაარტყამდა მეტოქის დამცველი, ახმახი ყმაწვილი, რომელსაც ყველანი ბერ-

ქ. მარქსის ხს. საქ. სს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

წვიმების შემდეგ

სუროს ფოთლებმა ცა ჩამოწურეს, წვიმების შემდეგ ისევ დარია. არ შეიძლება, დღეს ვინმეს სძულდეს, ფიქრობ, მიღიხარ და ვიხარაია. მიგძლვება და ჭიამაიას რო ის ყოფილა შეშლოდეს კვალში? უახლოვდები ცისფერ ავიანს, გაზაფხულს, სიცილს, ალუბლის ყვავილს...

ღიღის ცა

ამოღის მზე და მზით გააწრული ცა, ჩემს სარკმელთან გაღობად ისმის. რა ღამაა მზისკენ დაბრული ხევა, მდინარე, მინდორი, ნისლი... მებევეა მზე და შენი სახელი ჩემს ყველა ტოტზე ჩიტვით მღერის და სივრცეს, ასე ჩუმს და გამხელილს, ჩავეიღებებივარ ორივე ხელით.

სიზლარი

ას, მგონია, ამ სოფლის ფასი ჩეხავით ქვეყნად არავინ იცის. ცრემლი ცრემლსა ჰგავს, სიცილი სიცილს, შეწოდგომამდე ვარდები იწვის... შეწოდგომამდე ვარდები იწვის, შეწოდგომიდან ნეშო და ფიჩხი. სხა არის ფესვი ამ ცის და მიწის, ამ მოწკრიაღე გოგოს და ბიჭის. აი, ადგილი, ამქვეყნად, სადაც აღარც კი მახსოვს, თუ რამე მიჭირს.

ისევ სიზლარი

ფოთებს ახარბებენ ჩიტები ჩიტებს, ვერდები, ვუცქერ და ისევ მივსდევ ბლიქს, რომელიც გამორბის ტყიდან და სტვენა-სტვენით მიჰყვება მინდვრებს. ვაი, ვინც მითხრა ქალაქს წამოდი, ვინც მომაშორა ამ მინდვრებს ცვრიანს... ჩემო ფრთოსნებო, თქვენი წყალობით, სოფელს ჭერ კიდევ სოფელი ჰქვია.

სიზმარ — ცხადი

პატარა გოგო ბაძავდა დიდებს, ხალამო იყო, ყანასა მკიდნენ...

მისი ხიმღერა ისმოდა ვიდრე ცის მიტოვება უჭირდათ ჩიტებს.

ვის ეხიზმრება დღეს ის სიზმარი, გოგონა, წყარო, მზე და დაფნები...

ვაი, ქალები რიონისანი, ვაი, რიონზე ჩემი აფრები.

გამარჯობა

გამარჯობა სიყრმევე ჩემო, — შე ცისფერო ზღაპარო, თეთრი გოგოს სინანული, შავი გოგოს ტკარცალო, შე გულჩვილო საღამურო, შე გულწმინდა ცხრა წყარო. თმებზე თოვლი მოსვლას ბედავს, სად ხარ, დაუცავსანო, მზეო, ერთდროს ტუბილო დედავ, ახლა დედინაცვალო!

იმ გზას ისევ ამ დავუცდი

ისევ იმ სარკმლით ანთხარ, ტუხბიარს, ჩიტების ახლოს... ვაი, ისევ რა კარგი ხარ, ჩემო ბავშვობის სახლო!..

ხან ვიტყვი, ვინ მელოდება, მაგრამ იმასაც ვფიქრობ: რა ქნან ამ ტყემლის ტოტებმა, ჩვენც რომ შემოვწყურეთ, ფიფქო!

და აი, დღესაც დავუხსლტი ქვის თეთრ ბუდეს და მოველ... იმ მზეს ისევ აქ დავუცდი — სხვაგან ვეღარხად ვპოვე.



მრავალშვილიან დედებს

თქვენ აუქშით ჩვენს დარდს და ეჭვებს და კვლავ ვაგროვებთ სახეზე ღიმილს — გვეყო, რაც შეეძინა ვხარით და ვდექეთ, რაც ვიმარხულეთ ვარდი და ლხინი.

თეთრი ფრთა თქვენგან მოყოლილ ზღაპარს, ჭრელი ფრთა — ჩიტებს ამ ტყე-ქალიდან... მე თავს ვხრი თქვენს წინ ბალახზე დაბლა და გულს ვასახურობ: ო, ჭეშმარიტად!

თუმცა ქალიან დააგვიანდა

გემის? ძვირფასო, კვლავ აწკრიალდა, სიმი გულიდან გულზე გაბმული, თუმცა ქალიან დააგვიანდა, მაინც მოვიდა ეს გაზაფხული.

რიონის პირი, ხოსბის ყივილი და ვარდის ტოტზე ცა დაწურული... მორბინარ ქვეზე წყაროს სირბილით, შენ ისევ ჩემი ძველი წყურვილი!

ნუ იჩვენებ...

აი, აქ მენტო ერთხელ კოცონი და რაც შემეძლო, ცისკენ მიმყავდა. აქ იყო, თუკი ვინმე მომწონდა, აქ იყო, თუკი ვინმე მიყვარდა.

ნუ ეჩვენები ამ გაჩაღებულ ხსოვნის დარბაზებს და მათ ნათებას. ჰეშვით ვიფარავ სახეს წამებულს, გავხსნა? რა ცრემლი აგითავდება.

ძენიშვილს ვეძახდით. იმ დროს თბილისის „დინამოს“ გამოჩენილი მოთამაშე იყო მიხეილ ბერძენიშვილი, პენალტის დიდოსტატი და მეკარეთა რისხვა. სწორედ მის ბაძავდა ჩვენი მეტოქე — გიგლა.

ამ დროს ჩვენი გოგონები მოიჭრნენ და შემატყობინეს, ნიკო მასწავლებელი გიხმობსო.

— ჩქარა, საცა გამოვაცხადებენ! — ომადხა აქლოშინებულმა თამარამ. უნებურად „ბერძენიშვილს“ შევხედე, რომელმაც მანიშნა, წადი, უშენოდ კარში არ დავარტყამო. მე მაღლიერი მზე-რა შევატოვე მას და გავიქეცი.

დარბაზი ისევე გაჭედული იყო ხალხით, როგორც ჩვენი საფეხბურთო მოედანი. ოფლიანი და ქოჩორაწეწილი მივიჭერ ნიკო მასწავლებელთან, რომელმაც ჭიბიდან აოილო აბრეშუმის ცხვირსახოცი და ოფლი მომწმინდა.

— მზადა ხარ, ბიჭო? — მზადა ვარ, ნიკო მასწავლებლო! — ცუქნიე თავი.

მალე სანდრომ, რომელსაც მიჰყავდა ლიტერატურული საღამო, რიხიანად გამოაცხადა:

— ახლა კი ნიკოლოზ ოსტროვსკისადმი

მიძღვნილ საკუთარ ლექსს ჩვენი სკოლის პოეტი წაიკითხავს...

ჩემი გვარის დასახელებაც დაავიწყდა და სახელისაც.

მეც დამავიწყდა ჩემი სიტყვა და სცენაზე აჭრილმა დამსწრეებს პირდაპირ ლექსის სათაური დავაჯახე. გამოგჩნდი თუ არა, დარბაზში ისეთი ხარხარი ატყდა, რომ შევეცბი. ვიხედები აქეთ-იქით და მიზეზს ვერ მივმხვდარვარ. ამ ხარხარში ხმის ამოღებაც კი უჭკუობა იქნებოდა.

მდგომარეობიდან სანდრომ გამომიყვანა, — მანიშნა იმ ცალ ფეხსაცმელზე, რამაც ასე გაამხიარულა სტუმრებიც და მასპინძლებიც. შუბლზე ხელი მივირტყი, არც ვაციე, არც ვაცხელე და ის ცალი ფეხსაცმელიც ბავშვებს გადავუგდე.

მერე ფეხშიშველი დავდექი და ისევ ვჭექე, რომ ჩემი ხმა თვითონვე მომეწონა. დარბაზი გარინდული უსმენდა ჩემს საკმაოდ გრძელსა და ოდნავ სევდიან მონოლოგს...

არავისთვის არ შემინებდავს, მხოლოდ ერთხელ, ისიც შემთხვევით, წავაწყდი ნიკო მასწავლებლის აღზნებულ თვალებს.

დავამთავრე, თავი მდებლად დავუკარი დარბაზს, უნებურად გადავეხვიე სანდროს, რომელიც მთელი ტანით ცახცახე-

ბდა, ისე იყო გახარებული.

იმდენი ტაში ალბათ არასოდეს მქონია.

ასე ბედნიერიც არასოდეს ვყოფილვარ. ჩემი ცალი ფეხსაცმელი არ მიძებნია, არც საღამოს დახურვას დაველოდე.

მივბრბოდი საფეხბურთო მოედნისაკენ, სადაც ძენორციელი არ დამხვედრია. ყველანი ჩემს მოსასმენად წამოსულიყვნენ. თურმე ფანჯრებს გაკრულნი მივდებდნენ ყურს.

ბოლოს და ბოლოს თამაში მაინც შედგა. კვლავ დავიკავე მეკარის ადგილი. „ბერძენიშვილის“ ყუმბარისებური დარტყმა და... ბურთმა კარს ზემოდან გადაუფრინა.


სანდრომ წამჩურჩულა:

— ეს, ვგონებ, შენს პატივსაცემად ააცილა „ბერძენიშვილი“.

ვინ უწყის, იქნება ასეც იყო? — გავიფიქრე მე და ხალხში ჩვენი მუდმივი გულშემატკივარი, ნაყინის გამყიდველი არონიკე დავინახე. იგი ხელებს იქნევდა და მხიარულად გაიძახოდა:

— ორივე გუნდის ფეხბურთელები სასწრაფოდ მოედანზე! თვითუღს ორმაგი ნაყინი უფასოდ ჩემგან!

(ბაბრძემლება იძნება).



ამიკანის სახე — გალაკტიონის შთაბონების წყარო

გივი ახვლედიანი,

ფილოლოგიის მცოდნეობათა კანდიდატი.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდა. ისტორიულადც ასეთი იყო დიდი ქართული მწერლობის გზა. იგი ყოველთვის ხალხურ ტრადიციებს მიყვებოდა. გალაკტიონიც ამ გზას აგრძელებს.

გ. ტაბიძე — „ქართული სიტყვის მუსიკის განუმეორებელი ორფეოსი“ (კ. გამსახურდია) ხშირად მიმართავს ხალხური პოეზიის სახეებს, ხალხურ სიუჟეტებს, თემებს, ამუშავებს მათ დროისა და ეპოქის მიხედვით.

გალაკტიონის პოეზიის არა ერთი ნიმუში ამიკანის ეპოსით არის შთაგონებული. ამიკანი პოეტის ლირიკული გმირია და მისი სულის განუყრელი თანამგზავია.

მიჯაჭვული ამიკანის სახე გალაკტიონის რევოლუციამდელ პოეზიაში ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომდროინდელ პოეზიაში კი ბორკილდამსხვრევი გმირი განათვისუფლებული მშრომელების ფიქრებისა და მისწრაფებების გამოხატველი გახდა.

პოემა „ამიკანი“ გალაკტიონმა გამოიყენა ქართული ეპოსის სიუჟეტი, ახალი ფორმით და შინაარსით გაამდიდრა და ოსტატურად ჩააქსოვა მხატვრულ ქსოვილში.

გალაკტიონი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გადმოგვცემს კლდეზე მიჯაჭვული ტიტანის შინაგან განცდებს, რომელიც ამასთანავე ღრმად ადამიანური განწყობილების შემცველიცაა: „იყო უცნობი სიზმარული, კლდეს ახალგაზრდა... სახეზე დაღად აჩნდა ხვეული ნაწამებ აზრთა... და განიერი მისი მხარ-ბეჭი, მთელი სხეული თრთოდა ტანჯვითა დიდ სიჭარბეში გამოწყვედილი“.

ამიკანი ქართველ ერს განასახიერებს, რომელიც ქედს არ იხრის უსამართლო ძლიერების წინაშე, მის გულში ღვივის იმედის ნაპერწკალი:

დავამსხვრევ ბორკილებს მწყურალად...

განჭრეს ღრუბელი...!

თავისუფალი გავხდები კვალად,

თავისუფალა.

მიჯაჭვული გმირის ამ სიტყვებში ისმის სამართლიანობისათვის მებრძოლი ხალხის გულისთქმა, თავისუფლებაზე საუკუნეობრივი ოცნება იმ ეროსა, რომელიც, გალაკტიონისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ღვეი და ტიტანი“, „ბორკილდამსხვრე-

ვი ამიკანია“ და დღეს თავისუფლად ცხოვრობს საბჭოთა ხალხის მეგობრულ ოჯახში.

რეაქციის მძიმე წლებით გამოწვეული ინტელიგენციის სევდა და სასოწარკვეთილება გამოხატული გალაკტიონის 1910 წელს დაწერილ ლექსში „ოცნება კლდეზე“. პოეტი შესცქერის კავკასიონს, სადაც ეგულება გმირი, რომლის გამოხსნაზე მუდამ ოცნებობდა ქართველი ხალხი. ბედნიერ წუთებს განიცდის პოეტი, როცა განხორციელებული ოცნება წარმოუდგება თვალწინ. სამწუხაროდ, პოეტის ალტაცება დიდხანს არ გრძელდება, მწარე სინამდვილე ფრთას გადააფარებს ლამაზ მოჩვენებას:

მე მომჩვენა თითქოს ოცნებას
თავისუფლების შესხმოდა ფრთები,
მე ახლაც მახსოვს მისი შეგნება,
მისი ღიმილი, მისი თვალები.

ეს იყო წუთიერი ხილვა, სანეტარო ოცნება. მალე პოეტი კვლავ კმუნვამ შეიპყრო. არსებული სინამდვილით უკმაყოფილო ბუნებას მოუხმობს და თავის წუხილს ანღობს. პოეტი კავკასიის კლდეზე ამჩნევს საუკუნეების განამაგლობაში დატყვევებული, ნაწამები გმირის მოღლილსა და მიმჭრალ თვალებს:

ხად გაქრა-მეთქი, კითხავდი ნიავს, —
და შორს გავხედე მთების მწვერვალებს;
იქ, კავკასიის კლდეზე ვამჩნევდი,
მოღლილ, მოქანცულ და მიმჭრალ თვალებს.
ოცნება კლდეზე მიჯაჭვულიყო,
ოცნება სისხლში თრთოდა და კვნესდა,
სქელი ღრუბელი თავს ევლებოდა
და ყოჩანთ გუნდი მის სხეულს სწევდა.

ქართველი ხალხის დუხჭირი ყოფა სევდიანად აღერებდა პოეტის ქნარს. სამშობლოს მწარე ხვედრით გამოწვეულ დიდ სევდას გვიჩვენებს პოეტი 1915 წელს დაწერილ ლექსში „მე მოვალ“. გალაკტიონი არა მარტო საქართველოს ან რომელიმე ისტორიულ პირს ადარებს ამიკანს, არამედ თავისთავსაც მის ბედში მყოფად წარმოგვიდგენს: ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს,

თვალეში ყორნების მქენჯიან კლანჭები,
ამიკანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს
ვიღაც ფრთებს მიკვცავს... ეტა, ვიტანჯები
ამ სტრიქონებში რეაქციის პერიოდის სულიერი

განწყობილება გამოხატული, მაგრამ იგი ავისუფლებიანთა ბრძოლისაკენ მოწოდებაც არის. ამიკანის ეპოსს იყენებს გალაკტიონი ლექსში „მშობლიური ედემერა“, რომელიც ღრმად განგვიცდევინებს ხავსმოკიდებულ, პირზეკრულ კლდეებში ჩაქტილი გმირის მწარე ხვედრს. ამ უაღრესად პლასტიკურ ლექსში მთელი საქართველოს ტკივილი ისმის. ამიკანი დიდი ხანია კვნესის და მის ტანჯვას ბოლო არა აქვს. ბუნებაც კი თანაგრძნობს მრავალტანჯულ გმირს: სევდიანად გუგუნებენ მთები და ტყეები, მდინარეები და ქალები:

ვეღარ ვცნობილო მშობლიურ ხეებს —
შამთარს ბილიკი დაუტანია...

„დიდი ხანია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია!

შეხავსებია კლდეები კლდეებს,

იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია,

„ამიკანია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამიკანია!...

ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...

„დაკარგულია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია!..

„მშობლიურ ედემერაში“ პოეტმა დიდი პოეტური გზნებით დავიხატა რეაქციის შავნელი ხანის საერთო სულისკვეთება — სამშობლოს სევდამწუხარება.

ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლებამ გალაკტიონის ქნარი სრულიად ახალი განწყობილებით ააქდრა და ჯაჭვებდამსხვრეული ამიკანის სახეც დიდი პოეტური ტრანსით გაბრწყინდა. თავისუფალი საქართველოს სიმბოლოა ამიკანი ლექსებში: „ახალი ტფილისის დაფუძნება“, „როგორც მერანი“, „მთვარის ნამბობიდან“, „ამიკანი მიჯაჭვული“. ამ ლექსებში ამიკანი ბედნიერი ადამიანია, განთავისუფლებული და ამღვლებული, კეთილი შრომით ქვეყნის ამღორძინებელი...

ამიკანის სახე გააცოცხლა გალაკტიონმა დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში დაწერილ ლექსში „როგორც მერანი“, სადაც პოეტმა საბჭოთა ადამიანების პატრიოტული გრძნობა მშვენივრად გამოთქვა და კავკასიის მთებთან პიტლურული ურდოების დამარცხება იწინასწარმეტყველა. სამშობლოს მხურვალე საყვარულითა და გამარჯვების რწმენით არის გამთბარი ეს ლექსი.

სამშობლოსადმი დიდი სიყვარულის გრძნობაა ჩაქსოვილი გალაკტიონის პატარა, მინიატურულ ლექსში „მთვარის ნამბობიდან“. პოეტი წარმტაცი ბუნების ცხოვლად ჩვენებისთვის ბორკილდამსხვრევი ამიკანის სახეს მიმართავს:

აგერ, მძლავრი და ტიტანი
მოხჩანს კავკასიის ტანი,
მიჯაჭვული აქ იყო და
აქ აეშვა ამიკანი.

უძველესი ეპიური გმირის სახე გააცოცხლა გალაკტიონმა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომდროინდელ ლექსში „ამიკანი მიჯაჭვული“, სადაც იგი ტვირთმძიმეთა და დამაგრულთა მხსნელია, ხალხის გამარჯვების, აღორძინებული საქართველოს სიმბოლოა:

და ერთხელ ფრინველს დაუწყდენ ფრთანი,
დააკვდა პალოს და, აი, ბოლოს,
თავისუფალი დგას ამიკანი
და აწ ვერავინ ვერ დაიშინოს.

ამ სტრიქონებში ქართველი ხალხის უკვადავებისა და მარადიული სიცოცხლის ნათელი რწმენაა განსახიერებული.



ტერენტი გრანელის პოეზიაში, მისი ლექსების მუსიკალობაში თავიდანვე მიიპყრო მკითხველებსა და კრიტიკის განსაკუთრებული ყურადღება. ტერენტი გრანელის პოეზიის საღამოს გამო 1922 წლის 7 დეკემბერს პაატა ორბელიანი გაზეთ „ტრიბუნაში“ წერდა: „ახალგაზრდა ქართველ პოეტებში თავისი ნაყოფიერებით და ტონით განსაკუთრებულად აღვივებს იკავებს ტერენტი გრანელი. მხოლოდ მას, ვისაც, ჰომეროსის თქმით, ღმერთებმა არგუნის ღვთაებრივი ნიჭი ამღერებინა, შეუძლია მიხედეს, თუ რას ნიშნავს საკუთარი ტონი პოეზიაში“.

ტერენტი გრანელის ლექსების პირველი კრებულის („სულიდან საფლავებში“) გამოსვლის გამო უფრონალ „ილიონის“ მეორე ნომერში (1922 წ.) ანალოგიური აზრი გამოთქვა კონსტანტინე ვამსახურდამ: „ეს წიგნი უახლეს პოეზიაში ძლიერ თამამი სიტყვაა“, ხოლო მოლოდინად ტერენტი გრანელის პოეზია — „მინაწერის სტრიქონებისაგან ჩამოქნილი“.

ტერენტი გრანელმა გამოავლინა ლიტერატურის თეორიის ღრმა ცოდნა. 1919 წელს იგი თავად უწევს სამხატვრო-სალიტერატურო უფრონალს — „კრონოსის სარკეს“ (სულ ორი ნომერი გამოვიდა) და გაზეთ „იას“ (ჩვენთვის ცნობილი მისი ერთადერთი ეგზეგეტიკური ინახება კონსტანტინე გაჩეჩილაძის პირად არქივში). სარედაქციო წერილებში, რომელთა ავტორიც ტერენტი გრანელია, საუბარია ხელოვნების, კერძოდ, პოეზიის, მხატვრული ლიტერატურის დანიშნულებაზე. აქვე („კრონოსის სარკე“, 1919, № 2) ვაღივრან გავრინდაშვილის ლექსების კრებულის „დაისების“ გამო ტერენტი გრანელი თავის მოკლე რეცენზიაში წერს:

„გაფრინდაშვილმა შექმნა ისეთი მრავალფეროვანი პოეზია, რომელშიც გამოხატვის მისტიური სახე და ახალი სამყაროს გიგანტური სული. პოეტის ასეთი ორიგინალობის გენეზისი, უტყვევლია, მის განსხვავებულ ტალანტში იმალება... მან აქვა ახალი სიტყვა და შექმნა თავისებური სამყარო, მაგრამ ამ სამყაროს განჭვრეტა ძნელია იმათთვის, ვისაც არ ესმის სიმბოლისტური ლექსების მნიშვნელობა. დიდი გაუგებრობა და ყალბი წარმოდგენა ჩვენში სიმბოლიზმზე. ორიგინალობა მხოლოდ სიცოცხლის იწვევს საქართველოში, მაგრამ ამას მომავალი გააპართლებს. ეჭვი არ არის, კერძოდ გაფრინდაშვილის და საერთოდ სიმბოლისტების სახელი წარუშლელი დარჩება ხელოვნების ისტორიაში“.

ნიშანდობლივია, რომ ეს სიტყვები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ორი წლით ადრეა დაწერილი, ასეთ რთულ სიტუაციაში ახალგაზრდა, დამწყებმა პოეტმა სწორად წარმოაჩინა სიმბოლისტების როლი ქართულ პოეზიასა და ხელოვნებაში, გვიჩვენა მათი სახეისე, როგორც ეს სალიტერატურო კრიტიკაში დღესაა მიღებული.

ლიტერატურისა და ხელოვნების განახლების აუცილებლობაზე გაზეთ „იას“ სარედაქციო წერილში „ჩვენი მიზანი“, პოეტი წერს: „...დღეს, როდესაც პოლიტიკური ცხოვრების მაჯა ეგრე მაგრად სცემს და ყოველდღიურ წვრილმან საკითხებში ჩაფლულია ადამიანის გონება, სწორედ დღეს არის საჭირო, რომ ხელოვნების შუქმა განათოს ჩვენი ცხოვრების ბნელი კუნძულები, ამოძრავს ადამიანის შემოქმედება და თვალწინ გადაუშალოს საუცხოო სურათები სილამაზისა, სიმშვენიერისა და ჭეშმარიტებისა. უნდა მძლავრად ამტყველდეს ჭეშმარიტი ხელოვნება, თორემ ღამის ადამიანი მხეცად იქცევა უმადლეს განცდას მოკლებული და ბოროტების მორევში სავ-

ლებით გადავარდნილი. ეს მიზანია, ჩვენ რომ გვაბედინებს მკითხველი საზოგადოების წინაშე წარდგომას და იმედი გვაქვს, რომ ჩვენს პირველ ნაბიჯს სასტიკი მსჯავრით არ შეხვდება ქართველი საზოგადოება“.

ტერენტი გრანელი დიდად აფასებდა გალაკტიონ ტაბიძეს, მის პოეზიას კი თავისი პოეტური ნიჭის ერთ-ერთ საზომ ჭეკუთხედად მიიჩნევდა. ამიტომაც წერდა ასე თამამად და კატეგორიულად გაზეთ „ახალი ნაკადის“ 1920 წლის მე-4 ნომერში: „გალაკტიონს უმთავრესად თავისებურება ახასიათებს პოეზიაში და ეს გარემოება უტყვევლია დადებითი მხარეა მისი შემოქმედებისა. საქართველოს პოეზიის რენესანსში გალაკტიონმა თავისი წვლილი შეიტანა... გალაკტიონის შემოქმედებაში არის თავისებური სამყარო, რომელიც ხილული ქვეყნის ანარქია. იგი ყოველთვის საგნების გადაღმა ეძებს მსოფლიოში გაბნეულ ფერებს და აქ არის გალაკტიონის გამართლება. მას უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინთეზში ადამიანს ძალუძს ემოციონალური და ესთეტიკური გრძობების დაკმაყოფილება...“

გაზეთში „ტერენტი გრანელი“, რომელიც მისივე პოეზიის დღის გამო 1924 წლის 21 დეკემბერს გამოვიდა, ივანე გამართელი წერდა:

„იმ ახალგაზრდა პოეტებს შორის, რომლებიც ბოლო დროს გამოჩნდნენ პოეზიის სამხსვერბლოსთან, ტერენტი გრანელს უსათუოდ ეტყობა ჭეშმარიტი ნიჭი. ტერენტი გრანელის პოეზია მუსიკაა მისი სევდიანი სულისა, მელოდია ამ მუსიკის — სრულიად გამართლებული პოეტის შემოქმედების მთელი შინაარსით“.

ამავე გაზეთში საინტერესოა კონსტანტინე კავანელის მოსაზრება: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორი მესამედი იმისა, რაც დღეს საქართველოში იწერება და იბეჭდება, ლიტერატურის სახელწოდების ღირსი არ არის და უფრო სითამამის მაჩვენებელია, ვიდრე ნიჭის და აზრის. მხოლოდ აქა-იქ წააწყლებით უბედოდ შოხეტაღლე სულებს, რომლებიც ობოლი მარგალიტებივით ლივლივებენ სახეებითა და ინტუიციებით ქართული ლიტერატურის უდაბნოში. მათ შორის უსათუოდ მოგაგონდებათ მუწუხარედ სახეგაშლილი, მუდამ სევდიანი თვალებით, ქართული „ქმამბიჭებისაგან“ განაპირებული, სიშორისა და მარტოობის რაინდი — ტერენტი გრანელი... მისი ლექსების წაკითხვის შემდეგ თქვენ უსათუოდ იგრძნობთ ერთგვარ სიყვარულს ადამიანისადმი, რომელიც დაკარგულია უსაზღვროებაში და რომელსაც საშინლად სწყურია მარადისობა“.

ტერენტი გრანელი საგულდაგულოდ, ფხვდაფხვ მიჰყვებოდა მოვლენებს. ამის დამადასტურებელი ფაქტები გამოვლინდა ამ ბოლო წლებში. მათგან აქ მხოლოდ ერთს, პროფესორ დავით კობიძის სიტყვებს, დავიმოწმებთ: „1921 წლის თებერვალში, როცა მენშევიკებმა დატოვეს საქართველო, თურქი ასკერები შემოესივნენ ბათუმს. ადგილობრივი რევოლუციის თავმჯდომარის ს. ქავთარაძის მიერ შედგენილი მონახლენეთა რაზმის მხარდამხარ, ქალაქში დარჩენილ ინტელიგენციასთან ერთად, იარაღით ხელში იბრძოდნენ პოეტები ტერენტი გრანელი და გრიგოლ ცეცხლაძე... ბრძოლა 4 მარტს დამთავრდა“.

სამწუხაროდ, ხშირად ზვიადდებოდა სევდის მოტივი ტერენტი გრანელის პოეზიაში, თითქოს არ ჩანდა ახალ ვითარებაში ჯერ კიდევ ღრმად ჩაუხედავი პოეტის გულისტკივილი:

მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ,
და საღდაც ჩემზე ტირიან ღები.
ახლა მარტო ვარ მე ბრძოლის ველზე

და ირგვლივ დგანან ურიცხვი მტრები.
მე ამდენ დარდებს კულში რად ვაწყობ,
ანდა მიწაზე რა დამჩრჩინა.

დამამარცხებენ? დე დამამარცხონ,
ვგრძნობ, მომავალი მიინც ჩემია.

„რა არის სიცოცხლე ბოლოს და ბოლოს?!“ — აი ტერენტი გრანელის კითხვა, რომლის პასუხს დასაბამიდან ეძებს ადამიანი. ასეთ დროს პოეტს ხშირად ეუფლებოდა ხოლმე სევდიანი განწყობილება, მაგრამ მისი ბიოგრაფიაც და მისი პოეზიაც დიდ საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ტერენტი გრანელის შორეული არ იყო სოციალისტური რევოლუციის ინტერესები. ეს აშკარად ჩანს ტერენტი გრანელის ლექსში „რევოლუცია“, რომელიც მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა (ინახება გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ტ. გრანელის ფონდში № 18089).

სხვა გაქანების ქარია ისევ,
მს ჰკლავს ცხოვრება, ვინც რომ სუსტია.
და საინტარო სოციალიზმისკენ,
სხვა ცეცხლით მოდის რევოლუცია.

ძველი სამყაროს ნგრევის სულიკვეთება იგრძნობა ტერენტი გრანელის ცნობილ ლექსში „სულის ცეცხლი“. იგი შეტანილია ტიცინ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის რედაქტორებით გამოცემულ ალმანახში „რევოლუციის პოეტები“ (1921 წ.)

დილის საყვირი და ქარხნების ნელი გრიალი,
ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითელი.
ბნელ შუალამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე,
ო, საუკუნე წითელია და მიმხიდველი.

სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა,
დამწვარ ტყეების სურნელება და განსაცდელი,
ო, განახლების ქარიზხალმა ფრთები გაშალა,
კრთის ნანგრევებზე აღმადრენა, როგორც
სანთელი...

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ბევრია ამგვარი ხასიათის ლექსი, და იგი მინც სევდის პოეტია მთელი თავისი არსებით, სევდის რაინდია.

ტერენტი გრანელს ბავშვობიდანვე ბევრი ტანჯვა არგუნა ცხოვრებაში. დედით ადრე დაობლდა, შემდეგ ასევე ნაადრევად დაკარგა მამა. დაეწვით სახლ-კარი. უიმედობის დასაძლევად და ჩვეულებრივ ყოველდღიურობაზე ანაშადლებლად თბილისის ჩამოვიდა და ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაება. მაგრამ აქაც არ გაუმართლა. მამის მან ძველისა და ახლის ამ გადამწყვეტ ჭიდილში მესამე გზა აირჩია, რომელსაც შემდეგ პოეტმა თავის სახელიც დაარქვა — „მესამე გზა როგორც იდუმალემა“ და თავის იდეალად გამოაცხადა: „არა სიცოცხლე. არა სიკვდილი. არამედ რაღაც სხვა“. ეს სხვა ანუ „მესამე გზა“ ტერენტი გრანელისათვის არის ჭეშმარიტი პოეზია, რომელიც ადამიანურე სიყვარულის საგალობელია თავიდან ბოლომდე, ხოლო თავად პოეტი — ჭეშმარიტი ინტელექტის, დახვეწილი გემოვნების ხელოვანი, რომლის შემოქმედებაში ქართული კლასიკური ლიტერატურის საწყისებზე აღმოცენებული და კლასიკურ მემკვიდრეობაში ღრმად ფხვგადგმული თვითმყოფადობა და თავისთავადობაა ჩაქსოვილი. ამიტომაც არის, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ვერ ნახავთ სტროფს, რომელშიც აზრის გულისთვის ხელოვნური ფორმა იყოს გამოგონილი. ან პირიქით, სტროფს, სადაც ფორმა ეწირებოდეს შინაარსს.

ტერენტი გრანელის ორიგინალობა მის საოცარ გულახდილობაში, პოეტური წარმოსახვისა და მიზანსწრაფვის ერთიანობაშია, რომელსაც იგი არანდროს დღლატობს.

სწორედ ამან განაპირობა მივიწყებული ჭეშმა-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რბი პოეტის ტერენტი გრანელის ხელახლა და-
ბადება 1961 წელს, როცა მისი რჩეული ლექსების
კრებული გამოქვეყნდა (შემდგენელი და წინასი-
ტყვაობის ავტორი — ელიზბარ უბილავა). გრან-
ელი და მისი პოეზია ისევ გაცოცხლდა მის თა-
ნამედროვეთა მოგონებებში. რაც შეეხება ახალ-
გაზრდობას, ტერენტი გრანელი მათთვის სასია-
შოვნო აღმოჩენად იქცა. ყველას იზიდავს ტერენ-
ტი გრანელის არა ე. წ. „პესიმიზმი“ და „მწუხარე
სული“, არამედ მისი ჭეშმარიტი პოეზიის ცეცხ-
ლი, მიუწვდომელიავენ დაუოკებელი სწრაფვა,
პოეტური გულახდილობა და უსაზღვრო ჰუმანიზმი.

ტერენტი გრანელის ანკარა წყაროსავით წმინდა
პოეზია, ეს არის ადამიანური ტკივილების მხატვ-
რული ასახვა:

ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი,
შენ გაიგებ ჩემს ამნაირ ტირილს.
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიციდი ჩემს სამშობლოს ტკივილს.
ტერენტი გრანელი დღესაც ცოცხლობს თავისი
საუკეთესო ლექსებით, თავისი პოეზიით, რომე-
ლიც მან მარადიულ სიცოცხლესთან კავშირის
ერთადერთ იმედად გამოაცხადა იმთავითვე. სწო-
რედ ამაშია პოეტის გამართლებაც.
დღეს სხვანაირი სიცოცხლე ვიგრძენ
და ქვეყანაზე აღარ ვეტევი.
მზიანი დღეა, ელვარებს სივრცე
და დაფრინავენ მალა მტრედები.

ტერენტი გრანელის ეს სიტყვები სრული რბ-
ტიმიზმით უღერს. დასანანია, რომ ცხოვრებიდან
აღრე წახულ უნიჭიერეს შემოქმედს არ დასცალ-
და, ბოლომდე გამოველინებინა თავისა დიდი პო-
ეტური შესაძლებლობანი.

ტერენტი გრანელი

ორი ლექსი

• • •


ვარ ასეთი, ვარ ყოველთვის კენტი,
ჩამოეშვა მოგონების ფარდა.
და, ძვირფასო, მე რა მინდა მეტი,
ამ სიცოცხლის და ლექსების გარდა.

შუადღეა და მივდივარ ასე,
არ ველოდი მე ამნაირ მოლლას.
მე ლექსები გამაფრენენ ცაში,
მე ლექსების სიხარული მომკლავს.

• • •

მივალ, სხვა დღეა, გულს ამოვიტან
და ისევ მოდის დრო აღელვების.
წვიმდა და უცებ მზე ამოვიდა
და გავიშვირე მზისკენ ხელები.

მე წუხელ კიდევ ღამე ვათიე
და მოდიოდა ფიქრი ფარული.
ღმერთო! მიშველე და მაპატიე
ეს აღტაცება და სიხარული.



- ტერენტი გრანელი
- ტერენტი გრანელის დისწული ელენე (უჩა) კვარაცხელია
- პოეტის ოჯახის მეგობრები — მისა ცხაკაია (მარცხნიდან) ეკატერინე გვახალია, ვასილ მაღანია.

საქმიანი უსაქმური

გიორგი ჩარკვიანი

სიტყვა მუქთახორის გაგონებისას, სრულიად სამართლიანად წარმოგიდგება შრომისუნარიანი კაცი, რომელიც არასად არ მუშაობს. ქალაქის ან სოფლის მკვიდრი, ვინც ქარხნისკენ ან კოლომეურნეობისკენ მიმავალი გზა დაივიწყა და მხარეთმცოდნე წამოწოლილი, სიზარმაცის წუთებში ნებივრობს. შეიძლება აგრეთვე წარმოგიდგინოს უძალესად მათავრებული, კარგად ჩაცმული ახალგაზრდა მუტრუკი, მასავით გამოპრანჭული ორივე სქესის მუქთამჭამელი მუტრუკების წრეში, მშობლების კისერზე რომ არიან ჩამოკონწილებულნი. გაკვივის იაპონური მაგნიტოფონი, საყურნალო მაგიდაზე ამერიკული სიგარეტებია მიმოზნეული და ჭიქებში ქართული სამარკო კონიაკი ციმციმებს.

სწორია ყველაფერი ეს, ვინ რა უნდა თქვას. მაგრამ ხშირად გვაიწყვლება, რომ მუქთახორა ბევრნაირია და მის ერთ-ერთ ნაირსახეობას შენიღბული უსაქმური წარმოადგენს. ამისთანა კაცი თავს გაგიხეთქავს, თუკი ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეტყვი, რას წარმოადგენს იგი სინამდვილეში. აბა როგორ! მას იქნებ სამტელეფონიანი თანამდებობა უკავია, სელექტორით, მდივანი ქალით, პერსონალური ავტომობილით და სართად კიდევ პერსონალური შოფრით. იქნებ აგარაკიც აქვს, თექვსმეტკალიბრიანი სანადირო თოფიც და, გარდა ამისა, ღვინის სასმისების უნიკალური კოლექცია, რის სიამაყეს მარტორქის ორლიტრიანი ყანწი წარმოადგენს. ვინაიდან სასურველია, მკითხველმა ამ მოსათხრობის გმირი უფრო ახლო გაიცნოს, აღვწეროთ მისი რიგითი სამუშაო დღე.

09 საათსა და 00 წუთზე გმირი თავის კაბინეტშია. ზის სავარძელში. რეკავს ტელეფონი. ყურმილს მარჯვენა ხელს წაატანს. მისალმებას ვერ მოასწარებს, რომ იძულებულია, მარცხენა ხელი მეორე ყურმილს წაავლოს. და როცა ისისაა, ორარხიან საუბარს მოაწყვსრიგებს, თითქოს ჯიბრზე, მესამე აპარატი აწყრილდება. პირს თუ მოკიდებ, სხვა რა უნდა ქნა! ასე გამოუცდელი და

ლობიო კაცი იფიქრებს, ჩვენი გმირი კი სრულიად დინჯად, მარცხენა მხრით ერთ ყურმილს ლოყაზე მიიჭერს და მესამეს აიღებს. ეს კია, რომ გამოცდილ ადამიანსაც კი დამატებით მესამე ყური ჭერჯელობით არ ეზრდება. ჩვენს გმირს მაინცდამაინც არც ეს უხერხულობა ადარდება. იწყება ჩვეული ჟონგლირობა, ყურმილები დაფრინავენ ჰაერში; ამ რთულ საციარკო ატრაქციონში ორივე ხელი, ორივე მხარი და, რა თქმა უნდა, მეტყველების აპარატი მონაწილეობს. საუბრის პროცესში გმირი უცებ მარჯვენა ფეხს მალა სწევს, მარცხნივ მოდგმულ პატარა მაგიდაზე ღილაკს აჭერს და სელექტორის მიკროფონში განკარგულებებს იძლევა. ყველაზე საოცარია, რომ არც ერთი ლაპარაკი არ ზარალდება. გმირმა ყველაფერი მშვენივრად დაიმასსოვრა.

პირველი ყურმილი მობოდიშებით, მლიქვნელური ხმით სთხოვდა დახმარებოდა მის ვაჟს ფიზიკაში მისაღები გამოცდის ჩაბარებაში. ბავშვი, რასაკვირველია, არანორმალურად ნიჭიერია, მაგრამ მარტონიჭი რას გახდება. მოგეხსენებათ, რა ქნას კარგმა აბიტურიენტმან, დროზე ნაცნობი თუ არ მიეშველა. ახლა ზოგიერთი ლექტორი ისეთი ბილწი გახდა, რომ თვით რეზერფორდს ჩაჭრის ფიზიკაში, თუკი პროტექტორი არა ჰყავს...

მეორე ყურმილი მტკიცედ მოითხოვდა გამომცემლობის დირექტორთან დაუყოვნებლივ დაკავშირებას და მისი, ყურმილის მფლობელის ლექსების კრებულის მიმდინარე წლის გეგმაში შეტანას. თავმდაბლობა უდავოდ ამშვენებს ადამიანს, მაგრამ ამ კეთილშობილ თვისებას თავი კი არ უნდა ანაცვალო. თანახმა ვარ, კი, რუსთაველი ურიგო პოეტი არ ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ კურთხეულ ქართულ მიწაზე ცით მადლცხებული პიროვნებები არ გადასცნებულან. ჩემი კრებულის გამოცემაზე ზრუნვა ყველა ჰუმანიტატი პატრიოტის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ხოლო თუ თქვენ, ბოდიში და, ფეხებზე გვიდიათ ჩვენი ჭალარა მთები და აყვავებული ვე-

ლები, ჩვენი ვაზი და ხორბალი, ბიბულად არ ავდებთ მშობელ ხალხს, მაშინ შეგიძლიათ... არა, მაშინაც არ შეგიძლიათ, ჩემს წიგნზე არ აიტკივთ თავი...

მესამე ყურმილი ხვეწნით გასკდა, რათა მისთვის ბინაზე ტელეფონი დაედგათ ურიგოდ. თანამედროვე ადამიანი უტელეფონოდ იგივეა, რაც ქორი ფრთების გარეშე. მითუმეტეს (ეს ჩვენი დარჩეს), ორი ქალიშვილი მინდა გავათხოვო და ამ სასწაულის მოხდენა ტექნიკის დაუნებარებლად ნამეტანი ჰქონს. ის ზღაპრული დრო, როცა გალემშილი სასიძოვები სატრფოს ფანჯრების წინ ჩახრინწული ხმებით, შესანიშნავ სიმღერას — „ჩემო ჩიტუნია, ჩემო გვრიტუნია“ — მღეროდნენ და შემდგომ რაინდულად ერთმანეთს თავისქალებს უტეხავდნენ რიყის ქვებით და სხვა ამგვარი საგნებით, — საუბედუროდ, წარსულს ჩაბარდა. ახლა პოტენციური არშიყი გაცნობისას, ქალიშვილს პირველ რიგში სახლის ტელეფონის ნომერს ეკითხება, თუკი ოდნავ მაინც მოეწონა. მერე დათვრება სადმე (მაღლობა ღმერთს, ეს ვაჟკაცური ტრადიცია ჯერჯერობით ცოცხლობს, მტრების ჯინაზე) და შეიძლება დარეკოს, პაემანი დაუნიშნოს. ერთხელ დაუნიშნავს, მეორედ, მესამედ. დაბოლოს, იქნებ ცოლადაც შეერთოს, ღვინით გამტყვარალმა და გამოშტერებულმა. არასდროს არ დაუჭეროთ სპირტიანი სასმელის მაგინებელ ლენჩებს. სწორედ ეგ დალოცვილია ოჯახებს რომ ქმნის, ტელეფონთან ერთად ხალხის გამრავლებას ხელს რომ უწყობს...

ჩვენი გმირი ყველას ყურადღებით უსმენს, დახმარებას პირდება შემდეგ დაპირებების შესრულებას შეუდგება და უკვე თვითონ გამოდის მთხოვნელის როლში, მაგრამ წონის მქონე მთხოვნელის, მისი ნათქვამის ქვეტექსტში ფოლადის ქლერა იგრძნობა.

ამ მეგობრული საუბრების პროცესში, თანამშრომლები რამდენჯერმე შეეცდებიან კაბინეტში შევიდნენ, რათა სამსახურებრივი საკითხები მოავარონ უფროსთან, და გზას გადაულობავთ თითქმის ზრდილობიანი, აისბერგივით ცივი ფრაზა: „ვერ ხედავთ, დაკავებული ვარ! არ უნდა მისცეთ კაცს მუშაობის საშუალება!“
მერე ბავშვობის მეგობარი

ეწვევა ჩვენ გვირს. დიწყება უკიდურესად ამაღლებელი სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ ახლო ხანებში ჩვენი ხანდაზმული ბობიდან მუხსენებელი მოკვრობენ და ვის სად დაინიშნავენ, ან დააწინაურებენ. ისმის ხალასი ემოციებით დატვირთული წამოძახილები: „ნუთუ?“ „დაუჭერებელია!“ „მაგ ბოთეს?!“ შემოსული ინფორმაცია ისინჯება და ზუსტდება ტელეფონის საშუალებით. მოგვიანებით, ძმაკაცები პატარა ოთახში გადადიან, რომელიც კაბინეტს ეკვრის, და ჭადრაკის დაფას მიუხსნებიან... საათი ჩართულია, მდივანი ქალი გაფრთხილებულია, რომ სასწრაფოდ იწერება მოხსენება და არავისა აქვს უფლება მემატიანების საყანში შესვლისა.

ეს საჭადრაკო მატჩი რამდენიმე წელიწადია გრძელდება. მისი ანგარიშია 1814 (ლერმონტოვის დაბადების წელი): 3 სტუმრის სასარგებლოდ. მაგრამ დამთრგუნავი ანგარიშის მიუხედავად, კაბინეტის მფლობელი ოპტიმიზმითაა გამსჭვალული. ახლო მომავალში ფიქრობს წონასწორობის აღდგენას და წინ გასვლას. მართალია, თამაშის დროს საკუთარ თავს უფრო ხშირად ავლებს ხელს, ვიდრე ფიგურებს, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა.

სალამოდება. ანგარიში უკვე 1837 (ილია ჭავჭავაძის დაბადების წელი): 3. გასაგებია, ვის სასარგებლოდ. ყაიმები ამ მატჩში მხედველობაში არ მიიღება.

საათი აჩვენებს 18-00. სამუშაო დღე დამთავრებულია. დროა, ოჯახს მიხედო. სამსახურს ბოლომდე კი არა, ნაწილობრივ უნდა მიაკვდე. თუმცა, არც მაგ თავდადებას დაგიფასებს ვინმე...

ფელეტონის ავტორს ყველაზე ნაკლებ უნდოდა ჭკუის დამრიგებლის როლში გამოსვლა. არაფრის მომტანია მაგნიური მცდელობა და აღზრდის უვარგისი საშუალებაა. მას, ავტორს, სურდა ხაზი გაესვა იმ ჰუმანიტარულ სიბრძნის, რომ პარაზიტობაში უზნეობაა.

პუშკინს ეკუთვნის ასეთი გამოთქმა: საქმიანი უსაქმური. საუკუნე ნახევარი გავიდა იმის შემდეგ, მაგრამ იგი ზოგიერთი მოქალაქისთვის ახლაც ზედამოჭრილია.

თაგვიანი ამხელენ დამნაშავეს

ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვიტა, თავები გამოიყენოს... ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოსაჩენად.

როგორც ცნობილია, დამნაშავეებს, სხვადასხვა მოსაზრებით, ამერიკის აეროდრომებსა და თვითმფრინავებში ხშირად შეაქვთ ასაფეთქებელი ნივთიერებები.

ცდებმა ნათელყო, რომ უტყუარი ყნოსვის მეოხებით, თავებს უნარი შესწევთ, შეუცდომლად დაადგინონ დამნაშავე.

გაწვრთნილ თავებს ათავსებენ ყუთში, რომელსაც დგამენ იმ ადგილას, საიდანაც მგზავრები აეროპორტში შედიან.

თუ ვინმეს ასაფეთქებელი ნივთიერება მიაქვს, თავები ხტუნაობას იწყებენ, ირთვება ყუთში ჩამონტაჟებული მოწყობილობა და გაისმის განგაშის მაუწყებელი საყვირის ხმა.

„მფრინავი — ტაქსი“

ლონდონში ტვირთის გადასაზიდად და მგზავრების გადასაყვანად დირიჟაბლების გამოყენება დაიწყო.

მგზავრების გადასაყვანი „მფრინავი — ტაქსის“ სიგრძე 70 მეტრია.

ტვირთის გადასაზიდი დირიჟაბლი საათში 110 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს. მას ოთხი ძრავა აქვს და 60 ტონაზე მეტი ტვირთის გადატანა შეუძლია.

ადრესატი იღებს წერილს

ჩეხოსლოვაკიის საფოსტო განყოფილებებში უამრავი წერილი გროვდება, რომლებზეც გაურკვეველად არის დაწერილი ადრესატის მისამართი.

ასეთ წერილებს დაუყოვნებლივ აგზავნიან ქალაქ ტრნავში. ამ ქალაქში ცხოვრობს გაურკვეველი ხელნაწერის ამოკითხვის სპეციალისტი, რომელიც დიდიდან საღამომდე გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებს ჩახლართული კალიგრაფიით დაწერილ წერილებს.

ტრნავში გადაგზავნილი წერილების ორი მესამედი ზუსტი მისამართით ეგზავნებათ ადრესატებს.

ჯირჯაროვით ერთადერთი

ადრიაკაში ვაიხსნა დედათა და ბავშვთა მუზეუმი, რომელიც ერთადერთია მსოფლიოში.

მუზეუმის დამაარსებელმა სწავლულმა ხრისტოს ეკონომოპულსმა მიზნად დაისახა, შეაგროვოს ნივთები, რომლებიც უძველეს დროიდან დღემდე დავაშირებულია დედისთან და ბავშვის აღზრდასთან.

საკუთარი თაოსნოვით

ციურისის ერთ-ერთი სასტუმრო ტრამვაის მოსახვევთან მდებარეობს.

ამ სასტუმროს პატრონი ყოველ სისხამ დილით გადის ქუჩაში და გულმოდგინედ ზეთავს ტრამვაის ლიანდაგს.

„ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ კლიენტებს რამდენიმე საათით გავუხანგრძლივო ძილი“, — განაცხადა სასტუმროს მენეჯერმა.

ქალაქის ტრანსპორტის დირექციამ გადაწყვიტა, სასტუმროს პატრონი უსასყიდლოდ მოამარაგოს საჭირო საცხი-ზეთითა და ფუნჯით.

საყურადღებო წარწერა

მცენარეთა და ცხოველთა დაცვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოების თავმჯდომარემ, ფრანკფურტის ზოოპარკის დირექტორმა, პროფესორმა ტ. ჯიმეკმა ზოოლოგიური პარკის შესასვლელთან ჩამოჰკიდა სარკე, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „სარკეში თქვენ ხედავთ დაუნდობელ მტაცებელს, რომელიც უმოწყალოდ ანადგურებს ფაუნასა და ფლორას“.

იაპონიის მთავრობის მოწოდება

იაპონიის მთავრობამ ქალაქის მოსახლეობას მოუწოდა, ცხელ ამინდში სამსახურში უჰალსტუხოდ იარონ.

ასე გადაწყვიტეს იმიტომ, რომ ზაფხულის თვეებში საკმაოდ ძვირი ჯდება სამუშაო ოთახების გაგრილება და ნორმალური ტემპერატურის დაცვა. მთავრობის გადაწყვეტილებამ ჰალსტუხის ფაბრიკების მფლობელთა დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ბარბერის გადალახვა შეიძლება

როცა ცნობილია იტალიელმა მწერალმა ალბერტო მორავიამ განაცხადა, ხანდაზმულობის გამო სამწერლო მოღვაწეობას თავს ვანებებო, უფრანდლმა „პანორამამ“ საპასუხოდ გამოაქვეყნა იმ ცნობილი ლიტერატორების, მხატვრებისა და მეცნიერების სია, რომლებიც სიბერეშიც ეწეოდნენ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

ასე, მაგალითად, პლატონი გარდაიცვალა 81 წლის, როცა ფილოსოფიურ თხზულებებზე მუშაობდა; ციციერონმა თავისი უკანასკნელი ნაშრომი 68 წლისამ დაამთავრა, მიქელანჯელო 87 წლის იყო, როცა შემდგომში საქვეყნოდ სახელგანთქმულ რომის ბაზილიკაზე მუშაობდა; 72 წლის ნიუტონმა თავისი შრომები ერთად დასტამბა და ვრცელი წინასიტყვაობა დაურთო; 84 წლის გოეთემ, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, დაამთავრა „ფაუსტი“. 68 წლის კრილოვმა ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული ენა და 7 წლის მანძილზე ბერძნულიდან რუსულად მრავალი ნაწარმოები თარგმნა; შეიძლება აღარაფერი ვთქვათ ლევ ტოლსტოიზე, რომლის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ხანდაზმულობის წლებში, საქვეყნოდ ცნობილია...

ასე რომ, — ასკვნის უფრანდლი „პანორამა“, — ასაკი შემოქმედისათვის გადაუღალავი ბარიერი არ არისო.

ხანდაზმულმა კაცმა ექიმს შესჩივლა: — უძილობა მაწუხებს. — საწოლში რამდენჯერმე დათვალეთ ერთიდან ათამდე და შეუმჩნეველად ჩაგეძინებათ.

ერთი კვირის შემდეგ პაციენტი კვლავ ეახლა ექიმს.

- როგორ გრძნობთ თავს? — კარგად, ცხრამდე დათვლას ვუძლებ. — მეათეს? — მეათეზე ფეხზე ვხტები, მე ხომ ძველი მოკრივე ვარ.

ცოლი ქმარს: — ეს კაცი ყოველ დილით ჰკოცნის ამ ქალს. ბრყვეო, შენ რატომ არ აკეთებ ასე? — მე იმ ქალს არ ვიცნობ.

- ბიძია ნოიშან, ცოლი გარდაგეცვალათ? — კი. — დაოჯახებას აპირებთ? — ვაპირებ. — საცოლედ შეარჩიეთ? — არა. — რაღას უცდიეთ?.. დედოკო, კიდევ რა უნდა ვეითხო ბიძია ნოიშანს?..



— ბოლოს და ბოლოს, შემოიკეთებთ თუ არა კარზე დასარეკ ზარს? — სამჯერ ვიყავი თქვენთან, დავრეკე და კარი რომ არ გამიღეს, უკან გამოვბრუნდი.

— რატომ ამთქნარებთ? — არ ვამთქნარებ. — აბა რას შვრებით? — რალაცის თქმა მინდა და ვერ ვებდავ.

— სად არის ჩემი ტანსაცმელი? — არ ვიცი. როცა საბანაოდ ჩადიოდით, თქვენ მხოლოდ ნიანგებზე მკითხეთ: აქ ნიანგები ხომ არ არიანო, ქურდებზე არაფერი ვითქვამთ.

გირმანულიდან თარგმნა ლაშა ყიფიანმა.

დროში



კროსვორდი

— რას დალევთ, ლუდს თუ კონიაკს?
— ეგ იმაზეა დამოკიდებული, ვინ გადაიხდის დანახარჯს.

...

— დიდი ხანია, ლექსებს წერთ?
— პირველი ლექსი ოცი წლის წინათ დავწერე, ეს ლექსი მეორეა.

...

— ფეხი თამაშის დროს მოვიტყებ.
— რას თამაშობდი?
— ჭადრაკს.

...

— კარლ, თქვენ კლასში ვინ არის ყველაზე ჭკვიანი?
— მასწავლებელი.


...

— დედიკო, ეს სკამი მე გავაკეთე.
— საიდან გავაკეთე?
— ტელევიზორის დასადგმელი მაგიდიდან.

...

— ანა, რამდენი წლის ხარ?
— ოცდაოთხის.
— ხუთი წლის წინათ რომ მითხარი, ოცდაოთხი წლისა ვარო?
— მე იმ ქალებს არ ვეკუთვნი, დღეს რომ ერთს ამბობენ, ხვალ — მეორეს.

გამომგანაწილებელი ტარბმან მარინე სულაშვილი.



შვეულად: 1. საომარი მოქმედების არე; 2. ვარდისებრთა ოჯახის საშუალო ტანის ხე; 3. მომწამვლელი ნივთიერება; 4. დროებით საცხოვრებელი ნაგებობა; 5. ქართული საესტრადო ანსამბლი; 6. ტარიფი, განაკვეთი; 7. ცხენოსნური შეჯიბრების ერთ-ერთი ქართული სახე; 8. ვენეციელი მენავეების სიმღერა; 11. წყალქვეშა სასუნთქი აპარატი; 12. მხარე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში; 13. სისხლის ძარღვი; 17. სარების ღობე; 19. სამი, ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 21. ბოსტნეული მცენარე; 22. ევროპის სახელმწიფო; 24. საქართველოს კურორტი; 25. იტალიელი კომპოზიტორი; 27. დიპლომატიური მიმართვა ერთი ქვეყნისა მეორისადმი.

თარაზულად: 1. დაბა დუშეთის რაიონში; 4. მხატვრული სტილი ევროპის ხელოვნებაში; 6. რომის იმპერატორი; 8. ევროპის მდინარე; 9. ფრანგი პედაგოგი, წერტილიანი შრიფტის გამომგონებელი; 10. შეფარული დაცევა; 12. ქართველი ფეხბურთელი; 14. ბოლშევიკური გავითი; 15. ხარისხი, თანრიგი; 16. ცნობილი ქართველი ფალავანი; 17. მზის სისტემის პლანეტა; 18. ქალაქი უირიში; 20. ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი; 23. სახალხო გმირი; 25. თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრი; 26. მოკრძევეთა ასპარეზი; 28. ძვირფასი ქვა; 29. ატმოსფეროს მდგომარეობა; 30. საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი.

შეადგინა ცილა ამაშუკელაძე.

„დროში“ № 5 გამომკვეთნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ანდრიანოვი; 2. ლაინერი; 3. უმისარი; 4. დიამეტრი; 6. ცარიცინი; 7. კამელია; 8. ანალები; 14. კაკაო; 15. ნინია; 16. იანკი; 17. დუელი; 20. ბარიერი; 21. პაპანინი; 22. დოზიმეტრია; 24. ბოროცსკი; 25. იზობარა; 28. თეორემა; 29. ავიაცია.

თარაზულად: 5. ვანადიუმი; 9. პარაფინი; 10. ასპირინი; 11. ორიენტირი; 12. ბალეტი; 13. დიზელი; 15. ნავთი; 18. ამირანი; 19. ალუმინი; 20. ბიპლანი; 23. კალიბრი; 26. ატომი; 27. ევროპა; 30. ეკლოგა; 31. მენიკოვი; 32. გრეიდერი; 33. მაგისტრი; 34. ემიგრაცია.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე რუსულად ფეხტვი-
შვილის ნახატების რეპროდუქციები.

კორექტორი ცინანა სიონაძე

მონტაჟი ნაწული დანელიანი

გადაეცა წარმოებას 10. V. 84 წ. ხელმოწერილია დასაბუღებლად 11. 06. 84 წ. უე 08017 ქაღალდის ზომა 70x1681/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნახეტილი ფურცელი 4,8 სააღრიცხვო-სავა-
შომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 48 500. შეკვ. 1070. ფასი 85 კაპ.

880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ტკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, გან-
ყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



საზაფხულო ეტიუდები



6110/90

საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმი



2011 828 20 სექტემბერი 1989 წელი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი



საქართველო

0600660 78056